

სალექციო მასალები-- საერთაშორისო ბიზნესის რეგულირება

ლექცია 1

თავი 1. საერთაშორისო ბიზნესის რეგულირების კურსის საგანი, მიზანი და ამოცანები

- ❖ „საერთაშორისო ბიზნესის რეგულირების“ არსი, როლი მნიშვნელობა, ძირითადი ცნებები;
- ❖ „საერთაშორისო ბიზნესის რეგულირების“ საგანი, კურსის მიზანი და ამოცანები;
- ❖ ორგანიზაციები;
- ❖ საერთაშორისო სამართლის და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ურთიერთკავშირი;
- ❖ საქართველოს სამართლებრივი სისტემა, გლობალური, ზენაციონალური, ეროვნული და ტრანსნაციონალური სამართლის დახასიათება.

1.1. „საერთაშორისო ბიზნესის რეგულირების“ არსი, როლი და მნიშვნელობა, ძირითადი ცნებები

ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ბიზნესის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილია საერთაშორისო ბიზნესი, რომელიც მოქმედების მასშტაბის მიხედვით სცილდება საკუთარი ეროვნული ქვეყნის ფარგლებს და დამახასიათებელი თავისებურებებით სხვა ქვეყანაში სავაჭრო პარტნიორების, ინვესტორებისა და სხვა ბიზნეს სუბიექტების თანამონაწილეობით ხორციელდება.

ქართულ და უცხოენოვან სახელმძღვანელოებში საერთაშორისო ბიზნესის შესახებ მრავალი ცნება და დეფინიცია არსებობს, მაგრამ მიგვაჩნია რომ საერთაშორისო ბიზნესის მრავალფეროვან ოპერაციებს და რთულ ფენომენს სრულყოფილად ასახავს შემდეგი განმარტება:

საერთაშორისო ბიზნესი სხვადასხვა ქვეყნის სტრუქტურულ ერთეულებს (სახელმწიფოების, საერთაშორისო ფირმების, მეწარმეთა გაერთიანებების, ფიზიკურ და იურიდიულ პირების, საერთაშორისო ორგანიზაციების) შორის ურთიერთშეთანხმებისა და ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე დაკავშირებულია საქონლის, მომსახურების, ინტელექტუალური საკუთრების, კაპიტალის, ტექნოლოგიების, ფინანსური რესურსების ტრანსსასაზღვრო გაცვლასთან, რომელიც მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებითა და მაქსიმალური მოგების მიზნით ხორციელდება.

ფართო გაგებით საერთაშორისო ბიზნესის საგანი ორი ან რამდენიმე ქვეყნის(ბიზნეს სუბიექტების) მონაწილეობითა და მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი სამეურნეო ოპერაციაა. მაგრამ

გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებული აქტიურობით და დინამიზმით ტრანსნაციონალური კორპორაციები გამოირჩევა და განსაკუთრებული ყურადღება დიდ კორპორაციულ ბიზნესს ეთმობა, საერთაშორისო ბიზნესის ოპერაციების 70-80% ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობით სრულდება. საერთაშორისო ბიზნესის ძირითადი სუბიექტის როლში გვევლინებიან მაღალგანვითარებულ ქვეყნებში დაფუძნებული კორპორაციები, რომელთა საქმიანობა მსოფლიო მასშტაბით ხორციელდება. მათ საქმიანობაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს საერთაშორისო ბიზნესის გარემო: ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ტექნოლოგიური, ეკოლოგიური, ადამიანისეული და კულტურული ფაქტორების სახით. ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ბიზნესის ახალ ფორმებს -სტრატეგიულ ალიანსებს, ერთობლივ საწარმოებს, ინჟინირინგს, ლიზინგს, ლიცენზირებას, ფრენშაიზინგს და სხვა სამეურნეო ოპერაციებს.

საერთაშორისო ბიზნესი სამეურნეო ოპერაციების მასშტაბებით და რისკის ხარისხით მკვეთრად განსხვავდება ქვეყნის შიდა ეროვნული ბიზნესისაგან, არსებობს სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივ სისტემებს შორის განსხვავებათა არსებობის ალბათობაც, რაც საჭიროებს ერთი ქვეყნის მიერ სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობაში კორექტივების შეტანას, რათა საერთაშორისო ბიზნესის სამართლის ნორმები შესაბამისობაში მოიყვანოს ეროვნულ კანონმდებლობასთან. ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ნორმები შეიძლება აღმოჩნდეს არათავსებადი და წინააღმდეგობრივი, რაც საერთაშორისო ბიზნესში ჩართულ მენეჯერებისათვის წარმოადგენს ყველაზე ძნელად გადასაწყვეტ პრობლემას. სხვადასხვა ქვეყნებში საერთაშორისო ბიზნესში ჩართვისას შეიძლება გამოყენებული იქნას უცხოური ვალუტა, რაც იწვევს ვალუტის კონვერტირების აუცილებლობას. ასევე არსებობს განსხვავება ქვეყნების კულტურებს შორის, რაც საჭიროებს სოცულტურული სტრატეგიის იმგვარად ფორმირებას, რომელიც ქვეყანას მოიყვანს სხვა მხარის მოლოდინთან შესაბამისობაში. ამდენად საერთაშორისო ბიზნესში ჩართული სუბიექტები აუცილებელია კარგად იყვნენ გაცნობიერებული ქვეყნებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური, საკანონმდებლო, კულტურული საკითხების განსხვავებაში, რათა შესაძლებელი იყოს ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღება და საქმიანი ოპერაციების მაქსიმალური კოორდინაცია.

მსოფლიო მასშტაბით საერთაშორისო ბიზნესის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფოებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ტრანსეროვნულმა კომპანიებმა შეასრულეს. სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით საექსპორტო პროდუქციის წარმოებისა და უცხოეთში გატანის სტიმულირება გაძლიერდა და საერთაშორისო ფირმებთან კოოპერირებული და ბიზნეს ურთიერთობები განმტკიცდა. ტრანსეროვნულმა კომპანიებმა გავლენის სფეროებისა და ახალი ბაზრების ასათვისებლად უცხო ქვეყნებში ათეულობით ფილიალი და ქალიშვილი კომპანია გახსნეს, ადგილობრივ ფირმებთან სტრატეგიული კავშირები განავითარეს, ეროვნულ სახელმწიფოებში პროტექციონისტულ ბარიერებს გვერდი აუარეს და საერთაშორისო ბიზნესი ინტერნაციონალური გახადეს. აღნიშნულ პროცესებს მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და

სატრანსპორტო--კომუნიკაციური კავშირების არნახული მასშტაბით განვითარებამ. თანმიმდევრულად იმსხვრევა საწარმოო, სავაჭრო, საინვესტიციო, სავალუტო-საკრედიტო წონაღმდევობები და საერთაშორისო ბიზნეს ოპერაციები ლიბერალური ხდება, მსოფლიო ბაზარზე ბიზნეს გარემოში ადაპტაციის პროცესი მსუბუქდება .

მსოფლიო მეურნეობა საერთაშორისო ბიზნესის სხვადასხვა სამეურნეო კავშირურთიერთობებით ურთიერთგადაჯაჭვულია, ეს სამეურნეო კავშირები საქონლის, მომსახურების, ინვესტიციების, ფინანსების, შრომითი რესურსების ტრანსსასაზღვრო მოძრაობაში ვლინდება, მათსადაც საერთაშორისო ბიზნესის ჩარჩოებში სხვადასხვა რესურსები აქტიურად გადაადგილდება, ამის გამო საერთაშორისო ბიზნესი რამდენიმე ძირითად ფორმად იყოფა:

- საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა;
- უცხოური ინვესტიციები;
- საერთაშორისო საფინანსო, სავალუტო-საკრედიტო, საანგარიშსწორებო ურთიერთობები;
- სამეცნიერო_ტექნიკური ცოდნის გაცვლა
- საერთაშორისო შრომითი რესურსების მიგრაცია
- საერთაშორისო ეკონომიკური დახმარებები

საერთაშორისო ბიზნესის რთული ფენომენის გასაანალიზებლად საჭიროა გავანალიზოთ მისი ძირითადი სახეობები:

- საქონლის ექსპორტ-იმპორტი;
- მომსახურების ექსპორტ-იმპორტი;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები;
- პორტფელური ინვესტიციები;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებებითა და გამოცდილებებით ვაჭრობა;

საერთაშორისო ბიზნესის სხვა სახეობები – ინჟინირინგი, ფრენშიზინგი, ლიცენზირება, მმართველობითი კონტრაქტები, ლიზინგი, ფაქტორინგი, ფორფეიტინგი და სხვა;

საქონლის ექსპორტი –ეროვნულ ქვეყანაში წარმოებული მატერიალურ ნივთობრივი ფორმის საქონლის გაყიდვას უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე, შემდგომი გამოყენებისა და გადაყიდვისათვის.

საქონლის იმპორტი – არის ეროვნული ქვეყნის რეზიდენტების მიერ, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოელი კონტრაგენტებისაგან (არარეზიდენტებისაგან) საქონლის შესყიდვას და საკუთარ ქვეყანაში შემოტანას, გამოყენებისა და გადაყიდვისათვის.

უცხოური ინვესტიციები – წარმოადგენს საერთაშორისო ბიზნესის მნიშვნელოვან სახეობას, რომელიც ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში გადაადგილდება, მეწარმეობითი კაპიტალისა (პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების) და სასესხო კაპიტალის ფორმით.

ბიზნესი ინტერნაციონალიზაციის შედეგად, დიდი ყურადღება ეთმობა უცხოურ ინვესტიციებს, რომლებიც ითვალისწინებენ უცხოეთში აქტივების ფლობას ფინანსური მოგების მიღების მიზნით. უცხოური ინვესტიციების დროს კაპიტალი გადის ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ეს პროცესი არსებითად განსხვავდება საქონლის ექსპორტ – იმპორტისაგან, რომელიც სხვადასხვა სირთულეებთანაა დაკავსირებული. მაგალითად, საბაჟო პორმლობათა შესრულება, ტრანსპორტირება, რისკის გაწევა და ა.შ. აღნიშნული გამო უცხოური ინვესტიციები, საერთაშორისო ბიზნესის პრაქტიკაში სულ უფრო აქტიურად გამოიყენება.

პირდაპირი ინვესტიციები – (FDI) – არის კაპიტალის დაბანდება უცხო ქვეყანაში, საინვესტიციო ობიექტის მართვაში მონაწილეობისა და აქტივებზე რეალური კონტროლის განხორციელების მიზნით.

ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება მეთაური კომპანიის შტაბ-ბინა ესაა დონორი ქვეყანა, ხოლო ქვეყანა, რომლის ტერიტორიაზეც მოცემული კომპანია ახორციელებს საინვესტიციო საქმიანობას- ეს არის რეციპიენტი (ინვესტიციების მიმღები) ქვეყანა.

პორტფელური ინვესტიციები – გულისხმობს ფინანსურ დაბანდებებს ფასიანი ქაღალდების პორტფელში (აქციების, ობლიგაციების, დეპოზიტური ჩეკების, სერთიფიკატების შექმნა), რომელიც არ ისახავს მიზნად კონტროლისა და მართვის განხორციელებას.

პორტფელური ინვესტიციების მიზანია ინვესტორის საკუთრებაში არსებული ფინანსური რესურსების დივერსიფიკაციით, საინვესტიციო რისკის შემცირება და დივიდენდების მეშვეობით მოგების მიღება

სასესხო კაპიტალის გადაადგილებით, საერთაშორისო საინვესტიციო სისტემა, მჭიდროდა არის დაკავშირებული საერთაშორისო საფინანსო სისტემასთან, სასესხო კაპიტალი გულისხმობს მოგების მიღების მიზნით სესხის (კრედიტის) გაცემას ფულადი ან საქონლური ფორმით.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებებითა და გამოცდილებით ვაჭრობა– საერთაშორისო ბიზნესის მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც არამატერიალური აქტივების გაცვლასთან არის დაკავშირებული, რომლის დანიშნულებაცაა დროის გარკვეულ პერიოდში არამატერიალური აქტივების მფლობელს (კომანიას) მოუტანოს განსაზღვრული სარგებელი (შემოსავალი).

არამატერიალურ აქტივებს მიეკუთვნება – გამოგონება, პატენტი, სამრწველო მოდელი, ლიცენზია, ფრენშიზები, სასაქონლო ნისანი, სავაჭრო მარკა, გუდვილი და სხვა.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მიზნით მიღწეულია საერთაშორისო შეთანხმებები, რომელიც იცავს და აწესრიგებს საპატენტო სისუფთავეს და თანამშრომლობას, ამ მხრივ ცნობილია ინტელექტუალური

საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულება (შტაბ-ბინა ჟენევა) და ევროკავშირის საპატენტო კონვენცია. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია შეიქმნა სტოქჰოლმის (შვედეთის) 1967 წლის კონვენციით, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადამიანის შემოქმედებით მუშაობას ინტელექტუალური საკუთრების დაცვას მთელ მსოფლიოში. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური წინსვლის ერთ-ერთო ეფექტიანი საშუალებაა.

1994 წლიდან საქართველო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის წევრია, პარიზის კონვენციის და საერთაშორისო საპატენტო კოოპერაციის თანამონაწილეა.

გამოგონება - არის ტექნიკური ხასიათის ამოცანა, ინოვაციური, პროგრესიული შემოქმედებითი გადაწყვეტა მეცნიერების, კულურის, განათლების მეურნეობის სხვადასხვა დრგებში, რომელიც გამოიყენება პრაქტიკაში. მისთვის დამახასიათებელია აბსოლუტური ინოვაციურობა ანუ მსოფლიო სიახლეა, სარგებლიანობა და პრაქტიკული გამოყენებითობა.

პატენტი - არის დოკუმენტი, რომელიც გაცემულია კომპეტენტური ორგანოს მიერ და რომლიტაც დასტურდება გამოგონების, სასარგებლო მოდელის, ან სამრეწველო ნიმუშის სიახლის სახელმწიფოებრივი აღიარება, რომელიც მის მფლობელს ანიჭებს მონოპოლირ უფლებას, ამ გამოგონებაზე განსაზღვრული ვადით. პატენტის მოქმედების ვადა 20 წელია.

სასაქონლი ნიშანი - არის ორიგინალურად გაფორმებულიგანმასხვავებელი გამოსახულებიტი სიმბოლო, რომლის დანიშნულებაა ერთგვაროვანი საქონლის იდენტიფიკაცია და მისი მწარმოებლის ინდივიდუალიზაცია.ა მისი აქტივების ღირებულებას შორის.

გუდვილი - საერთაშორისო ბიზნესი პრაქტიკაში გაოყენებული არამატერიალური აქტივის სახე, რომელიც წარმოადგენს სხვაობას, აქუციონის ან ტენდერის წესით შეძენილი საწარმოს ფასსა და მის საბაზრო ღირეწბულებას შორის.

ნოუ-ჰაუ - წარმოადგენს საიდუმლოებათა ამსახველ განმაზოგადებელ ტერმინს, რომელიც მოიცავს ცოდნას, გამოცდილებას, აგრეთვე ტექნიკურ, ეკონომიკურ, ადმინისტრაციულ, ფინანსურ და სხვა ხასიათის ცნობების ერთობლიობას.

ინჟინირინგი- სამეცნიერო-ტექნიკური გაცვლის მნიშვნელოვანი სახეა, რომელიც ითვალისწინებს კონტრაქტის საფუძველზე საინჟინრო ტექნიკური მომსახურების გაწევას და მოიცავს ობიექტის პროექტირებას, მსენებლობას, საწარმოო-ტექნიკური სიმძლავრეების სრულყოფას, ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემუსავებასა და წარმოებაში დანერგვას.

განასხვავებენ საექსპლოტაციო, საკონსულტაციო და საერთო ინჟინირინგს.

საექსპლუატაციო ინჟინირინგი მოიცავს შემკვეთისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების მიწოდებას და მის ექსპლუატაციას.

საკონსულტაციო ინჟინირინგი დაკავშირებულია ობიექტის პროექტირებასთან და სამშენებლო გეგმების შემუსავებასთან.

საერთო ინჟინირინგი მანქანა მოწყობილობებისა და ტექნიკური ინვენტარის ფრენშიაინგი – პრივილეგიების (შეღავათების) მინიჭების სისტემაა, მიწოდებასა და დამონტაჟებას გულისხმობს.

ფრენჩაიზინგი--მსხვილი და მცირე საწარმოების ინტეგრაციის ფართოდ გავრცელებული საერთაშორის ბიზნესის სახეობაა, რომელიც კომერციული სახელშეკრულებო სისტემის საფუძველზე ხორციელდება. ფრენაინგის განვითარების ისტორია იწყება XIX საუკუნის დასაწყისიდან, მაგრამ განსაკუთრებულ დონეს მიაღწია XX საუკუნის 80-იანი წლებიდან.

ფრენჩაიზი სანაცვლოდ მეთაურ კომპანიას ბაზარზე მისი სახელით მოქმედების უფლების მინიჭებისათვის გარკვეულ გასამრჯელოს უხდის, რომლის ოდენობა დამოკიდებულია კაპიტალტევადობის მოცულობაზე, სარეკომენდაციო-საკონსულტაციო მომსახურებაზე, პერსონალის მომზადებაზე და ბუღალტრულ სამუშაოებზე.

განასხვავებენ ფრენშიაინგის სამ ტიპს; საწარმოო,სავაჭრო(სასაქონლო)და სალიცენზიო.

ლიცენზირება – გულისხმობს გამოგონებათა, ასევე ტექნიკური სიახლეების გამოყენებას და საწარმოო-კომერციული საიდუმლოებების (ნოუ-ჰაუ) გადაცემას.სალიცენზიო შეთანხმება არის კონტრაქტი, რომლის გაფორმების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების მფლობელი (ლიცენზიარი) თავის კონტრაგენტს (ლიცენზიატს) ანიჭებს უფლებამოსილებას ლიცენზიის გამოყენებაზე დროის განსაზღვრულ ფარგლებში.

მმართველობითი კონტრაქტი -წარმოების მოცულობის შესაბამისად ჩვეულებრივ 3_დან 5 წლამდე ფორმდება,ხოლო ანაზღაურება ფიქსირებული თანხით განისაზღვრება წარმოების მოცულობის შესაბამისად. მმართველობითი კონტრაქტები ფართოდ გამოიყენება მსხვილ კომპანიებს შორის, რომლებიც საქმიანობენ სამშენებლო და სასტუმროების ბიზნესის სფეროში.

ლიზინგი არის ძვირადღირებული მანქანა-მოწყობილობების, ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, საწარმოო დანიშნულების ნაგებობების გრძელვადიანი იჯარა (5 წ-დან რამდენიმე ათეულ წლამდე) .

სალიზინგო ოპერაციები ხორციელდება სალიზინგო ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლის თანახმად სალიზინგო ქონების მფლობელი (მეიჯარე) იძენს ძვირადღირებულ მანქანა მოწყობილობებს და იჯარით გასცემს რამდენიმე წლით ლიზინგის მიმღებზე

ფაქტორინგი წარმოადგენს მცირე და საშუალო ფირმებისათვის კომერციული ბანკებისა და შვილობილი ფაქტორ კომპანიების მიერ გაწეული ფინანსური მომსახურების სახეს, რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში, ფაქტორ ფირმა კლიენტებისაგან ვალების გადახდის უფლებას ღებულობს და თავის კლიენტებს ნაწილობრივ უნაზღაურებს არსებული ვალის 70%-დან 90%-მდე, ხოლო პროცენტების გამოკლებით ვალის დანარჩენი ნაწილი კლიენტებს უბრუნდება მევალის მიერ მთლიანად დაფარვის შემდეგ.

ფორფეიტინგი ეწოდება ექსპორტიორის დაკრედიტებას იმპორტიორის მიერ აქცეპტირებულთამასუქების ყიდვის გზით. ფორფეიტინგული გარიგების არსი მდგომარეობს შემდეგში; ექსპორტიორი უცხოელი მყიდველისაგან იღებს თამასუქებს, რომელთა გადახდა გარკვეული პერიოდის შემდეგაა გათვალისწინებული. ბანკი იპორტიორის ქვეყანაში ასეთ საბრუნავ დოკუმენტებს უკეთებს ავალირებას. ფორფეიტინგი ექსპორტიორის ინტერესებს ემსახურება, რადგან იგი ექსპორტიორს ათავისუფლებს მყიდველის ვალების ამოღების პასუხისმგებლობისაგან. გამორიცხავს საკრედიტო რისკებს დებიტორული დავალიანების შემცირებით აუმჯობესებს ფულად ბალანსს და ექსპორტიორს ეძლევა ნაღდი Fფულის დაუყოვნებელი მიღების შესაძლებლობა.

აუთსორსინგი -- საერთაშორისო ბიზნესში მაღალეფექტიანი და კონკურენტუნარიანი ორგანიზაციების შექმნის თანამედროვე მეთოდოლოგიაა, რომელიც აუთსორსერების მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ცალკეული ბიზნეს_პროცესების შესრულებასთან არის დაკავშირებული (საწარმოო, კომერციული, სერვისული, საინფორმაციო, ფინანსური, მმართველობითი და სხვა სახით), რომლის განსახორციელებლად აუთსორსერებს განსაკუთრებული რესურსული და ტექნოლოგიური პოტენციალი გააჩნია.

თანამედროვე ეტაპზე ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარებამ, ინვესტიციების დივერსიფიკაციამ და სამეურნეო წარმოების ინტერნაციონალიზაციამ ურთიერთდაკავშირებული გახადა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები, გლობალიზაციის პირობებში მკვეთრად ამაღლდა საერთაშორისო ბიზნესის როლი და მნიშვნელობა, ბიზნესმა არალოკალური, არამედ უნიფიცირებული და გლობალური ხასიათი მიიღო. ინტერნაციონალიზაცია, ტრანსნაციონალიზაცია, გლობალიზაცია თანამედროვე გლობალური ბიზნესის ფუნდამენტური საფუძველია, რაც წარმოადგენს საქონლის, მომსახურების, წარმოების ფაქტორების გლობალური ბაზრების ფორმირების პროცესს. გლობალიზაციის პირობებში ქვეყნების სამეურნეო კავშირურთიერთობები მნიშვნელოვნადაა ინტეგრირებული. მაღალტექნოლოგიური წარმოების ზემოქმედებით მრავალი დარგი პროდუქციას აწარმოებს არა მარტო ეროვნული, არამედ საერთაშორისო ბაზრებისათვის, ამასთან რაც უფრო მაღალგანვითარებულია ქვეყანა მით უფრო აქტუალურია და მოტივირებულია მისთვის საერთაშორისო ბიზნესის განვითარების აუცილებლობა, რადგანაც არა თუ განვითარებადი ქვეყანა, არამედ განვითარებული ქვეყნის ეროვნული მეურნეობა ვერ იარსებებს ავტარქიულ გარემოში, ვინაიდან საერთაშორისო ბიზნესი ეროვნული საზოგადოებრივი კაპიტალბრუნვის ორგანული ნაწილია და იგი არა მარტო აფართოებს ეროვნული ბიზნესის ფარგლებს, არამედ გვევლინება, როგორც წარმოების განვითარებისა და კაპიტალის ზრდის ერთ-ერთი საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ბიზნესი ხელს უწყობს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობას,სახელმწიფოთა შორის კომერციული დავებისა და ბარიერების მინიმუმამდე შემცირებას, მაგრამ არც ერთი ქვეყანა არ იძლევა თავის ტერიტორიულ

ფარგლებში საქონლისა და მომსახურების არარეგულირებადი ნაკადების მოძრაობის უკონტროლოდ დაშვების უფლებას.

გლობალიზაციის თანამედროვე პროცესს აქვს მნიშვნელოვანი ინსტიტუციური მხარდაჭერა, რის დასტურიცაა რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების არსებობა. ისინი სახელმწიფოსთან ერთად ახორციელებენ საერთაშორისო ბიზნესის მხარდაჭერასა და რეგულირებას.

საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო ორგანიზაციები: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, რომელთა ძირითადი მიზანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სამეურნეო კავშირურთიერთობების განვითარება და დარეგულირება, საერთაშორისო ბიზნეს ოპერაციების კეთილსინდისიერ და ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე აგება.

1.2. საერთაშორისო ბიზნესის რეგულირების საგანი, კურსის მიზანი და ამოცანები

თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოები საერთაშორისო ბიზნესის სხვადასხვა ფორმებითა და სამეურნეო კავშირებით ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდაქვემდებარებულია, რაც გლობალური ბიზნესის ერთიან სისტემას ქმნის. სამეურნეო კავშირები კი საქონლის, მომსახურების, ფინანსური რესურსების, ინვესტიციების, სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის გაცვლის, ადამიანისეული კაპიტალის ტრანსსასაზღვრო მოძრაობაში ვლინდება. მაშასადამე, საერთაშორისო ბიზნესის ჩარჩოებში ზემოთაღნიშნული რესურსები აქტიურად გადაადგილდება ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში მაქსიმალური მოგებისა და მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

საერთაშორისო ბიზნესში საქმიანი ურთიერთობები რამდენიმე შემადგენელ ნაწილად წარმოგვიდგება:

- საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა;
- უცხოური ინვესტიციები;
- საერთაშორისო საფინანსო, სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები;
- სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის საერთაშორისო გაცვლა(ფრენჩაიზინგი, ინჟინირინგი და სხვა);
- საერთაშორისო მიგრაციული ურთიერთობები;
- საერთაშორისო ჰუმანიტარულ-ეკონომიკური დახმარებები და სხვა.

სასაქონლო, მომსახურებითი, სავალუტო-საკრედიტო, საინვესტიციო ნაკადები ფინანსურად სახელმწიფოთა საგადასახდელო ბალანსებში ფიქსირდება და ყოველწლიურად სხვადასხვა სახეობის რესურსების ტრანსსასაზღვრო მოძრაობის მოცულობები იზრდება და თანდათანობით ეროვნული ეკონომიკის ჩარჩოებს სცილდება, შესაბამისად გამუდმებით საერთაშორისო ფაქტორის გავლენას ინტენსიურად განიცდის.

სამეურნეო ინტერნაციონალიზაცია, ტრანსნაციონალიზაცია, ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება და ლიბერალიზაცია ობიექტურად იწვევს ამ პროცესებში სამართლებრივი ნორმებით რეგულირების აუცილებლობას, ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სახელმწიფოთა შიდა სამართლებრივ სისტემებს არ შეუძლია საერთაშორისო ბიზნესის მრავალფეროვანი საქმიანი კავშირების (ტრანსსასაზღვრო) სამართლებრივი რეგულირება. ასეთი როლის შესრულება მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ნორმების ერთობლიობას შეუძლია, რომელიც ყოველი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ არსებულ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს მოაწესრიგებს და საერთაშორისო ხასიათი ექნება.

საერთაშორისო ბიზნესის მრავალფეროვანი ურთიერთობები საბაზრო მეურნეობრიობის შემადგენელი ნაწილი და ერთ-ერთი კომპლექსური სფეროა, მასში ფოკუსირდება გლობალური ბიზნესისა და ეროვნული ეკონომიკათა თანამედროვე პრობლემები, რომელთა ინტენსიური განვითარება ურთიერთპარარალელურად და მჭიდრო ურთიერთგადაჯაჭვულობით ხასიათდება. სამეურნეო ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის კვალობაზე საერთაშორისო ბიზნესის მასშტაბები, შესაბამისად საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, შრომითი რესურსების სართაშორისო(ტრანსსასაზღვრო გაცვლა) ნაკადმოდრობები გამუდმებით იზრდება და რთულდება.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების სრულყოფილად ჩამოყალიბების საქმეში და საერთაშორისო თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყნის ინტეგრირებისათვის საჭიროა მსოფლიო სასაქონლო, საფინანსო-საკრედიტო და სხვა ბაზრებზე ზოგად მიღებული ქვეყნის წესებისა და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ცოდნის ობიექტური საჭიროება.

სასწავლო კურსის საგანია საერთაშორისო ბიზნესის მრავალფეროვანი ურთიერთობების მარეგულირებელი(საერთაშორისო ვაჭრობა, უცხოური ინვესტიციები, საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები, სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის გაცვლა და სხვა) საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე სასწავლო კურსის ამოცანებია:

- გლობალური ბიზნესის სისტემაში საერთაშორისო ბიზნესის სამართლის ადგილისა და როლის განსაზღვრა;
- საერთაშორისო ბიზნესის სამართლის სუბიექტების სამართლებრივი სტატუსისა, ფუნქციების, პრინციპების და ვალდებულებების დადგენა;
- სახელმწიფოთა ორმხრივი და მრავალმხრივი სახელშეკრულებო შეთანხმებების სამართლებრივი ასპექტების შეფასება და წარმოჩენა;
- საერთაშორისო კომერციული დავების სამართლებრივი მიდგომების ჩვენება და მარეგულირებელი ნორმების დადგენა;
- საერთაშორისო სავაჭრო, საფინანსო-საკრედიტო, საინვესტიციო-სადაზღვევო, საფინანსო-საბანკო, სატრანსპორტო, ტურისტული, საბაჟო და სხვა საქმიანი ურთიერთობების სამართლებრივი საკითხების გადმოცემა და მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების წარმოჩენა.

საერთაშორისო ბიზნესის სამართალიც მეტად მრავალფეროვანია და მისი საკვლევი სფეროც საკმაოდ ფართოა. კერძოდ, საერთაშორისო სავაჭრო, საფინანსო-საკრედიტო, საინვესტიციო, საბანკო, სადაზღვევო, საბაჟო და სხვა. რომელთა სამართლებრივი ნორმებით რეგულირებაში აქტიურად ერთვებიან უნივერსალური

კომპეტენციის(გაერო, ეუთო, ევროსაბჭო) და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციები, ცალკეულ სახელმწიფოთა ინტეგრაციული ჯგუფები და სხვა. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების ეპოქაში აღნიშნული პროცესები გამუდმებით ძლიერდება და შესაბამისად, საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი რეგულირება აქტუალობას იძენს და დინამიურად ვითარდება.

საერთაშორისო ბიზნესის სამართალი ეწოდება საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომელიც საერთაშორისო ბიზნესის მრავალფეროვან საქმიან ურთიერთობებს სამართლებრავად არეგულირებს, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოთაშორისო თანამშრომლობაში ჰარმონიზაციას, უნიფიკაციას და სტანდარტიზაციას.

1.3. საერთაშორისო სამართლის და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ურთიერთკავშირი;

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმები დამოუკიდებელი სამართლებრივი სისტემებია. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, როგორც მიღების წესით და რეგულირების ობიექტით, ასევე მისი აღსრულების მექანიზმით. შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმები მიიღება სახელმწიფოს შესაბამისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები კი დგინდება სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებების შედეგად. მიუხედავად მათი ავტონომიურობისა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმები ურთიერთშეთანხმებულია და მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. უპირველესად მათი ურთიერთშეთანხმებულობა განპირობებულია სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობით, როგორც საერთაშორისო, ასევე შიდასახელმწიფოებრივი სამართალი კონკრეტული სახელმწიფოს ნების გამოხატვის შედეგია იმ განსხვავებით, რომ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებში გამოხატულია ორი ან მეტი სახელმწიფოს ნება-სურვილი, ხოლო შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმები გამოხატავენ კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობის ნება-სურვილს.

გარდა ამისა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ხშირ შემთხვევებში საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები პირდაპის გამოიყენება შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. ასე მაგალითად, საქართველოს მიერ მთელ რიგ ქვეყნებთან დადებული ხელშეკრულებები "თავისუფალი ვაჭრობის შესახებ" ითვალისწინებს საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლებას თუ საქონელი წარმოშობილია ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე და განკუთვნილია მოსახმარებლად მეორე ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე. საქართველოს კანონმდებლობა ასეთ განთავისუფლებას არ ითვალისწინებს და შესაბამისად მოქმედებს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა ანუ ამ შემთხვევაში საერთაშორისო ხელშეკრულება "თავისუფალი ვაჭრობის შესახებ". საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში

გაწევრიანებასთან დაკავშირებით და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი მოვალეობებიდან გამომდინარე ვალდებულია შესაბამისობაში მოიყვანოს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ეროვნული კანონმდებლობა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მიღებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით "საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ" საქართველოს 1998 წლის 20 მარტის 9 გვერდიან კანონში შეტანილი იქნა 2003 წელს 348 გვერდიანი ცვლილება და დამატება, რომლითაც დადგინდა საბაჟო გადასახადის განაკვეთი ცალკეული საქონლის სახეობების მიხედვით.

აღნიშნულთან ერთად საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების უპირატესი იურიდიული ძალა შედასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად "საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

თანამედრვე მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუციით დადგენილია საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების უპირატესი იურიდიული ძალა ეროვნული კანონმდებლობის მიმართ და ეს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები აღიარებულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განუხრელ ნაწილად. უკრაინის კონსტიტუციის მე-9 მუხლის შესაბამისად უკრაინის მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც რატიფიცირებულია უკრაინის უმაღლესი რადის მიერ, აღიარებულია ეროვნული კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილად.. იგივე დებულებაა დადგენილი გერმანიის, საბერძნეთის, ბულგარეთის და სხვა ქვეყნების კონსტიტუციებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები არეგულირებენ, როგორც სახელმწიფოთაშორის წარმოქმნილ ურთიერთობებს, ასევე გარკვეულ შემხვევებში შიდასახელმწიფოებრივ სფეროს მრავალ მიმართულებებს. საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი სისტემები წარმოშობილი მრავალმიმართულებიანი ურთიერთობების დარეგულირების მიზნით გამოიყენება ურთიერთშეთანხმებულად და ერთობლივად.

ამავე დროს სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით დადგენილი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება თავისთავად პოულობს ასახვას ეროვნულ კანონმდებლობაში. საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოთაშორისი ვალდებულებების განუხრელი შესრულება. საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოების პოზიცია დაფიქსირებულია ვენის 1969 წლის კონვენციაში "საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ", რომლის 27-ე მუხლის საფუძველზე მონაწილე სახელმწიფოს არა აქვს

უფლება მიუთითოს და დაეყრდნოს ეროვნულ სამართლებრივ ნორმებს ხელშეკრულებებით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამართლებისათვის. იგივე მიდგომაა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და არ არეგულირებს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით დადგენილ ურთიერთობებს. ამ დროს შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, როგორც ზემოთ მივუთითეთ მოქმედებს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა.

1.4. გლობალური, ზენაციონალური, ეროვნული და ტრანსნაციონალური სამართლის დახასიათება.

გლობალური სამართლებრივი სისტემა. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია სათანადო პირობებს ქმნის იმისათვის, რომ ერთი მხრივ, ერთიანი ეკონომიკური სივრცე შეიქმნას, ხოლო მეორე მხრივ, მისი შესაბამისი პოლიტიკურ-სამართლებრივი ზედნაშენი ჩამოყალიბდეს.

სამართალი ასეთი ზედნაშენის ნაწილია. ფაქტობრივად საუბარია გლობალური სოციალური სისტემის ფორმირებაზე, რომელშიც მომწიფდა გლობალური პრობლემები, გამოიკვეთა საკუთარი ინტერესები, ინსტიტუციონალური და ნორმატიული მექანიზმები.

ამ გლობალურ სისტემაში, რომელიც გათვლილია სახელმწიფოთა დემოკრატიულ მმართველობაზე, საბაზრო ურთიერთობებზე, შეიძლება გამოიყოს ურთიერთობის რამდენიმე დონე, რომლებიც რეგულირებას მოითხოვს:

- საერთაშორისო სამართალი რეგულირებადი ურთიერთობა (მაგ., სახელმწიფოთაშორისო ანუ საჯარო სამართლის პირებს შორის ურთიერთობა);

- შიდასახელმწიფოებრივი სამართალი რეგულირებადი ურთიერთობა (მაგ., კერძოსამართლებრივი ურთიერთობა უცხოელ ელემენტებთან, ვთქვათ კომერსანტებთან, ინვესტორებთან);

- სხვადასხვა ქვეყნის კერძო პირებს შორის ურთიერთობა ისეთ საკითხებზე, რომლებიც არც შიდა და არც საერთაშორისო სამართალით არ რეგულირდება ან რეგულირდება საერთო-ნებადართული საშუალებით, როცა მოქმედებს პრინციპი: "ნება-დართულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის". ასეთ შემთხვევაში სხვადასხვა ქვეყნის კერძო პირები რეგულირების საკუთარ, ავტონომიურ სისტემას ქმნიან, რომელიც საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის მსგავსია და მას ტრანსნაციონალური სამართალი ეწოდება;

- ზეეროვნული იურისდიქციის სფეროში ურთიერთობა, მათ საერთო-გლობალური პრობლემებისა და ინტერესების არსებობა განაპირობებს და იმ ნორმებით რეგულირდება, რომელსაც ზეეროვნული სამართალი ეწოდება.

ზემოხსენებულ სამართლებრივ ურთიერთობათა მთელი ერთობლიობა გლობალურ სამართლებრივ სისტემას ქმნიან.

ტრანსეროვნული სამართალი. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მთავარ მოქმედ პირებად, უპირველესად, ტნკ-ები ანუ ე.წ. "ეკონომიკური

ოპერატორები" გამოდიან. სწორედ ისინი ქმნიან საკუთარ ავტონომიურ სისტემას, რომლის სამართლებრივი ზედნაშენი ტრანსეროვნული სამართალია.

ტნკ-ები ფაქტობრივად სახელმწიფოთა კონკურენტებია. ამასთან, ისინი სახელმწიფოებს ეკონომიკური ურთიერთობის რეგულირების პროცესში აქტიურ ჩართვასაც აიძულებენ.

უფრო მეტიც, ტნკ-ებს აქვთ საკუთარი ინტერესები, რომლებიც, ზოგჯერ, არ ემთხვევა რიგ სახელმწიფოთა ინტერესებს და მთლიანობაში წინააღმდეგობაშია საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის მოთხოვნებთანაც. მაგ., ისინი ქმნიან ჩაკეტილ საერთაშორისო სავაჭრო სისტემას იმ თვალსაზრისით, რომ იყენებენ ე.წ. "ტრანსფერტულ ფასებს", რომლებიც არცთუ ყოველთვის შეესაბამება იმ ფასებს, რასაც კომერციული გარიგებების დროს ჩვეულებრივ მიმართავენ. განვითარებული სახელმწიფოები საკუთარი ტნკ-ების მეშვეობით უზრუნველყოფენ კონტროლს აუცილებელი სანედლეულო რესურსების წყაროებზე, ცალკეულ სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე.

ტრანსეროვნული სამართლის კონცეფციის მთავარი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ეს მონაწილეები (ტნკ-ები) საკუთრივ თვითონ ქმნიან ქცევის იმ სამართლებრივ ნორმებს, რასაც ხშირად, არც შიდა და არც საერთაშორისო სამართალი არ ითვალისწინებს.

ამგვარად, ტრანსეროვნული სამართალი გვევლინება, როგორც სინთეზური სამართლებრივი სფერო, რომელშიც ურთიერთზემოქმედებენ როგორც საერთაშორისო სამართლის, ისე შიდა სამართლის სუბიექტები.

ტნკ-ები აფორმებენ ხელსეკრულებებს, როგორც სახელმწიფოებთან, ისე ერთმანეთთან და ამით შიდა და საერთაშორისო სამართალს შორის "შუალედურ", "ავტონომიურ" სამართალწესრიგს ქმნიან.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ტრანსეროვნული სამართლის ჩარჩოებშია მოქცეული არა მარტო ეკონომიკური, არამედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პრობლემები, პროცესუალური და კოლიზიური ნორმები და ა.შ.

ზეეროვნული სამართალი. მრავალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ (გაერთიანებამ) სუვერენულ წევრ-სახელმწიფოებზე სამართლებრივი ზემოქმედების უფლებამოსილება შეიძინა. აღნიშნულმა პროცესმა ზეეროვნული (ეროვნულზე მაღლა მდგომი) სამართლის სახელწოდება მიიღო. ასეთი სახეობის სამართალია ევროკავშირის სამართალი, სსფ-ის სამართალი და სხვა.

ზეეროვნული ორგანიზაციების (გაერთიანებების) სამართლის ნიშნებია ის, რომ მათი:

- სამართალი ამ ორგანიზაციის წევრი-სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივ სამართლად გვევლინება;
- სამართალი ამ ორგანიზაციის წევრი-სახელმწიფოების მოქმედი იურიდიული კონტროლიდან გამოდის;
- ჩინოვნიკები მხოლოდ ამ ორგანიზაციის ინტერესებით ხელმძღვანელობენ; გადაწყვეტილებები ხმათა უმრავლესობით და არა დაინტერესებული მხარეების უმუშალო მონაწილეობით მიიღება და სხვა.

ლექცია 2

თავი.2. საერთაშორისო ბიზნესის სამართლის სუბიექტები, წყაროები და პრინციპები

- ❖ საერთაშორისო ბიზნესის სამართლის ძირითადი სუბიექტები
- ❖ სახელმწიფოს სამართლებრივი სტატუსი, მისი ფუნქციები, უფლებები და ვალდებულებები;
- ❖ სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობა;
- ❖ სახელმწიფოს სუვერენიტეტი, იმუნიტეტი და იურისდიქცია;
- ❖ ბიზნესის მარეგულირებელი სახელისუფლებო ორგანოები საქართველოში;
- ❖ საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიკაცია და სამართალსუბიექტობა;
- ❖ საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და მნიშვნელობა საერთაშორისო ბიზნესის რეგულირებაში;
- ❖ ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი სტატუსი..

2.1.საერთაშორისო ბიზნესის სამართლის ძირითადი სუბიექტები

საერთაშორისო ბიზნესში აქტიურად მოქმედებენ საჯარო სამართლის იურიდიული პირები- სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები, კერძო სამართლის ფიზიკური და იურიდიული პირები: ტრანსნაციონალური კორპორაციები, მეწარმეთა გაერთიანებები, სავაჭრო სამრეწველო პალატები, ერთობლივი საწარმოები, კომერციული ბანკები, საფინანსო-საინვესტიციო ორგანიზაციები, სასაქონლო, საფონდო, სავალუტო ბირჟები, ინვესტორები, კომერსანტები, და სხვა. ბიზნეს სუბიექტების ამგვარი მრავალფეროვნება შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგი სახით

- ❖ საერთაშორისო კომპანიები
- ❖ სახელმწიფო ორგანიზაციები და დაწესებულებები
- ❖ მეწარმეთა გაერთიანებები
- ❖ საერთაშორისო ორგანიზაციები
- ❖ ფიზიკური და იურიდიული პირები

საერთაშორისო ბიზნესის ოპერაციების უმეტესი ნაწილი ტრანსნაციონალური კომპანიების მეშვეობით ხორციელდება ,რადგანაც XXI საუკუნეში მსოფლიო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ტრანსნაციონალიზაციის სწრაფად მზარდი პროცესი. ამ პროცესში ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ ტრანსნაციონალური კომპანიები . ტეკ_ები არიან კომერსანტები, ინვესტორები, სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის გამავრცელებლები, საერთაშორისო შრომითი რესურსების მიგრაციის სტიმულატორები და უმთავრესად განსაზღვრავენ მსოფლიო ბაზრის დინამიკას და სტრუქტურას, საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის დონეს, კაპიტალის მოძრაობას და ტექნოლოგიების გადაცემას,

წამყვან როლს ასრულებენ წარმოების ინტერნაციონალიზაციაში და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებაში.

ტრანსნაციონალური კორპორაციები სამართლებრივი ფორმით სააქციო საზოგადოებებია, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალის კონცენტრაციას უზრუნველყოფენ, მრავალ სახელმწიფოში თავის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს ქმნიან და მეთაური ბირთვის(დედა კომპანიის) მეშვეობით მათი საქმიანობის კონტროლსა და კოორდინაციას ახორციელებენ.

საერთაშორისო ბიზნესის პრაქტიკაში დამკვიდრებულია საერთაშორისო კორპორაციების მრავალგვარი სახელწოდება, მაგრამ უპირატესად გავრცელებულია საერთაშორისო კორპორაციების შემდეგი კლასიფიკაცია: ტრანსეროვნული კორპორაციები, მრავალეროვნული(მულტინაციონალური) კორპორაციები და გლობალური კომპანიები.

ტრანსეროვნული კორპორაციები- ეროვნული არიან კაპიტალით და საერთაშორისო ბიზნესის ოპერაციებით ინტერნაციონალური (პირდაპირ უცხოურ ინვეტიციებს ახორციელებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში).

ტრანსეროვნული კორპორაციებისათვის დამახასიათებელია ხუთი ძირითადი ნიშანი:

- ტეკ-ი თავისი სტრუქტურული ერთეულებით ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონის რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად უნდა ფუნქციონირებდეს;
- ტეკ-ის ფილიალების ხელმძღვანელი მუშაკები ძირითადად ადგილობრივი კადრებიდან უნდა შეირჩეს;
- ტეკ-ის საზღვარგარეთულ სტრუქტურულ ერთეულებს საკუთარი საწარმო, სავაჭრო და მომსახურების საწარმოები უნდა გააჩნდეთ;
- მეთაური კომპანიის ხელმძღვანელობა მრავალეროვნული უნდა იყოს;
- ტეკ-ის ქონება სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს უნდა ეკუთვნოდეს;

მრავალეროვნული კორპორაციები- რამდენიმე ქვეყნის ეროვნული კომპანიების კაპიტალს აერთიანებს (საწარმოო, სავაჭრო და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის მიზნით) და მრავალეროვნული კაპიტალით საერთაშორისო ბიზნეს ახორციელებს მსოფლიო მასშტაბით. ეს კორპორაციები ინტერნაციონალურია კაპიტალით, კონტროლით და სამეურნეო საქმიანობით.

მრავალეროვნული კორპორაციების განმასხვავებელი ნიშნებია:

- მრავალეროვნული სააქციო კაპიტალისა და ხელმძღვანელი ცენტრის არსებობა;
- სტრუქტურული ქვედანაყოფების (ფილიალების) ადმინისტრაციის ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტება;

გლობალური კომპანიები ფართოდ გავრცელდა XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, რაც გამოწვეულია გლობალიზაციის პროცესებში მათი აქტიურობით და მნიშვნელობით. ისინი მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების წარმოების და ფინანსური კაპიტალის ეფექტიანი გამოყენების უმთავრეს ძალას წარმოადგენენ. მათ

იზიდავთ საავტომობილო, ნავთობ-ქიმიური, ელექტროტექნიკური მრეწველობა და საფინანსო-საბანკო დარგები.

გლობალური კომპანიები მინიმუმამდე ამცირებენ ეროვნული საზღვრების მნიშვნელობას და მსოფლიო ბაზარს თავიანთ სამოქმედო სივრცედ მიიჩნევენ. მათ პრეტენზიები გაჩნიათ საქონლისა და მომსახურების წარმოების საკვანძო პოზიციების დაუფლებით მსოფლიო მოთხოვნა დააკმაყოფილონ.

ზემოთ აღნიშნული თავისებურებების მიუხედავად თანამედროვე საერთაშორისო კორპორაციების დიდ უმეტესობას გააჩნია ტეკ-ის ფორმა, ამიტომ გაეროს ექსპერტები ტრანსნაციონალიზაციას განზოგადებული სახით ტრანსეროვნული კორპორაციების სახელწოდებასთან აიგივებენ.

1974წელს გაეროსთან არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში შეიქმნა ტეკ-ის ფენომენის შემსწავლელი კომისია, ამჟამად ტრანსნაციონალიზაციის კომისია გაერთიანებულია გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კომიტეტში (UNჩთAD), რომლის მასალების კვლევა და სტატისტიკა წარმოადგენს ოფიციალურ წყაროს ტეკ-ების საქმიანობისა და განვითარების შესახებ.

ტრანსნაციონალური კორპორაციები აკონტროლებენ მსოფლიო სამრეწველო წარმოების 50%-ს, საერთაშორისო ვაჭრობის 63%-ს, ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიების, "ნოუ-ჰაუს, პატენტებისა და ლიცენზიების მსოფლიო ბაზრის 80%-ს, ყავის, ჩაის, ხორბლის, სიმინდის, მთაწმინდის, ხე-ტყის და რკინის მადნის 90%-ს, კალის და ბოქსიტების 80%-ს, ბანანის, ნატურალური კაუჩუკის და დაუმუშავებული ნავთობის 75%-ს.

XX საუკუნის 90-იანი წლების დამლევს ტეკ-ების რიცხვი 44 ათასი იყო, ხოლო მათი საზღვარგარეთული ფილიალი 280 ათასი. XXI საუკუნის დასაწყისში კი 80 ათას მიაღწია, აქედან ნახევარზე მეტი ხუთ ქვეყანაზე (აშშ, იაპონია, გერმანია, ინგლისი და შვეიცარია) მოდის, საზღვარგარეთული ფილიალების რაოდენობამ 900 ათას გადაჭარბა, რაც თითქმის 4-ჯერ აღემატება პირვანდელ მაჩვენებელს.

მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან 3/5 ამერიკული და იაპონურია, მათი კაპიტალი 35 ტრილიონ დოლარად ფასდება, ხოლო ყოველწლიური მოგება 300 მლრდ დოლარს აღწევს.

საერთაშორისო საფინანსო სისტემაში ცალკე გამოყოფენ ტრანსნაციონალურ ბანკებს, რომლებიც საერთაშორისო მასშტაბით ახორციელებენ ბიზნესის დაკრედიტებას და ხელს უწყობენ საერთაშორისო საფინანსო, სავაჭრო, სავალუტო, საკრედიტო და საანგარიშსწორებო ურთიერთობებს. ტნბ-ები წარმოადგენენ ტეკ-ების განვითარების ფინანსურ საფუძველს. 500 მსხვილი ტრანსნაციონალური ბანკი მოიცავს მსოფლიო კომერციული ბანკების აქტივების 78%-ს, ანუ 45 ტრლ აშშ დოლარს, ხოლო 100 ტნბ --44%-ს, (20 ტრლ აშშ დოლარი).

ტნბ-ის უდიდესი ნაწილი კონცენტრირებულია განვითარებულ ქვეყნებში, ამ ქვეყნების ბანკების საერთო რაოდენობა აღემატება 25000-ს, ხოლო მათი ფილიალების რაოდენობა 110 ათასს შეადგენს, აშშ-ში ფუნქციონირებს 9000 ბანკი, დასავლეთ ევროპაში – 10 000, ხოლო იაპონიაში - 6000. თანამედროვე ეტაპზე ტნბ-ებს

მნიშვნელოვან კონკურენციას უწევენ სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები, საფინანსო-საინვესტიციო ორგანიზაციები. G

გლობალიზაციის თანამედროვე სპეციფიკა ტეკ-ებს საშუალებას აძლევს თავიანთი ფილიალები მსოფლიოს მასშტაბით განათავსონ, განვითარებული ქვეყნები თავის ხელში იგდებენ მრეწველობის უახლეს დარგებს, ხოლო შედარებით ძველ სფეროებს “ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს” გადასცემენ. მაგ. სამხრეთ კორეამ, ტაივანმა, სინგაპურმა, ჰონკონგმა ეკონომიკის სტაბილური განვითარებით მსოფლიო აღიარება მოიპოვა, მაგრამ მაღალი ტექნოლოგიების ფართო მასშტაბით დანერგვა და მსოფლიო ბაზრის კონტროლი ჯერ-ჯერობით მაინც ვერ შეძლეს. მოწინავე ქვეყნები განვითარების სრულიად ახალ საფეხურზე ავიდნენ და უახლეს მაღალმწარმოებლურ ტექნოლოგიებს დაეუფლენ (განსაკუთრებით ატომური ენერჯის, კოსმოსური სივრცის ათვისების, ლაზერული წარმოების, ნანოტექნოლოგიების, ელექტროტექნიკის, რობოტტექნიკის და სინთეზური მასალების წარმოების დარგში, რომლებიც ცვლიან ფოლადს, მადანს, ბამბას და ნატურალურ კაუჩუკს). აღნიშნულის თანახმად კიდევ უფრო გაღრმავდა განსხვავება განვითარებულ და ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის.

ტეკ-ების ურთიერთობა სახელმწიფოებთან უმთავრესად წინააღმდეგობრივია, რადგან ტრანსეროვნული კორპორაციების საფინანსო და საინვესტიციო ნაკადების კონტროლი დღითიდღე შეუძლებელი ხდება, მაგრამ სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ ადექვატური რეაგირება მოახდინონ, თუმცა ზემოქმედების ეფექტური ბერკეტები ჯერ კიდევ არ გააჩნიათ.

განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში ხშირად ადგილი აქვს ტეკ –ების მხრიდან ნეგატიურ დამოკიდებულებას:

- ადგილობრივ კომპანიებთან კონკურენციის გამძაფრება;
- მოძველებული და ეკოლოგიურად საშიში ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება;
- სამრეწველო წარმოების პერსპექტიული სეგმენტების და ბუნებრივი რესურსების ხელსაყრელ პირობებში დაუფლება;
- საკანონმდებლო მოთხოვნების თავის არიდება და საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობა;
- მონოპოლიური ფასების დაწესება და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გაუთვალისწინებლობა;

ამასთან ერთად აღსანიშნავია ტრანსნაციონალური კორპორაციების დადებითი ზეგავლენა განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაზე, კერძოდ:

- ექსპორტის ზრდა და საექსპერტო სასაქონლო ნომენკლატურის გაფართოება;
- მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფა და მათი შემოსავლების ზრდა;
- თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა;
- ინოვაციური პროცესების დაჩქარება;

ტეკ-ების მართვის სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს კომპანიის მიერ უცხოეთში განლაგებული ფილიალების შეუფერხებელი მართვა. მეთაური კომპანია ტეკ-ების საწარმოთა მთელი სისტემის ადმინისტრაციული ცენტრია. მის ფუნქციებში შედის:

გადაწყვეტილების მიღება სხვა კომპანიებთან მიერთების, ახალი კომპანიების შექმნის და არაეფექტიანი ფილიალების ლიკვიდაციის შესახებ, მთლიანად კორპორაციების საწარმოო, საინვესტიციო და ფინანსური პოლიტიკის შემუშავება, კონტროლი ფინანსებზე და ფილიალების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე.

საზღვარგარეთული ფილიალების ძირითადი ორგანიზაციული ფორმებია:

ქალიშვილი კომპანია _იურიდიულად დამოუკიდებელი არიან, მაგრამ სამეურნეო საქმიანობით დედა კომპანიაზე დამოკიდებული და აქციების 50% მათ ეკუთვნით, ქალიშვილი კომპანიები თავად დებენ გარიგებებს, გააჩნიათ განცალკავებული ქონება და ფინანსური სახსრები. მეთაური კომპანია პასუხს არ აგებს ქალიშვილი კომპანიის ვალდებულებებზე და კრედიტორებს არ შეუძლიათ პრეტენზიის წარდგენა. დედა კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობით სარგებლობს.

ფილიალი--არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს, იგი მოქმედებს დედა კომპანიის სახელწოდებით და დავალებით, ფილიალის სააქციო კაპიტალი თითქმის მეთაური კომპანიის კუთვნილება.

ასოცირებული კომპანია_ტეკ_ის სისტემაში შემავალი საწარმოა მიმღებ ქვეყანაში, რომელშიც სათაო კომპანია ფლობს აქციათა არანაკლებ 10 და არაუმეტეს 50%-ს, სათაო კომპანია კოორდინაციას უწევს ასოცირებული კომპანიის საქმიანობას.

განყოფილება_არის ტეკ-ის მეთაური კომპანიის ნაწილი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს წარმომადგენლობის ფორმა საზღვარგარეთ, პარტნიორობის განყოფილება ადგილობრივ მეწარმებთან.

სახელმწიფო დაწესებულებები და ორგანიზაციები --საერთაშორისო ბაზარზე გამოდის თავისი ორგანოების სახით (სამინისტროების, სამთავრობო ორგანოების, სხვადასხვა უწყებების სახით), რომლებიც მიეკუთვნებიან საერთაშორისო ბიზნესის ძირითადი სუბიექტების მესამე კატეგორიას და საერთაშორისო კომპანიებისაგან განსხვავებით, მათ არ გააჩნიათ კომერციული მიზანი (მოგებაზე ორიენტაცია), არამედ საერთაშორისო ბაზარზე სამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ბიზნეს _ოპერაციები სუბსიდირებულია სახელმწიფო ბიუჯეტისაგან, რაც სახელმწიფოს გადაწყვეტილებითა და საზოგადოებრივი ინტერესებითაა განპირობებული. სახელმწიფო დაწესებულებები დაკავებულები არიან სახელმწიფო სესხის გაცემით, აქტიურად მონაწილეობენ საფონდო და სავალუტო ბირჟებზე, ჩართული არიან საკონცესიო ურთიერთობებში (ნებართვა უცხოელებისათვის სასარგებლო წიაღისეულის და ეროვნული სიმდიდრის დროებით გადაცემასთან დაკავშირებით), მონაწილეობენ საინვესტიციო პროექტებში, ერთობლივი საწარმოების შექმნაში და ა.შ.

სახელმწიფო ტრადიციულად განიხილება საჯარო სამართლის სუბიექტის როლში, მაგრამ ამასთან ერთად შეიძლება იყოს კერძო სამართლის სუბიექტი, ე.ი. ეს არის პირი, რომელიც შეიძლება გახდეს ქონებრივი და ბიზნესს ურთიერთობების მონაწილე. ამ შემთხვევაში სახელმწიფო (საჯარო პირი) საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს ახორციელებს ანუ კერძო პირების მიმართ თანაბარ იურიდიულ სტატუსში იმყოფება. თუ კერძო პირთან სახელმწიფო კომერციული მიზნით აფორმებს კონტრაქტს, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მიმართ იმუნიტეტი არ

ვრცელდება. სახელმწიფო სხვა ბიზნეს სუბიექტებისაგან განსხვავებით ფლობს სუვერენიტეტის და იმუნიტეტის უფლებას. სახელმწიფოს იმუნიტეტი (ხელშეუხებლობა) ვრცელდება სახელმწიფო ორგანოებთან მიმართებაში, მის თანამდებობრივ პირებთან, სახელმწიფო საკუთრებასთან, დიპლომატების ქონებასთან და ა.შ.

სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი იმუნიტეტის პრინციპი მჭიდროდ დაკავშირებულია სუვერენიტეტის სტატუსთან, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ორგანოების) უზენაესობას ქვეყნის შიგნით და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას საერთაშორისო ურთიერთობებში. სახელმწიფოების განსაკუთრებული სამართალსუბიექტის სტატუსი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ისინი არა მარტო ფლობენ უფლება-ვალდებულებებს, არამედ ისინი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე თვითონვე ქმნიან სამართლებრივ ნორმებს და უზრუნველყოფენ მათ შესრულებას.

მეწარმეთა გაერთიანებები--საერთაშორისო ბიზნესში მონაწილეობენ არა მოგების მიღების, არამედ მეწარმეთა ინტერესების დაცვისა და საერთაშორისო ბაზარზე სამეურნეო საქმიანობის გაფართოების მიზნით. მეწარმეთა კავშირები შეიძლება წარმოდგენილიყოს ასოციაციების, ფედერაციების, საბჭოების ფორმით, მათი საქმიანობის სფეროებია_სამრეწველო, სავაჭრო, მომსახურებითი, ტურისტული და სხვა. სკანდინავიის ქვეყნებში (ფინეთი, ნორვეგია, შვედეთი) მეწარმეთა კავშირები ახორციელებენ დიდი მოცულობის კომერციულ ოპერაციებს და საერთაშორისო ბაზარზე ცელულოზა_ქაღალდის, მერქანის ერთადერთ ექსპორტიორად გვევლინება.

საერთაშორისო ორგანიზაციები –არა მარტო აწესრიგებენ სახელმწიფოთა საგარეო ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირურთიერთობებს, არამედ საერთაშორისო ბიზნეს ოპერაციებში კონტრაგენტის როლში გამოდიან. საერთაშორისო ორგანიზაციების ძირითადი მიზანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სამეურნეო კავშირურთიერთობის განმტკიცება და სამართლებრივი დარეგულირება. საერთაშორისო ბიზნეს ოპერაციების კეთილსინდისიერ და ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე აგება.

საერთაშორისო ორგანიზაციების კლასიფიცირება საქმიანობის მიმართულებების და რეგულირების ობიექტების მიხედვით შეიძლება დავაჯგუფოთი შემდეგი პრინციპების მიხედვით:

- საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც სასაქონლო ბაზრებსა და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებს არეგულირებენ, მათ მიეკუთვნება-ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია, გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისია, საერთაშორისო სავაჭრო პალატა, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია და სხვა.
- საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საფინანსო, სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობებს არეგულირებენ_საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია,

განვითარების საერთაშორისო ასოციაცია, ინვესტიციების გარანტირების მრავალმხრივი სააგენტო, საინვესტიციო დავების დარეგულირების საერთაშორისო ასოციაცია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ამერიკული, აზიური . აფრიკული, იაპონური ბანკები და სხვა.

უნივერსალური კომპეტენციის გლობალური ორგანიზაციები-- ევროსაბჭო, ეუთო, ეთგოს სისტემის ორგანიზაციები, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა.

2.2.სახელმწიფოს სამართალ სუბიექტობის სტატუსი, მისი ფუნქციები, უფლებები და ვალდებულებები

სახელმწიფოს ეკონომიკური უფლება-ვალდებულებები:

სახელმწიფო ფლობს გარკვეულ ეკონომიკურ უფლებებს და შესაბამისი პასუხისმგებლობაც აკისრია, კერძოდ:

სახელმწიფოს უფლება აქვს:

- აირჩიოს საკუთარი ეკონომიკური სისტემა, საერთაშორისო ბიზნესის ურთიერთობის ფორმები, ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი რესურსების გამოყენების საშუალებები;
- განახორციელოს სუვერენიტეტი საკუთარ რესურსებზე, ბუნებრივ სიმდიდრეებსა და ეკონომიკურ საქმიანობაზე;
- ჩამოართვას (ნაციონალიზაცია) საკუთრება, შიდა სამართლითა და ეროვნული სასამართლოებით მოაწესრიგოს ამ საკითხთან დაკავშირებული დავები, გააკონტროლოს უცხოური ინვესტიციები, ტნკ-ების საქმიანობა;
- გადაწყვიტოს საკუთარი ეკონომიკურ-ფინანსური პრობლემები, ეკონომიკის სფეროში გააფორმოს ხელშეკრულებები; ითანამშრომლოს საერთაშორისო თანამეგობრობასთან.

სახელმწიფო ვალდებულებებია:

- ხელი შეუწყოს ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას;
- არ გამოიყენოს იძულებითი ხასიათის ისეთი ღონისძიებები, რომლებიც შელახავს სხვის სუვერენულ უფლებებს;
- ითანამშრომლოს სახელმწიფოებთან საერთო ბუნებრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენების სფეროში;
- უზრუნველყოს შესაბამისი კომპენსაცია (ანაზღაურება) უცხოური საკუთრების ნაციონალიზაციის, ექსპროპრეაციის ან სხვაზე გადაცემის შემთხვევაში;
- არ დაუშვას სხვა სახელმწიფოს დისკრიმინაცია ;
- უფრო სამართლიანი ქმედებებით ითანამშრომლოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში;
- გაითვალისწინოს განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ინტერესები;
- ითანამშრომლოს ვაჭრობის ლიბერალიზაციის უზრუნველსაყოფად და ამ სფეროში არსებული წინააღმდეგობების დასაძლევად;
- გააფართოოს და განამტკიცოს პრეფერენციული (შელავათიანი) სისტემა განვითარებადი ქვეყნებისათვის;

- ხელი შეუწყოს საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობასა და ახალი ტექნოლოგიების გავრცელებას.

2.3. სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობა.

სამართალ-მემკვიდრეობა არის ერთი სუბიექტიდან მეორეზე უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა.

სამართალმემკვიდრეობის საკითხი წარმოიშობა მაშინ, როცა:

სახელმწიფო რამდენიმე სახელმწიფოდ დაიშლება (მაგ., 1993 წ. ჩეხოსლოვაკია ჩეხეთად და სლოვაკეთად დაიყო);

ორი ან მეტი სახელმწიფო ერთ სახელმწიფოდ გაერთიანდება (მაგ., 1990 წ. იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა და იემენის რესპუბლიკა ერთ სახელმწიფოდ – იემენად გაერთიანდა);

სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილიდან ახალი სახელმწიფო წარმოიშობა (მაგ., 1947 წ. ინდოეთს გამოეყო პაკისტანი, ხოლო 1971 წ. პაკისტანს – ბანგლადეში. 1991 წ. სსრკ -ის შემადგენლობიდან გავიდა ლატვია, ლიტვა და ესტონეთი);

ერთი სახელმწიფოს ტერიტორია მეორის შემადგენლობაში გადავა (მაგ., 1867 წ. რუსეთმა ალასკა აშშ-ს 7,2 მლნ დოლარად მიჰყიდა);

ერთი სახელმწიფოს ნაცვლად, გარკვეული ცვლილებების გამო, სხვა სახელმწიფო წარმოიშობა (მაგ., 1917 წ. რუსეთის ნაცვლად რსფსრ, 1922 წ. – სსრკ, 1991 წ. სსრკ-ის ნაცვლად – რსფსრ, მოგვიანებით, რუსეთის ფედერაცია);

სუვერენიტეტის მოპოვებით, კოლონიების ნაცვლად, ახალი ტიპის სახელმწიფო შეიქმნება (მაგ., აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ამჟამინდელი განვითარებადი ქვეყნები).

სამართალმემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების საგანია:

- ❖ სახელმწიფო ტერიტორია (საზღვრები);
- ❖ საერთაშორისო ხელშეკრულებები;
- ❖ სახელმწიფო საკუთრება;
- ❖ სახელმწიფოთა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა.
- ❖ საგარეო ვალეები და არქივები;

აღნიშნულ საკითხებს იურიდიულად აწესრიგებს გაეროს შემდეგი კონვენციები:

• „სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობა ხელშეკრულებებთან ურთიერთობებში“ (1978 წ., ძალაშია 1996 წლიდან);

• „სახელმწიფო საკუთრების, სახელმწიფო ვალებისა და სახელმწიფო არქივების შესახებ სახელმწიფოთა უფლება-მოწესრიგება“ (1983 წ., კონვენცია არ შესულა ძალაში).

ამ კონვენციების ნორმები უმეტესად დისპოზიციურია, ანუ გამოიყენება მაშინ, როცა მხარეები სხვაგვარად არ არიან შეთანხმებული.

საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ სამართალმემკვიდრეობის პრინციპებია:

სახელმწიფოს ტერიტორიის გადაცემასთან ერთად იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადასვლა, რომლებიც ამ ტერიტორიას ეხება;

სახელმწიფოთა გაერთიანების დროს გაერთიანებული სახელმწიფოს მიმართ მათი ადრინდელი ხელშეკრულებების იურიდიული ძალის შენარჩუნება;

სახელმწიფოს დანაწილების დროს საერთაშორისო ხელშეკრულების ვალდებულებათა იმ ნაწილში შენარჩუნება, რომელიც აგრძელებს არსებობას როგორც წინამორბედი სახელმწიფო (გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლებიც გამოცალკევებულ ტერიტორიებს ეხება);

გამოყოფილი ტერიტორიის ბაზაზე ახალი სახელმწიფოს წარმოშობის დროს შესაძლებელია ორი ვარიანტი:

1. საერთაშორისო ხელშეკრულებათა ვალდებულებების მემკვიდრე სახელმწიფოზე გავრცელება;

2. როცა მემკვიდრე სახელმწიფო განიხილება, როგორც საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტი, მისი წინამორბედი სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებებისაგან გათავისუფლება.

ახალი სახელმწიფოს წარმოშობის დროს წინამორბედი სახელმწიფოს (მეტროპოლიის) საერთაშორისო ვალდებულებებისაგან გათავისუფლება.

საკუთრებასთან დაკავშირებით სამართალმემკვიდრეობის

პრინციპები:

სახელმწიფო საკუთრების კომპენსაციის გარეშე გადაცემა, თუ მხარეების მიერ სხვა რამ არ არის შეთანხმებული;

სახელმწიფოთა გაერთიანების დროს თითოეულის ქონების გაერთიანებულ სახელმწიფოზე გადასვლა;

სახელმწიფოს დანაწევრების დროს მისი საზღვარგარეთული ქონების, „სამართლიანი წილით“, მემკვიდრე სახელმწიფოზე გადაცემა (დასაშვებია კომპენსაცია);

ახალი სახელმწიფოს წარმოშობის დროს მასზე წინამორბედი სახელმწიფოს (მეტროპოლიის) ქონების გადაცემა.

საგარეო ვალების შესახებ სამართალმემკვიდრეობის პრინციპებია:

წინამორბედი სახელმწიფოს ვალის „სამართლიანი წილით“ მემკვიდრე სახელმწიფოზე გადასვლა;

ახალ სახელმწიფოზე წინამორბედი სახელმწიფოს ვალის არგადაცემა, თუ მხარეები სხვაგვარად არ არიან შეთანხმებული.

2.4. სახელმწიფოს იმუნიტეტი, სუვერენიტეტი და იურისდიქცია

სახელმწიფო იმუნიტეტი (ხელშეუხებლობა)-- საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპია, რომელიც გამომდინარეობს გაეროს წესდებაში დაფიქსირებული სუვერენიტეტისა და სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპებიდან.

სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობისა და მათი დამოუკიდებლობის ძალით, არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება თავისი ხელისუფლება სხვა სახელმწიფოზე გაავრცელოს.

სახელმწიფო არ შეიძლება გამოვიდეს სხვა ქვეყნის სასამართლოში მოპასუხის როლში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამაზე მოპასუხის აშკარად გამოხატული თანხმობა არსებობს. მაშასადამე, სახელმწიფოს, როგორც საჯარო პირის, იმუნიტეტი ანუ ხელშეუხებლობა

დაცულია. იმუნიტეტი მოქმედებს სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობებში, მაღალი თანამდებობის პირებთან, სახელმწიფო საკუთრებასთან და დიპლომატების პირად ქონებასთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო უცხოელ კერძო სუბიექტთან სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაშია, ირღვევა იურიდიული „წონასწორობა“: იმუნიტეტის მეშვეობით სახელმწიფო დაცულია პრეტენზიისა და სარჩელისაგან, კერძო პირი _ არა.

როგორ მოქმედებს იმუნიტეტის პრინციპი, როცა სახელმწიფო „არათანაბარ პარტნიორთან“ სამართლებრივ ურთიერთობებშია? დასავლეთის სამართლის თეორიამ შეიმუშავა „იმუნიტეტის გახლეჩის“ („ფუნქციური იმუნიტეტი“) დოქტრინა. კერძოდ, როცა სახელმწიფო უცხოელ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან სამოქალაქო ურთიერთობას ახორციელებს (მაგ., საელჩოს შენობის აგება), ხსენებულ იმუნიტეტს ფლობს. ხოლო, თუ სახელმწიფო კერძო პირთან კომერციული მიზნით აფორმებს ხელშეკრულებას, მაშინ ასეთი პრივილეგიით არ სარგებლობს. ამ შემთხვევაში იმუნიტეტის შეწყვეტა სარწმუნოდ მიიჩნევა, თუ მხარეები სხვაგვარად არ არიან შეთანხმებული.

ამგვარი პრეზუმფცია მრავალი სახელმწიფოს (მაგ., აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია) მიერ საერთაშორისო ჩვეულებად ითვლება, რომელიც მათი შიდა სამართლით განმტკიცებულია. სახელმწიფოთა საერთაშორისო-სამართლებრივი იმუნიტეტის პრინციპი მჭიდროდაა დაკავშირებული სუვერენიტეტის ცნებასთან.

სახელმწიფო სუვერენიტეტი. სუვერენიტეტი (ფრანგ. შოუვერაინეტე) არის სახელმწიფო ხელისუფლების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) უზენაესობა ქვეყნის შიგნით და დამოუკიდებლობა საერთაშორისო ურთიერთობებში.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სისტემაში გასაკუთრებით იკვეთება შედარებით ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოებისა და სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპს შორის დაპირისპირება.

ობიექტურად გლობალიზაცია სახელმწიფოთა ეკონომიკურ საზღვრებს ამცირებს და ამით სახელმწიფო სუვერენიტეტის მრავალ ასპექტს რეალურად ეხება.

როგორც ცნობილია, ტერიტორიასთან მიმართებაში სახელმწიფო სუვერენიტეტს ფლობს, რომელიც მხოლოდ მის განსაკუთრებულ კომპეტენციაშია. განსაკუთრებულ კომპეტენციაში იგულისხმება ის სამართალშემოქმედება, რომელიც მრავალ ასპექტში და მათ შორის, ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში სამართლებრივი რეგულირებისათვის ხორციელდება.

გაეროს 1970 წლის დეკლარაციით, „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ“, „სუვერენული თანასწორობის“ ცნება ნიშნავს, სახელმწიფოთა:

იურიდიულ თანასწორობას ანუ საერთაშორისო თანასაზოგადოების თანასწორუფლებიან წევრობას;

სხვა სახელმწიფოების სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემას.

სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობას;

გაეროს წესდების მე-2 მუხლში აღნიშნულია, რომ ორგანიზაცია ეფუძნება ყველა მისი წევრი სახელმწიფოს სუვერენული თანასწორობის პრინციპს. სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტს ანუ უფლებას განახორციელოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება ყოველგვარი ჩარევის გარეშე, დამოუკიდებლად გაატაროს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა.

სრულ სუვერენიტეტთან ერთად არსებობს შეზღუდული სუვერენიტეტიც. მხედველობაშია გაეროს ეგიდით შექმნილი მეურვეობის საერთაშორისო სისტემა იმ ტერიტორიების სამართავად და სამეთვალყურეოდ, რომლებიც შეიძლება გაერთიანდნენ მეურვეობაში შემდგომი ინდივიდუალური შეთანხმებით. ასეთი შეთანხმება განსაზღვრავს მეურვეობაში მყოფი ტერიტორიის მმართველ ხელისუფლებას, რომელიც " შეიძლება იყოს ერთი ან მეტი სახელმწიფო, ანდა გაერო.

შეზღუდულ სუვერენიტეტს მაშინაც აქვს ადგილი, როცა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი განსაკუთრებული სუვერენიტეტი მცირდება. მაგ., სახელმწიფოებს დღეს უკვე ადამიანის უფლებათა დამრღვევი კანონების მიღების უფლება აღარ აქვთ.

ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს ეკონომიკური ინტეგრაციის ფარგლებშიც, სადაც წევრ-სახელმწიფოთა სუვერენიტეტის შინაარსობრივი მხარე თანდათან იკვეცება. მაშასადამე, სუვერენიტეტი, როგორც თვისებრივი მოვლენა რჩება, მაგრამ მისი რაოდენობრივი მახასიათებლები იცვლება.

საერთაშორისო ბიზნესის სფეროში სახელმწიფოთა განსაკუთრებული კომპეტენციის მრავალი საკითხი ინტერნაციონალური ხდება. აღნიშნული პირველი ნაბიჯია იმ მიმართულებისა, როცა შიდა სამართლით რეგულირებადი საკითხები მომავალში საერთაშორისო სამართლით შეიცვლება. მაგ., დღეს სახელმწიფოთა კომპეტენცია საქონელწარმოების რეგულირების სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებათა გამოყენებაში მნიშვნელოვნად შეზღუდულია, რასაც, ფაქტობრივად, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ახორციელებს.

სახელმწიფოს იურისდიქცია არის მისი სუვერენიტეტის გამოვლენა, სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებათა ერთობლიობა განიხილონ, სამართლებრივად შეაფასონ და გადაწყვიტონ რაიმე საკითხი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

სახელმწიფოს იურისდიქცია არსებობს:

- ძალაუფლების ხასიათის მიხედვით -- საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო;
- მოქმედების სფეროს მიხედვით -- ეროვნული (ტერიტორიული, პირადი) და ექსტერიტორიული;
- მოცულობის მიხედვით -- სრული და შეზღუდული.
- ტერიტორიული იმუნიტეტი შემოსაზღვრულია სახელმწიფოს

ტერიტორიით, რომელზეც სახელმწიფო ახორციელებს სრულ იურისდიქციას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საერთაშორისო ხელშეკრულებით რაიმე სხვა არ არის გათვალისწინებული.

ზოგჯერ სახელმწიფოს იურისდიქცია მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთაც ვრცელდება: " ექსტერიტორიულობის" ნიშანი (მაგ., საელჩოებისა და საკონსულოების ტერიტორიაზე, თავის სამხედრო გემებზე ღია ზღვაში, სხვა ქვეყნის პორტში, საჰაერო ხომალდებზე და ა. შ.).

პირადი იურისდიქცია სახელმწიფოს მიერ საზღვარგარეთ მყოფი თავის მოქალაქეთა მიმართ ხორციელდება. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს იურისდიქცია შეზღუდულია. უცხოეთში მყოფი მოქალაქე კი, მიმღები და საკუთარი ქვეყნის ანუ ორმაგ იურისდიქციაში იმყოფება.

ობიექტურად, განზოგადებული სახით, გლობალიზაცია უცხოური ელემენტისათვის (ადამიანი, საქონელი, კაპიტალი) „ადმინისტრაციულ-ეკონომიკური საზღვრების“ თანდათანობით წაშლას ნიშნავს. სწორედ ამაშია თანამედროვეობის უმთავრესი პრობლემა --

სახელმწიფოთა სუვერენიტეტის შესაბამისობა ადმინისტრაციულ-ეკონომიკური საზღვრების შემცირების მოთხოვნებთან, რომელიც დასავლური ცივილური ტიპის ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოების ბატონობის პირობებში ხორციელდება.

2.5. საქართველო --საერთაშორისო ბიზნესის სამართლის სუბიექტი

საბჭოთა კავშირის შემაღელობაში ყოფნისას, საქართველოს ეკონომიკა, მათ შორის, საგარეო-ეკონომიკური კავშირები, სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლება იყო.

ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკებს ახასიათებდათ:

- სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზებული ეკონომიკა;
- საერთო-სახალხო საკუთრება, მათ შორის, წარმოების საშუალებებზე;
- ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციული მეთოდები.

სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია ხორციელდებოდა „ზემოდან“, გეგმური, ადმინისტრაციული ჩარევებით, როცა საჯარო-სამართლებრივი რეგულირება სჭარბობდა კერძო სამართლებრივს.

XX ს-ის 90-იან წლებში სოციალისტურმა სისტემამ არსებობა შეწყვიტა, 1991 წლის დეკემბერში გაუქმდა საბჭოთა კავშირი.

1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტით, საქართველო სუვერენული სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის სუბიექტი გახდა. ამავე აქტით, ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებმა და კერძო სტრუქტურებმა საგარეო-ეკონომიკური კავშირების დამყარების ფართო უფლებები მიიღეს. ფაქტობრივად, საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების საბაზრო ინსტრუმენტებით (სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებები) სახელმწიფო კონტროლი სახელმწიფო რეგულირებამ შეცვალა. შეიცვალა თვით სამართლებრივი რეგულირების ტიპიც: აკრძალვა-ნებართვითი (როცა სჭარბობდა აკრძალვა) - საერთო ნებართვით.

საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ბიზნესის საქმიანი ურთიერთობანი, ასევე საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება (კონსტიტუციის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები).

დადგენილია, რომ „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“ (კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი)

2.6. საერთაშორისო ბიზნესის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოები საქართველოში

საერთაშორისო ბიზნესის სფეროში სახელმწიფო თავის იურისდიქციას შემდეგი სახელმწიფო ორგანოებით ახორციელებს:

- საქართველოს პრეზიდენტი;
- საქართველოს პარლამენტი;
- საქართველოს მთავრობა.

საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში (კონსტიტუციის 69-ე მუხლის მე-3 პუნქტი), მთავრობასთან შეთანხმებით აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს (კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ა) ქვეპუნქტი).

საქართველოს პარლამენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს (კონსტიტუციის 48-ე მუხლი).

საქართველოს პარლამენტს საერთაშორისო ხელშეკრულების და შეთანხმების რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების შესახებ მიმართავს საქართველოს მთავრობა, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება (შეთანხმება) დადებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ, – საქართველოს პრეზიდენტი, რაც საჭიროებს პრემიერმინისტრის კონტრასიგნაციას (კონსტიტუციის 65-ე მუხლის 1-ლი პრიმა პუნქტი).

საქართველოს მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას (კონსტიტუციის 78-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

2.7. ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი სტატუსი

ფიზიკური (კერძო) პირების სამართლებრივი სტატუსი. საერთაშორისო ბიზნესის სისტემაში მოქმედებენ არა მარტო საჯარო პირები - სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციები, არამედ კერძო ფიზიკური და იურიდიული პირები (ტნკ-ები და ბანკები, ბირჟები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა.). სწორედ ისინი არიან საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მთავარი "მოქმედი პირები", რადგან, უმეტესად, მათ მიერ ხორციელდება რესურსნაკადებით სახელმწიფოთა საბაჟო საზღვრების გადაკვეთა. ამიტომ მათ საერთაშორისო ბიზნესში მოქმედ ოპერატორებს უწოდებენ.

ყოველი მათგანი მონაწილეობს, როგორც ნივთობრივ, ისე არანივთობრივ, სამეურნეო და სავალუტო-საფინანსო სამართალურთიერთობებში, რომლებიც შესაბამისი ქვეყნის შიდა კანონდებლობით რეგულირდება.

გარკვეულწილად, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობის ოპერატორებს შეიძლება "მივაკუთნოთ" სახელმწიფოები და საერთაშორისო ორგანიზაციებიც, მხოლოდ ისინი იმავდროულად საერთაშორისო ბიზნესის სამართლის სუბიექტებიც არიან, ხოლო კერძო პირები კი საერთაშორისო ბიზნესის სამართლის სტატუსს არ ფლობენ. საჯარო პირები საერთაშორისო ბიზნესის ოპერატორებად მაშინ გვევლინებიან, როცა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან საერთაშორისო კერძო-სამართლებრივ სანივთო-ქონებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ. საერთაშორისო

ბიზნესში კერძო პირებს შეიძლება ჰქონდეთ, როგორც კომერციული, ისე არაკომერციული მიზნები.

ფიზიკური პირები. ფიზიკური პირების, როგორც საერთაშორისო ბიზნესის სამართლის სუბიექტების იურიდიული სტატუსი ეროვნული ანუ შიდასახელმწიფოებრივი სამართლით განისაზღვრება (სახელმწიფოს იურისდიქცია მოსახლეობასთან ურთიერთობაში).

ინტეგრაციული გაერთიანებების (მაგ., ევროკავშირის და სხვა) სამართლებრივ სისტემებში ფიზიკური პირების სტატუსი და მიგრაციის საკითხები ზეეროვნული სამართლით წესრიგდება, ანუ ინტეგრაციული გაერთიანების მმართველ ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება.

საერთაშორისო ბიზნესის სფეროში ფიზიკური პირებს აქვთ უფლება: განკარგონ საკუთარი ქონება (საკუთრება); გამოიყენონ პროცესუალური გარანტიები; ეროვნული სავალუტო წესების გათვალისწინებით უცხოეთში გადააგზავნონ თავიანთი შემოსაღები და დანაზოგები.

რეზიდენტები და არარეზიდენტები. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მოსახლეობის გარკვეული წილი უცხოელია.

სამართლებრივი სტატუსის მიხედვით უცხოელები იყოფიან:

- ❖ მიმღებ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები უცხოელები ანუ რეზიდენტები (ადგილზე დარჩენილები);
- ❖ მიმღებ ქვეყანაში დროები მცხოვრები უცხოელები ანუ არარეზიდენტები

შიდასახელმწიფოებრივი სამართლითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით როგორც წესი მიღებულია მოცემულ ქვეყანაში უცხოელის მიღების ვადა და მიზანი.

საქართველოში რეზიდენტად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ჩვეულებრივ რეზიდენტისა და არარეზიდენტის სამართლებრივი სტატუსი განსხვავებულია. მაგ., რეზიდენტის ქმედუნარიანობა მიმღების ქვეყნის კანონმდებლობით განისაზღვრება, ხოლო არარეზიდენტისა - ეროვნული ქვეყნის სტატუსით. იურიდიული თვალსაზრისით უცხოელი ეროვნული და მიმღები ქვეყნების სამართალწესრიგს ემორჩილება, რომლებიც შესაძლოა კონკურენტულ იურისდიქციაში იმყოფებოდეს.

იურიდიული პირების სამართლებრივი სტატუსი. საერთაშორისო ბიზნესის სისტემაში აქტიურად მონაწილეობენ იურიდიული პირები, რომლებიც

წარმოადგენენ საერთაშორისო ბიზნესის საქმიანი ურთიერთობების "ძირითად ოპერატორებს", რადგან საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, ფინანსების, სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის და სხვა ფორმების ტრანსსასაზღვრო მოძრაობა, უპირატესად, სხვადასხვა ქვეყნის იურიდიულ პირებს შორის სავაჭრო, საინვესტიციო, საფინანსო, სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობებით ხორციელდება. ამ პროცესის შედეგად ტნკ-ები ყალიბდება, რომლებიც მიმღები სახელმწიფო კანონმდებლობით იქმნება, მაგრამ აქვთ უცხოური კაპიტალი და საერთაშორისო ბიზნესში საქმიანობენ. საერთაშორისო ბიზნესის სისტემაში ასევე დიდ როლს ასრულებენ ისეთი იურიდიული პირები, როგორცაა ტნბ, სასაქონლო, სავალუტო და საფონდო ბირჟები, კომერციული ბანკები, სადაზღვევო-საინვესტიციო კომპანიები.

თავი 3. საერთაშორისო ბიზნესის სამართლის წყაროები და ძირითადი პრინციპები

- ❖ საერთაშორისო ბიზნესის უნივერსალური სამართლებრივი წყაროები (საერთაშორისო ხელშეკრულებები, საერთაშორისო სასაქონლო შეთანხმებები, საერთაშორისო სამართლებრივი წეს-ჩვეულებები);
- ❖ საერთაშორისო ბიზნესის მარეგულირებელი სპეციალური სამართლებრივი წყაროები;
- ❖ ტრანსნაციონალური სამართლის წყაროები.

ლექცია 3

3.1. საერთაშორისო ბიზნესის უნივერსალური სამართლებრივი წყაროები (საერთაშორისო ხელშეკრულებები, საერთაშორისო სასაქონლო შეთანხმებები, საერთაშორისო სამართლებრივი წეს-ჩვეულებები)

საერთაშორისო ხელშეკრულებები საერთაშორისო ბიზნესის სამართლის უნივერსალური ძირითადი წყაროა საერთაშორისო ხელშეკრულებები, საერთაშორისო სასაქონლო შეთანხმებები და საერთაშორისო წეს-ჩვეულებები.

ხელშეკრულების სტრუქტურა და სახეები

სახელმწიფოთა ეკონომიკური ურთიერთობები სახელშეკრულებო ფორმით ხორციელდება, რომელიც იურიდიული დოკუმენტია და სათანადო სამართლებრივი ნორმებიც გააჩნია.

საერთაშორისო ბიზნესის საქმიანი ურთიერთობების სახელშეკრულებო ფორმა ფართოდ გავრცელებულია, რადგან მისი სუბიექტები (მხარეები) ადებული ვალდებულებების შესასრულებლად სრულ პასუხისმგებლობას კისრულობენ და საამისოდ სამართლებრივ უფლებებსა და ეკონომიკურ რესურსებსაც საკმაოდ ფლობენ.

ადრეულ პერიოდში საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში წამყვანი პოზიცია საგარეო ვაჭრობას ეკავა. უპირატესობა საქონლის ექსპორტსა და იმპორტს ეძლეოდა. თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მთლიან სტრუქტურაში სახელშეკრულებო კავშირების სფეროები და მიმართულებები არსებითად გადიდდა (ვაჭრობას დაემატა ინვესტიციები, სამეცნიერო-ტექნიკური დახმარება და სხვა). ამასთან, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გამკაცრდა.

მსოფლიო მეურნეობა საერთოდ, და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები კერძოდ, მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს ფლობს, რაც საერთაშორისო დონეზე სახელშეკრულებო ურთიერთობების სპეციფიკას განაპირობებს. ამ მხრივ საყურადღებოა თანამედროვე პრაქტიკაში დამკვიდრებული ჩვევები, წესები და კონვენციები, ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები.

საერთაშორისო ხელშეკრულებებისათვის ტიპურია წერილობითი ფორმა, თუმცა, პრაქტიკაში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ზეპირი სახითაც (ე.წ. ჯენტლმენური შეთანხმება).

საერთაშორისო ხელშეკრულების შემადგენელი ელემენტებია: პრეამბულა (მიზანი, მხარეთა დასახელება და სხვა);

ძირითადი ნაწილი (კონკრეტული შეთანხმებები პროდუქციის ფასის, მიწოდების პირობების, ვადებისა და სხვათა შესახებ);

დასკვნა [მოქმედების ვადა, დენონსაციის (შეწყვეტა) და პროლონგაციის (გაგრძელება) წესი].

საერთაშორისო ხელშეკრულება შეიძლება იყოს ორმხრივი (ბილატერიზმი) ან მრავალმხრივი, ღია ან დახურული, იმის მიხედვით, დასაშვებია თუ არა მასთან სხვა სახელმწიფოს შეერთება.

ორმხრივი ხელშეკრულება ორ სახელმწიფოს შორის რაიმე საკითხზე არსებული შეთანხმებაა. იგი ამ ქვეყნების სახელმწიფო ენაზე ფორმდება და ორივე ტექსტი თანაბარმნიშვნელოვანია.

მრავალმხრივი ხელშეკრულებებია:

- საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების დამფუძნებელი შეთანხმებები, მაგ., ბრეტონ-ვუდის (აშშ) შეთანხმება სსფ-ისა და მსოფლიო ბანკის შექმნის შესახებ, ასევე ქ. მარაქემის (მაროკო) შეთანხმება ვმო-ის დაფუძნების შესახებ;
- საერთაშორისო ორგანიზაციებს ან მათსა და სახელმწიფოებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები.
- გაეროს ეგიდით დადებული ხელშეკრულება ინგლისურ, ესპანურ, რუსულ, არაბულ და ფრანგულ ენებზე ფორმდება.

საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმებისათვის აუცილებელია მისი ხელმოწერა, რომელიც შეიძლება საბოლოო იყოს. ზოგჯერ, საჭიროა ხელმოწერილი ხელშეკრულების რატიფიკაცია (დამტკიცება) სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს, პარლამენტის მიერ. რატიფიკაცია დასტურდება განსაკუთრებული სიგელით. ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებისას, მხარეები ერთმანეთს უცვლიან სარატიფიკაციო სიგელებს. მრავალმხრივი ხელშეკრულებისას კი იგი დეპოზიტურ ქვეყანას (სადაც ხდება ხელმოწერა) ბარდება. ხელშეკრულების ხელმოწერისას, რატიფიკაციისა და მასთან შეერთების დროს, სახელმწიფოს ხელშეკრულების რომელიმე მუხლის შესახებ დაზუსტების (დათქმის) შეტანის უფლება აქვს. შეთანხმების აუცილებელი შესრულება საერთაშორისო სამართლის ფუძემდებელი პრინციპია.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა უმეტესობა ვადიანია, თუმცა გვხვდება უვადოც. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება ისეთი შეთანხმება, რომელიც საერთაშორისო სამართლის ზოგად ნორმებს ქმნის (მაგ., ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ). ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს, როგორც ვადამდე (პროლონგაცია), ისე შემდეგაც (განახლება). ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს (დენონსაცია) მისი ვადის გასვლით ან ვადამდე, თუ მეორე მხარე ნაკისრ ძირითად ვალდებულებას არ ასრულებს.

ხელშეკრულების მოქმედება მისი სუბიექტი სახელმწიფოების მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საერთაშორისო ხელშეკრულება, როგორც წესი, არ წარმოშობს უფლება-მოვალეობებს იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც ამ შეთანხმებაში არ მონაწილეობს.

საერთაშორისო ხელშეკრულება შეიძლება სხვადასხვა სახელწოდებით გაფორმდეს, კერძოდ, თვით ხელშეკრულება, შეთანხმება, ოქმი, კონვენცია, პაქტი, კომუნიკე და სხვა. მათ შორის განსხვავებას იურიდიული მნიშვნელობა არა აქვს.

პრაქტიკაში, ძირითადად, გავრცელებულია საერთაშორისო ბიზნესის მარეგულირებელი ხელშეკრულების ორი სახეობა:

- ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის სავაჭრო ურთიერთობების მარეგულირებელი საერთაშორისო ხელშეკრულება;
- საგარეო-ეკონომიკური კონტრაქტით წარმოშობილი ქონებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი სამოქალაქო სამართლებრივი საერთაშორისო ხელშეკრულება.

პირველი სახეობის საერთაშორისო ხელშეკრულება შინაარსის მიხედვით ხუთ ტიპად იყოფა, კერძოდ:

სავაჭრო ხელშეკრულება და შეთანხმება მხარეთა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს ითვალისწინებს და როგორც წესი, ექსპორტ-იმპორტის დროს საბაჟო გადასახადის სფეროში ვრცელდება. ამ შეთანხმებით გამოირიცხება ცალმხრივი უპირატესობა, რომელიც მიენიჭა სახელმწიფოს საბაჟო თანამშრომლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე ან სასაზღვრო ვაჭრობის შემსუბუქების მიზნით.

ვმო-ის წევრი ქვეყნები, სპეციალური შეთანხმების გარეშე, ერთმანეთთან უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს ითვალისწინებენ. მათი ამ პრინციპით ურთიერთობა შეიძლება სხვა მიმართულებითაც დაფიქსირდეს (მაგ., ლიცენზიების გაცემა).

სავაჭრო შეთანხმებას თან ერთვის იმ საქონლის ნუსხა (სია), რომელიც მონაწილე ქვეყნებს შორის ვაჭრობის საგანია. თუ სიაში მოცემული საქონლის იმპორტი (ან ექსპორტი) რაოდენობრივად შეზღუდულია (კვოტირებულია), ხელშეკრულებაში შეთანხმებული კონტინგენტი (ღირებულება ან რაოდენობა) მიეთითება. ზოგიერთ პოზიციაზე ამ კონტინგენტის გადიდებაც გაითვალისწინება. ზოგჯერ თანდართულ სიაში მხოლოდ საქონლის ნომენკლატურა და სანაცვლო მიწოდების საერთო თანხა აღინიშნება. საქონლის ჩამონათვალში ამ საქონლის წარმოშობის ადგილიც განისაზღვრება;

სამთავრობათაშორისო შეთანხმება ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ მეცნიერებატევადი საქონლით ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მის ბაზაზე შესაძლოა, ცალკეულ საკითხზე, სპეციალური შეთანხმება გაფორმდეს, რომლის საფუძველზე ერთი მხარე ვალდებულებას იღებს სათანადო სამეცნიერო, სასწავლო, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარებასა და სხვათა (კადრების ადგილზე მომზადება-გადამზადება, სათაო კომპანიაში სტაჟირება და ა.შ.) შესახებ.

დახმარების მიმღები ქვეყნის ვალდებულებებში შედის შეთანხმებით გათვალისწინებული პროექტებისათვის სათანადო პირობების შექმნა (შენობის გამოყოფა, ექსპერტების მუშაობის შეუფერხებელი ორგანიზაცია, ტვირთების უსაფრთხო გადატანა და სხვა). ამგვარი შეთანხმება, ჩვეულებრივ, 3-5 წლით ფორმდება. იგი განვითარებადი ქვეყნების ტექნიკური დახმარების ფორმაა. ამ გზით

მსხვილი ტნკ-ები განვითარებადი ქვეყნების საწარმოთა მენეჯმენტს წარმართავენ და მათი ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან პროგრამებს განსაზღვრავენ;

სამთავრობათაშორისო ეკონომიკური შეთანხმება სავაჭრო შეთანხმების მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ მასში საქონელგაცვლის საკითხების ანალოგიურად, სხვა მომენტებიც განიხილება. კერძოდ, კაპიტალის მოძრაობისა და გადასახადების სფეროში დისკრიმინაციული (შემზღუდველი) ზომების მიუღებლობა;

სამთავრობათაშორისო შეთანხმება ფინანსური დახმარების შესახებ ერთი მხარის მიერ მეორისადმი გრძელვადიანი კრედიტის მიცემას გულისხმობს. კრედიტის პირობები და მისი გამოყენების წესი კი სპეციალური კონტრაქტით ფორმდება.

ფინანსური დახმარება ხელსაყრელი სავაჭრო პოლიტიკის განხორციელების საშუალებაა. მისი მეშვეობით მიცემული კრედიტების უმეტესი ნაწილი ექსპორტიორი ქვეყნებიდან საქონლის შესყიდვას ხმარდება. არსებითად, ამგვარი შეთანხმება კრედიტორი ქვეყნების წასახალისებლად გამოიყენება;

სამთავრობათაშორისო საინვესტიციო შეთანხმება მხარეებს ავალდებულებს კაპიტალდაბანდებების სფეროში დისკრიმინაციული პოლიტიკა არ განახორციელონ და სათანადო და დაუყოვნებელი ანაზღაურების გარეშე მესამე მხარეს ეს კაპიტალდაბანდებები არ გადასცენ. ამგვარი შეთანხმება კაპიტალის დაზღვევის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა.

მეორე სახეობის საერთაშორისო ხელშეკრულებას მიეკუთვნება გაეროს კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ (ვენის 1980 წლის კონვენცია).

ეს კონვენცია გამოიყენება საქონლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების მიმართ იმ მხარეებს შორის, რომელთა კომერციული საწარმოებიც სხვადასხვა სახელმწიფოში იმყოფებიან. იმავდროულად, კონვენცია არ გამოიყენება: ა) იმ საქონლის გაყიდვისას, რომელსაც იყენებენ პირადი, ოჯახური ან საყოფაცხოვრებო გამოყენების მიზნით;

ბ) აუქციონზე გაყიდვისას; გ) იმ საქონლის მიმართ, რომელიც იყიდება საადმსრულებლო წარმოების წესით ან კანონის ძალით განხორციელებული სხვაგვარი წესით; დ) საფონდო ქალაქების, აქციების, უზრუნველყოფითი ქალაქების, ბრუნვითი დოკუმენტებისა და ფულის გაყიდვისას; ე) წყლისა და საჰაერო სატრანსპორტო ხომალდების, აგრეთვე ჰაერის ბალიშის პრინციპით არის ეკონომიკური შეთანხმება.

მხრივ, ხელშეკრულება საერთაშორისოა, თუ ის გაფორმებულია სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ერთი სახელმწიფოს საწარმოების მიერ.

საერთაშორისო ხელშეკრულების ამგვარ მიდგომას შეიცავს გაეროს (ვენის) 1980 წლის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ (იგივე ვენის კონვენცია). საქართველო ვენის კონვენციას შეუერთდა 1994 წელს 3 თებერვალს.

საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულება არის სახელმწიფოთა შორის მიღწეული შეთანხმებაა ცნონ ესა თუ ის ნორმა სავალდებულო ქცევის წესად საერთაშორისო ჩვეულება, როგორც ნორმა, მხოლოდ იმისთვისაა სავალდებულო,

ვინც მას ცნობს. სახელმწიფოს, რომელიც ასეთი ნორმის სავალდებულო ძალას არ აღიარებს და არც იყენებს მას თავის საგარეო პოლიტიკაში, არ შეიძლება თავს მოეხვიოს ქცევის ეს წესი, თუკი მას ამკრძალავი ხასიათი არა აქვს.

ამგვარად, საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულება არის სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება ცნონ ესა თუ ის ნორმა იურიდიულად სავალდებულო ქცევის წესად.

საერთაშორისო სასაქონლო შეთანხმებები. საერთაშორისო ბიზნესის სისტემაში არსებობს მრავალმხრივი შეთანხმებები, რომლებიც ცალკეულ საქონელზე მსოფლიო ბაზრებს არეგულირებენ. მაგ., ხორბალზე, ნავთობზე, ფერად ლითონებზე, კაუჩუკზე, ყავაზე, ჩაიზე, კაკაოზე და სხვა.

სასაქონლო შეთანხმების მიზანია ტრანსნაციონალური ბაზრების რეგულირება, მათი მდგრადობის უზრუნველყოფა, ექსპორტიორ-იმპორტიორი ქვეყნების ინტერესების შეთანხმება, მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის დადგენა.

თანამედროვე ეტაპზე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია სამართლებრივად არეგულირებს, როგორც სასაქონლო ბაზრებს, ისე ცალკეულ სექტორებსა და სასაქონლო ჯგუფებს. კერძოდ, სანედლეულო ბაზრებს, მომსახურების, მაქანა-მოწყობილობების, ნახევარფაბრიკატების და სხვა სასაქონლო ბაზრებს. ასევე განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება სტრატეგიული მნიშვნელობის სასაქონლო ჯგუფებზე. მაგ., ნავთობზე, ბუნებრივ აირზე, ხორბალზე და სხვა საქონელზე, შესაბამისად მათ წარმოების მოცულობაზე, საექსპორტო მასშტაბებზე და ფასების დონეზე.

3.2. საერთაშორისო ბიზნესის სამართლის სპეციალური წყაროები

საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციები საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ სპეციალურ წყაროდ განიხილება.

საერთაშორისო ბიზნესის სამართლისათვის განსაკუთრებულ როლს ასრულებს გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციები (გადაწყვეტილებები), კერძოდ:

-- „სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების“ ქარტია (1974 წ.);

-- დეკლარაცია „საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ“ (1970 წ.).

-- 1964 წელს იუნკტადმა მიიღო „საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი პრინციპები“.

აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებათა უმეტესობა იურიდიულად რეკომენდაციულია და მხოლოდ იმ სახელმწიფოებს ეხება, რომლებიც მოცემული ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრია.

სამართლებრივი ნორმების სისტემატიზაცია და უნიფიკაცია (საერთო ნორმაზე დაყვანა) საერთაშორისო ბიზნესის სამართალში აქტიურად ხდება. აღნიშნულით სამართლებრივი ნორმები ფიქსირდება, მათი შინაარსი ზუსტდება და ახალი ნორმები იქმნება. მაგ., IUNICTRAL-მა (გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისია) შეიმუშავა მრავალი დოკუმენტი, რომლებიც საერთაშორისო

სახელშეკრულებო სამართალს, სამართალმემკვიდრეობას, სახელმწიფოთა იმუნიტეტს, სახელმწიფოთა პასუხისმგებლობასა და სხვა საკითხებს ეხება. მისი აქტიური მონაწილეობით მიიღეს ისეთი მნიშვნელოვანი კონვენციები, როგორცაა:

- გაეროს (ვენის) 1980 წლის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“;
- საზღვაო გადაზიდვების შესახებ“;
- ტიპური კანონი „საერთაშორისო სავაჭრო არბიტრაჟის შესახებ“.

სამართლებრივი ნორმების უნიფიკაციაზე მუშაობს სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია UNIDROIT (კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტი).

სამართლებრივი ნორმების არაოფიციალურ კოდიფიკაციასა (სტატისტიკური მასალების სისტემატიზაცია კოდირების საშუალებით) და უნიფიკაციას ახორციელებს საერთაშორისო სავაჭრო პალატა. კერძოდ, მან შეიმუშავა დოკუმენტური აკრედიტივის უნიფიცირებული წეს-ჩვეულებები, უნიფიცირებული წესები ინკასოს შესახებ და სავაჭრო ტერმინების განმარტებები (INCOTERMS-2012).

3.3. ტრანსნაციონალური სამართლის წყაროები. გლობალურ სამართლებრივ სისტემაში თანდათანობით ყალიბდება ტრანსნაციონალური სამართალი, რომელსაც საკუთარი სამართლებრივი წყაროებიც გააჩნია.

საერთაშორისო ბიზნესის სისტემაში ტრანსნაციონალური სამართლის წყაროდ მიჩნეულია სხვადასხვა ქვეყნის კერძო პირებს და ტნკ-ებს შორის მიღწეული შეთანხმება. ასევე ტნკ-ებსა და სახელმწიფოს შორის "სახელმწიფოებრივი კონტრაქტები" ანუ "დიაგონალური შეთანხმებები".

სხვადასხვა ქვეყნის ტნკ-ები ერთმანეთს შორის დებენ ექსპორტ-იმპორტის კონტრაქტებს, მაღალტექნოლოგიური საქონლის ერთობლივი წარმოების ან მსხვილი ობიექტების მშენებლობის ხელშეკრულებებს. საფინანსო-საკრედიტო, საწარმოთა შერწყმისა და შთანთქმის შეთანხმებებს. ხშირად სახელმწიფოები და უცხოელი კერძო ინვესტორები ერთმანეთთან აფორმებენ სპეციალურ ხელშეკრულებებს, რის საფუძველზეც უცხოური ინვესტიციების მიღება-დაცვის სამართლებრივ რეჟიმს განსაზღვრავენ. მაგ., დიაგონალური შეთანხმებებით სახელმწიფო იმპორტიორი როგორც წესი, ვალდებულებას იღებს არ განახორციელოს ინვესტორის ქონების ნაციონალიზაცია და ექსპროპრიაცია.

ამგვარად ტრანსნაციონალური სამართალი წარმოგვიდგება, როგორც გარკვეულწილად ავტონომიური და იმავდროულად სინთეზური სამართლებრივი სფერო, რომელშიც საერთაშორისო სამართლისა და შიდასახელმწიფოებრივი

სამართლის სუბიექტები ერთმანეთზე აქტიურად ურთიერთზემოქმედებენ. ტრანსნაციონალური სამართლის წყაროებად ითვლება: საერთაშორისო ხელშეკრულებები, საერთაშორისო ორგანიზაციების სარეკომენდაციო დოკუმენტები, ტიპიური კანონები და კონტრაქტები, საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებები, არბიტრაჟული გადაწყვეტილებები და სხვა.

ლექცია -4

თავი 4. საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი რეგულირება

- ❖ საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების მიზნები და ამოცანები, სახელმწიფოებრივი რეგულირების ფორმები. საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ძირითადი პრინციპები.
- ❖ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემა და სამართალი. ვმო-ს სამართლის თავისებურებანი;
- ❖ კომერციული გარიგებების სამართლებრივი საფუძვლები: ხელშეკრულების გაფორმების მეთოდები, პრინციპები, პირობები და ფუნქციები;
- ❖ საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირების ასპექტები და მარეგულირებელი კონვენციები- გაეროს (ვენის) კონვენცია 1980;
- ❖ საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების პრინციპები „უნიდრუას პრინციპები“;
- ❖ მომსახურებით ვაჭრობის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება.

4.1. საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების მიზნები და ამოცანები, სახელმწიფოებრივი რეგულირების ფორმები

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გლობალური ორგანიზაციაა თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სავაჭრო სისტემის სამართლებრივ და ინსტრუქციონალურ ორგანიზაციულ საფუძველს. ვმო-ს მრავალმხრივი შეთანხმებებით გაუქმებულია პროტექციონიზმის პოლიტიკა და მისი უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობის სტაბილური განვითარებას, დაარეგულიროს ვაჭრობასთან დაკავშირებული კომერციული დავები სახელმწიფოთა შორის და სავაჭრო მოლაპარაკებები. ვმო-ს წევრი ქვეყნებისათვის, რომ შეიქმნას კონკურენციული გლობალური გარემო, ლიბერალური საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნებისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა მსოფლიოს არცერთი ქვეყანა არ იძლევა თავის ტერიტორიულ საზღვრებში საქონლისა და მომსახურების არარეგულირებადი ნაკადების მოძრაობის უკონტროლოდ დაშვების უფლებას. ქვეყნები საგარეო ვაჭრობაში ძირითადად იყენებენ სატარიფო, არასატარიფო, მონეტარულ და საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრულ რეგულირების თანამედროვე მეთოდებს. სავაჭრო ბარიერები დამახასიათებელია, როგორც საქონლისა და მომსახურებისა იმპორტისათვის, იშვიათად დეფიციტური ექსპორტისათვის.

საერთაშორისო ვაჭრობაში ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების სახელმწიფოებრივი რეგულირების მრავალი ფორმა და მეთოდი არსებობს, მაგრამ მათ შორის კლასიკური რეგულირების ინსტრუმენტი საბაჟო ტარიფები. ბაჟი არის სახელმწიფოს მიერ დაწესებული

გადასახადიო, რომელიც დგინდება ერთი საბაჟო ტერიტორიიდან მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანსპორტირებულ საქონელზე. საბაჟო ტარიფით საქონელი იბეგრება იმპორტირებისას და ზოგიერთ შემთხვევაში ექსპორტირებისას(საქართველოს საბაჟო კოდექსით 2011 წლიდან ექსპორტი განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან).

ბაჟს, რომელსაც გამტანი ქვეყანა ქვეყანა ახდევინებს ეწოდება საექსპორტო ბაჟი, ხოლო საქონლის შემტანი ქვეყნის ბაჟი საიმპორტო გადასახადია(ამჟამად საიმპორტო ბაჟის სიდიდე 5 % და 12% განაკვეთით არის დადგენილი. იმ ქვეყნის მიერ აკრეფილი ბაჟი, სადაც ხდება საქონლის გადაზიდვა საზღვრის გადაკვეთა ეწოდება სატრანზიტო ბაჟი, მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების მოლაპარაკებებისა და GATT/WTO-ს შეთანხმებებით სატრანზიტო საბაჟო გადასახადი გაუქმებულია და დაწესებულია მინიმალური სატრანზიტო მოსაკრებელი. აღნიშნულიდან გამომდინარე ყველაზე გავრცელებულია საიმპორტო ბაჟი, რომელიც ზრდის იმპორტირებული საქონლის ფასებს და ნაკლებად კონკურენციულს ხდის საქონელს იმპორტიორი ქვეყნის ეროვნულ ბაზარზე. ამდენად ამგვარი სავაჭრო პოლიტიკა იცავს ადგილობრივ მწარმოებლებს უცხოური კომპანიების ექსპანსიისაგან და ამასთან ერთად საიმპორტო ბაჟი პროტექციონისტული ფუნქციის მატარებელია და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის, ხოლო მაღალგანვითარებულ ქვეყნებში იგი არსებით როლს არ ასრულებს.

საერთაშორისო კომერციულ პრაქტიკაში გამოიყენება საბაჟო გადასახადის განაკვეთების გაანგარიშების შემდეგი მეთოდები: ადვალური, სპეციფიკური და კომბინირებული(შერეული).

- **სპეციფიკური ბაჟი** განისაზღვრება ფიქსირებული თანხით, საქონლის წონის, მოცულობის, რაოდენობრივი ერთეულის მიმართ(მაგ., 1 ტონა ჩაიზე დაწესებული ფიქსირებული თანხა 10 ლარის ოდენობით).
- **ადვალური ბაჟი** განისაზღვრება პროცენტული კოეფიციციენტის დაწესებით დასაბეგრი საქონლის საბაჟო ღირებულების მიმართ,(მაგ. ,ქურქის ღირებულების 15 %).
- **კომბინირებული ბაჟი** ითვალისწინებს ერთდროულად სპეციფიკური და ადვალური საბაჟო განაკვეთები

ყველაზე ადვილია სპეციფიკური ბაჟის დადგენა, მაგრამ უპირატესად საბაჟო-სატარიფო პრაქტიკაში გამოიყენება ადვალორემული ბაჟის გაანგარიშების მეთოდი, ამდენად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქონლის ფასის დადგენის სიზუსტეს.

GATT/WTO-ს მიერ მღებულია ასების საფუძველზე საბაჟო ტარიფების შეფასების კოდექსი, რომლის თანახმად საქონლის შეფასება მიზანშეწონილია FOB- საექსპორტო და CIF საიმპორტო ფასების საფუძველზე. საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში ჩართულ ყველა ქვეყანას, მიუხედავად იმისა არის თუ არა ვმო-ს წევრი, აქვს საკუთარი საბაჟო-სატარიფო რომელიც განსაზღვრავს საბაჟო გადასახადებს იმპორტული საქონლისათვის. საჭიროების შემთხვევაში რეგულარულად ახლებასა აწარმოებენ სატარიფო ცხრილებითის განახლებას

ბმული ტარიფების ცვლილებების ასახვის მიზნით. ვმო-ს წევრი ქვეყნები (164 ქვეყანა 2018 მონაცემებით) აწარმოებენ მოლაპარაკებებს საბაჟო ტარიფების შემცირებაში პროგრესის მისაღწევად, თუ შეთანხმებული იქნება ახალი სატარიფო დათმობები (კონცესიები) ისინი გარდაიქმნებიან სატარიფო შეზღუდვებად. ტარიფთა ახალი დონეები შეყვანილია ვმო-ს წევრი ქვეყნების სატარიფო ცხრილებში, ვმო გამოსცემს საერთაშორისო ვაჭრობის სახელმძღვანელო პრინციპებს საბაჟო გადასახდების ადმინისტრირების, საქონლის შეფასებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, რადგან საბაჟო ტარიფების შემცირების შედეგები არ იქნეს ბლოკირებული მაღალი გადასახადების ან იმპორტირებულ საქონელზე გაზრდილი ფასების დაწესებით.

საბაჟო ტარიფები, როგორც სახელმწიფოს ფისკალური ინსტრუმენტები ყველაზე ეფექტიანად ემორჩილება პროგრესულ შემცირებას დროის გარკვეულ პერიოდში და უფრო გამჭირვალეა ვიდრე არასატარიფო ბარიერები. გამჭირვალეობა ნიშნავს კანონებისა და წესების სიცხადეს, სიმარტივესა და საჭიროებას. ამდენად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია პრიორიტეტს ანიჭებს საბაჟო ტარიფებით რეგულირებას, აუქმებს და მინიმუმამდე ზღუდავს არასატარიფო ზომების გამოყენებას. საბაჟო ტარიფების დემონტაჟის პირობებში სახელმწიფოები ეროვნული ბაზრის დასაცავად სულ უფრო მეტად მიმართავენ დაცვითა ზომებს და სპეციალურ შეზღუდვებს, რომელიც მოიცავს საერთაშორისო ვაჭრობისა და სახელმწიფოთა სავაჭრო პოლიტიკის რეგულირების ფართო წრეს.

გაეროს კლასიფიკაციით და GATT/WTO –ს შეთანხმებების საფუძველზე მიღებულია არასატარიფო ბარიერების შემდეგი კატეგორიები:

- დაცვი ზომები ანუ სპეციალური შეზღუდვები;
- არასატარიფო შეზღუდვები ანუ საბაჟო -ადმინისტრაციული ფორმალუბები.

დაცვითი სპეციალური შეზღუდვები, ეროვნულ ბაზრებზე უცხოური საქონლის დაშვებას არეგულირებენ. ასეთი შეზღუდვებია: ქვოტირება(კონტინგენტირება), ლიცენზირება, , ანტიდემპინგური რეჟიმი, სუბსიდია -საკომპენსაციო ბაჟები.

ქვოტების გამოყენება სავაჭრო შეთანხმებებით ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებებით რეგულირდება. ქვოტების უკიდურეს ზომას წარმოადგენს ემბარგო, რაც ნიშნავს ვაჭრობის სრულად აკრძალვას განსაზღვრული სახელმწიფოდან კონკრეტული საქონლის ექსპორტზე. ზოგიერთ შემთხვევებში ემბარგოს საფუძველად უდევს პოლიტიკური მოტივები და ინტერესები, მაგალითად, რუსეთის ემბარგო საქართველოს მიმართ, რომელიც 2006 წლიდან მომდინარეობს და დღემდე გრძელდება, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2012 წლის 22 აგვისტოდან რუსეთი გაწევრიანდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, რაც განაპირობებს რუსეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენასა და ორივე ქვეყნისათვის ზიანის მომტანი სავაჭრო ბარიერების გაუქმებას. 2002 წლიდან საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციის ეგიდით და ვმო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით გაუქმებულია ქვოტირება (კონტინგენტირება) და ლიცენზირება, როგორც ვაჭრობის შემზღუდველი არასატარიფო ბარიერები.

ვმო აყალიბებს სავაჭრო ზომების სამ სახეობას: დაცვითი ზომები, ანტიდემპინგური პოლიტიკა (ADP შეთანხმება) და სუბსიდირება/საკომპენსაციო ზომები (SCM), რომელსაც ვმო-ს შეთანხმებების შესაბამისად სახელმწიფოები იყენებენ საკუთარი ეროვნული ბაზრის დასაცავად.

ზემოთგანხილულ არასატარიფო ზომებთან ერთად დაცვითი შეზღუდვები არის განსაკუთრებული ბარიერები, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ადგილობრივი მწარმოებლის დაცვა იმპორტის გაუთვალისწინებელი ზრდისაგან, რაც შეიძლება განხორციელდეს ისეთი კონკურენციული გარემოებების ცვლილებების შედეგად, როგორცაა ტარიფების გაუქმება, დაცვითი შეზღუდვები დროებით უზრუნველყოფენ ადგილობრივ მწარმოებებს განახლებული ბარიერებით, ისე, რომ მათ შეძლონ ეროვნული ბაზრის ლიბერალიზაციის შედეგებთან ადაპტირება. ვმო-ს ძირითადი შეთანხმებებით დაცვითი ზომების გამოყენება რეკომენდებულია იმ შემთხვევაში, როდესაც ფორმალური გამოძიება დაადგენს, რომ ადგილობრივ მწარმოებებს მიყენებული აქვთ სერიოზული ზარალი არასატარიფო ბარიერებისაგან. კერძოდ იმპორტის დემპინგი, როგორც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფორმა განსაკუთრებით საყურადღებოა განვითარებად ქვეყნებში, როდესაც საქონელი იმპორტიორი ქვეყნის ბაზარზე იყიდება უფრო დაბალ ფასებში, ვიდრე საქსპორტო ქვეყანაში. საქართველოს შიდა ბაზარზე გამოკვეთილია დემპინგი თურქეთის, ირანის, რუსეთის და სხვა ქვეყნების უცხოური კომპანიებისაგან. იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნას ანტიდემპინგური ზომა, საჭიროა ორი პირობა: დადგინდეს დემპინგის არსებობა და გაირკვეს დემპინგმა მიაყენა თუ არა მატერიალური და ფინანსური ზარალი იმპორტიორი ქვეყნის ადგილობრივ წარმოებას. დემპინგის გამოსწორების ჩვეულებრივი ინსტრუმენტია ანტიდემპინგური გადასახდი, რომელიც გამოიყენება დემპინგური ფასით იმპორტირებული საქონლის მიმართ, რამდენადაც გადასახადის მიზანი დემპინგის შედეგების კომპენსირება და ადგილობრივი პროდუქციის ფასის დაბალანსებაა. ანტიდემპინგური გადასახადის ოდენობა ტოლი უნდა იყოს დემპინგურ ფასსა და შიდა ბაზრის ფასს შორის სხავობისა, რასაც დემპინგური მარჟა ეწოდება.

GATT/WTO-ს მრავალმხრივი შეთანხმებები უფლებას აძლევს ქვეყნებს, რომ განახორციელონ ცალმხრივი ქმედება, რათა ხელი შეუშალონ თავიანთ ბაზრებზე იმპორტის დემპინგს. კერძოდ ვმო-ს შეთანხმებების VI მუხლი ითვალისწინებს დეტალურ სტანდარტებს, რომ ნებისმიერი ქვეყნის მიერ დაწესებული გადასახადი არ ქმნიდეს ზედმეტ ბარიერებს ვაჭრობაში. დემპინგის შედეგად გამოწვეული ზარალის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნები და კომპენსაციები რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობისა და ვმო-ს ანტიდემპინგური შეთანხმების (ADP) საფუძველზე, ხოლო ვმო-ს დავების მოგვარების ორგანოს (DSB-ს) მიმართავენ იმ შემთხვევაში თუ ეროვნული შესაბამისობა ანტიდემპინგის შესახებ უგულებელყოფილია, ეროვნულ დონეზე დემპინგის რეგულირებას მოაწესრიგებს საქართველოს ანტიდემპინგური კანონმდებლობა, რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 მარტიდან.

ლიბერალური საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის პირობებში მრავალი ქვეყანა იმპორტის შეზღუდვას ამჯობინებს ადგილობრივ მეწარმეებს მისცეს სუბსიდიები, რომელიც წარმოადგენს ეროვნული პოლიტიკის საერთო იარაღს, რომელსაც იყენებს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა სხვადასხვა მიზნებისათვის, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სუბსიდიები ვაჭრობაზე უარყოფით გავლენას ახდენენ. ვმო ზღუდავს იმ სუბსიდიების გამოყენებას, რომლებსაც გააჩნია გავლენა ვაჭრობაზე და უფლებას აძლევს სახელმწიფოებს განახორციელონ სუბსიდირება მხოლოდ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარებისათვის.

სუბსიდია ვმო-ს მიერ განისაზღვრება, როგორც სახელწიფოს მიერ განხორციელებული ფინანსური კონტრიბუცია, რომელიც მის მიმღებს ანიჭებს გარკვეულ პრივილეგიას, სუბსიდიებს შეიძლება ჰქონდეს ფულადი სახსრების გამოყოფის, გრანტების, დაბალპროცენტიანი კრედიტების, მაღალი დაბეგვრის რეჟიმისაგან განთავისუფლების და სხვა მხარდაჭერის ფორმა.

საკომპენსაციო ზომა წარმოადგენს სუბსიდიის საპასუხო ზომას, რომელიც გამოიყენება იმ მიზნით, რომ ადგილობრივი მეწარმეები არ დაზიანდნენ სუბსიდირებული იმპორტისაგან. ანტიდემპინგური პროცედურების მსგავსად, სუბსიდირების საწინააღმდეგო მარეგულირებელი პროცედურები შექმნილია იმ მიზნით, რომ განსაზღვრონ სუბსიდირების მოცულობა და მათი მიზეზობრივი კავშირი მატერიალურ ზარალთან. შესაბამისად, დაწესდეს საკომპენსაციო გადასახდები, რომლებიც არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები, რაც საჭიროა ზარალის ასანაზღაურებლად და ისიც უნდა მოქმედებდეს არა უმეტეს ხუთი წლის განმავლობაში, ან შეიძლება უფრო ადრე გაუქმდეს თუ საზიანო გავლენა სუბსიდირებული იმპორტისაგან აღარ არსებობს.

იმპორტის შეზღუდვის დარეგულირების მიზნით, მრავალი ქვეყანა აქტიურად იყენებს შემდეგ არასატრიფო ბარიერებს: განსაკუთრებულია მოთხოვნები ტექნიკურ სტანდარტებთან, (მაღალია ასეთი სტანდარტები აშშ-ში, ევროკავშირში, იაპონიასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში) გამზომ სისტემებთან, ხარისხთან, სანიტარულვეტერინარულ ნორმებთან, შეფუთვისა და მარკირების წესებთან.

საერთაშორისო ვაჭრობაში აგრეთვე დამატებით ბარიერად საბაჟო ფორმალობები და საქონელნაკადების განმკარგულებელი დოკუმენტების გართულებული მოთხოვნები გვხვდება. საერთაშორისო ვაჭრობას 600-მდე სახეობის დოკუმენტი ემსახურება. ამ სირთულეს მრავალი ქვეყანა იმპორტის შეზღუდვის ბარიერად იყენებს. GATT/WTO-ს შეთანხმებების VIII მუხლი უშუალოდ მოითხოვს აღნიშნული ბარიერების გამარტივებას (თანამედროვე ეტაპზე მინიმუმამდღა შემცირებული ბიუროკრატიული ფორმალობები და საბაჟო დოკუმენტები) და უპირატესობა გააჩნია საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების უნიფიკაციას.

საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის რეგულირების პროცესში ვმო-სთან ერთად აქტიურადაა ჩართული გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია (UNCTAD), გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია (UNCITRAL), მსოფლიო საბაჟო

ორგანიზაცია (WCO), საერთაშორისო სავაჭრო პალატა (ICC), კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტი (UNIDROT), ასევე სხვადასხვა საერთაშორისო სასაქონლო ბაზრების მარეგულირებელი ორგანიზაციები. ზემოთანიშნული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული კონვენციები, საერთაშორისო შეთანხმებები, სახელმძღვანელო რეკომენდაციები და ტიპური კონტრაქტები ემსახურება სახელმწიფოთაშორის სავაჭრო პოლიტიკის ჰარმონიზაციას, სტანდარტიზაციასა და უნიფიკაციას.

ვმო-ს წევრ ქვეყნებთან და გლობალურ ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობა საქართველომ საგარეო სავაჭრო პოლიტიკის რეფორმირების, ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის შემცირებისა და მოსახლეობის საკეთილდღეოდ უნდა გამოიყენოს. ეროვნული სავაჭრო პოლიტიკის მოდელის შემუშავებისას კი უნდა იქნეს გათვალისწინებული მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე გლობალური შეუქცევადი პროცესები, საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელი თანამედროვე მეთოდები, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მრავალმხრივი შეთანხმებები, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის გახსნილობასა და ამასთან ერთად დაიცავს ეროვნულ ბაზარს უცხოური კომპანიების მოზღვავებული იმპორტისაგან.

4.2. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სისტემა და სამართალი. ვმო-ს სამართლის თავისებურებანი, ვაჭრობის

საერთაშორისო სავაჭრო სისტემას ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმება(GATT) აწესრიგებდა 1948-1994 წლებში, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენდა მის წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული ვალდებულებების შეთანხმებას. GATT-ის არსებობის მანძილზე(1947-1994წწ) ჩატარდა მრავალმხრივი საერთაშორისო მოლაპარაკებების რვა რაუნდი.

1947-1979 წლებში მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების შვიდი ძირითადი რაუნდის მუშაობის შედეგად მოჰყვა იმპორტზე საბაჟო ტარიფების (40-20%-დან -10-12%-მდე) საგრძნობლად შემცირება, რამაც გამოიწვია ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო ვაჭრობის სწრაფი განვითარება.

მეექვსე ანუ კენედის რაუნდზე (1964-1967) მიღწეულ იქნა სატარიფო და არასატარიფო ბარიერების შემცირება, როგორც სამრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობაში.

მეშვიდე - ტოკიოს რაუნდი (1973-1979) დროს. ტარიფების შემდგომი შემცირების გარდა (სამრეწველო საქონელზე ტარიფები შემცირდა თითქმის ერთი მესამედით), მიღწეულ იქნა შეთანხმება არასატარიფო სფეროში, ტექნიკური სტანდარტების, ანტიდემპინგის, სუბსიდიებისა და მაკომპენსირებელი ღონისძიებების ჩათვლით,

აგრეთვე იმპორტის ლიცენზირებაში და საბაჟო შეფასებების საკითხებში. ასევე მიღწეულ იქნა შეთანხმებები სამოქალაქო თვითმფრინავებით, რძის პროდუქტებითა და ხორციტ ვაჭრობის, აგრეთვე სახელმწიფო შესყიდვების სფეროებში.

სავაჭრო მოლაპარაკების მერვე რაუნდი თითქმის რვა წელი გაგრძელდა 1986 წლიდან --1994 წლამდე. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არ დაემვათ პროტექციონიზმის დონის ამაღლება, შეეზღუდათ და აღეკვეთათ ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც GATT-ის წესებს არღვევდა. მოლაპარაკების დღის წესრიგში დადგა ახალი საკითხები: მომსახურებით ვაჭრობა, ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი დაცვა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ღონისძიებები. ურუგვაის რაუნდის ხელშეკრულებათა პაკეტი შედგება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩამოყალიბების შესახებ შეთანხმებებისა და მისი დამატებებისაგან, რომლებიც მოიცავენ საქონლით ვაჭრობის, მომსახურებისა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სავაჭრო ასპექტების შესახებ სამართლებრივ შეთანხმებებს, ხელშეკრულებებსა და სხვა დამატებით დოკუმენტებს. ყველა ეს დოკუმენტი, განიხილება, როგორც ერთიანი მთლიანი. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა, რომელიც წევრიანდება ვმო-ში ვალდებულია შეუერთდეს ყველა ხელშეკრულებას გამონაკლისის გარეშე. ერთადერთი შეღავათი ამ მიმართულებით არის ხელშეკრულებათა განხორციელების განსხვავებული ვადა, რომელიც უფრო ხანგრძლივია განვითარებადი ქვეყნებისათვის და ზოგიერთ შემთხვევაში გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვისაც.

ურუგვაის რაუნდის ძირითადი შედეგებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

ურუგვაის რაუნდის შეთანხმებები ითვალისწინებენ განვითარებულ ქვეყნებში 6 წლის განმავლობაში (დაწყებული 1995 წლიდან), იმპორტულ სამრეწველო პროდუქციაზე ტარიფების შემცირებას, საშუალოდ 25-36 %-ით საბაჟო პერიოდთან შედარებით. თითოეულ სატარიფო პოზიციაში, მინიმუმ 15-25% -იანი შემცირებით. განვითარებად ქვეყნებს ამ მხრივ მიეცათ შეღავათები (10 წლიანი პერიოდი, ტარიფების შემცირება საშუალოდ 24-25%-ით და ა. შ).

GATT/ WTO-ს სისტემა გავრცელდა სოფლის მეურნეობის, საფეიქრო და ტანსაცმლის სექტორებზე;

GATT/WTO-ს სისტემა გავრცელდა მომსახურებით ვაჭრობაზე და ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების ასპექტებზე.

დაიხვეწა წესები ისეთ სფეროებში, როგორცაა სუბსიდიები, ანტიდემპინგი, ვაჭრობაზე მოქმედი ტექნიკური ბარიერები, ეროვნული ბაზრის დაცვის ღონისძიებები, კომერციული დავების გადაწყვეტის მექანიზმი და სხვა;

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (ე.წ მარაკეშის დეკლარაცია), რომლის საუძველზეც შეიქმნა მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის სამართლებრივი და ინსტიტუციური საფუძველი - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია(WTO).

ურუგვაის რაუნდის ერთ-ერთი მთავარი შედეგი იყო GATT-ის WTO-დ გარდაქმნა, რადგანაც GATT ინსტიტუციურად და ორგანიზაციულად ვერ უზრუნველყოფდა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების მასშტაბებსა და

გამოწვევებს, ამდენად ვმომ არის სახელმწიფოთა წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, მაშინ როდესაც GATT-ი მხოლოდ ხელმომწერ მხარეებს შორის არსებულ მრავალმხრივ შეთანხმებას წარმოადგენდა. GATT-ის სამართალმემკვიდრეა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, რადგანაც ვმომ-ს მრავალმხრივი ხელშეკრულებათა პაკეტის საფუძველს წარმოადგენს გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე (GATT). იგი არის თავისებური მოდელი, რომლის საფუძველზეც შექმნილია ვმომ-ს ორგანიზაციული მექანიზმი, გადაწყვეტილების მიღების კონსენსუსის პრინციპი და მისი მრავალი შეთანხმება. გადაწყვეტილების მიღება -კონსენსუსი GATT-ის ტრადიციას წარმოადგენდა. ერთსულოვნება საჭიროა ზოგად პრინციპებში შესწორების შესატანად. დებულების ინტერპრეტაციისთვის და წევრი ქვეყნების ვალდებულებისაგან განთავისუფლებისთვის საჭიროა მეოთხედი ხმების რაოდენობა (პრინციპით „ერთი-ქვეყანა - ერთი ხმა“). სხვა შემთხვევაში კონსენსუსი წარმოადგენს დადგენილს წესს, თუ სპეციალური მითითება არ არსებობს. 1995-1996 წლებში ორივე ინსტიტუტი ერთობლივ საქმიანობას ეწეოდა, ამ პერიოდში ვმომ-მ აითვისა და გაიზიარა გენერალური შეთანხმების ყველა სასარგებლო, მნიშვნელოვანი დებულებები და პრინციპები, რაც ვმომ-ს მრავალმხრივ სადამფუძნებლო დოკუმენტში აისახა.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ინგ. World Trade Organization, აკრონომი WTO) - საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც დაარსდა 1995 წლის 1 იანვარს ურუგვაის რაუნდის რვაწლიანი მოლაპარაკების შედეგად და მან ფაქტიურად შეცვალა გენერალური შეთანხმება ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ (GATT). ამ ორგანიზაციებმა უკანსაკნელი 60 წლის განმავლობაში შექმნეს ძლიერი საერთაშორისო სავაჭრო სისტემა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის არსებით წყაროს მარაკემის შეთანხმება(დეკლარაცია) წარმოადგენს, რომელიც 1994 წლის 14 აპრილს დაიდო და ძალაში 1995 წლის 1 იანვარს შევიდა. ვმომ-ს მრავალმხრივ სადამფუძნებლო დოკუმენტს საფუძველად უდევს 30-მდე შეთანხმება, რომლებიც წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის სამართლებრივ ბაზას. ეს შეთანხმებები თავმოყრილია ურუგვაის რაუნდის საბოლოო აქტში, რომლის ძირითადი პრინციპებია: არადისკრიმინაციული დამოკიდებულება ყველა ქვეყნის მიმართ; თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის უპირატესი ხელშეწყობა; კეთილსინდისიერი კონკურენციის გაძლიერება და ხელშეწყობა; განსაკუთრებული დახმარების აღმოჩენა განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნებისათვის. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ მისი ჩამოყალიბებიდან დღევანდლობამდე მკვეთრად გაზარდა გლობალური ბიზნესი, რადგანაც ვმომ აწესებს საერთაშორისო ვაჭრობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს, დამკვიდრებული საერთაშორისო წესებით აწესრიგებს კომერციულ დავებსა და უთანხმოებებს მის წევრ ქვეყნებს შორის, რომელთა უმრავლესობა დაახლოებით 30 საერთაშორისო შეთანხმების ხელმომწერია. აღნიშნული შეთანხმებები ეხება არამარტო საერთაშორისო ვაჭრობას, არამედ საერთაშორისო ბიზნესის მთლიან კომპლექსს. ამდენად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია - ეს არის ინსტიტუციურ-ორგანიზაციული მართვისა და სამართლებრივი მექანიზმი ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის

დასაწყებად, ფორუმი მთავრობებისათვის ორმხრივი, მრავალმხრივი ხელშეკრულებებისათვის, კომერციული დავებისა და უთანხმოების მოგვარება ვმო-ს საკანონმდებლო ბაზისის გამოყენებით. ვმო-ს შტაბ-ბინა ქენევაში (შვეიცარია) მდებარეობს. 2018 წლის მონაცემებით მასში გაერთიანებულია 164 სახელმწიფო. ამ ქვეყნების საგარეო-სავაჭრო ბრუნვა მსოფლიო სავაჭრო ბრუნვის 97 % შეადგენს. ვმო-ს 164 წევრისაგან 117 განვითარებადი ქვეყანაა. ორგანიზაციის ყოველწლიურ ბიუჯეტს 190 მილიონი დოლარი შეადგენს. ვმო-ს ოფიციალურ სამუშაო ენად აღიარებულია: ინგლისური, ფრანგული და ესპანური[www.wto]

გლობალიზაციის პირობებში ვმო-ს ძირითადი მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია საიმპორტო ტარიფების თანამიმდევრული შემცირება და სხვადასხვა საიმპორტო არასატარიფო ბარიერების გაუქმება. საერთაშორისო გაცვლის გაფართოება საშუალებას მისცემს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს ეფექტიანად და ოპტიმალურად გამოიყენონ მსოფლიო რესურსები, რაც უზრუნველყოფს ვმო-ს წევრი ქვეყნების ეკონომიკურ *სტაბილურობასა და მდგრად განვითარებას*. ვმო-ს წევრი სახელმწიფოების ვალდებულებას იღებენ, რომ მათი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები მიმართული იქნება ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ, სრული დასაქმების, რეალური შემოსავლების მუდმივად მზარდი დონის, ეფექტიანი მოთხოვნის, განვითარებული წარმოების, საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის გაფართოების უზრუნველყოფისაკენ.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია თავისი მიზნებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

- ❖ ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობის დაბალანსებულ ზრდას ბარიერებისა და წინააღმდეგობების აღმოფხვრის მიზნით ;
- ❖ საერთაშორისო ვაჭრობაში მიაღწიოს ლიბერალიზაციის სავაჭრო პოლიტიკის დამკვიდრებას სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებებისა და მოლაპარაკების (კონსესუსის საფუძველზე) გზით;
- ❖ ვმო-ს წევრ ქვეყნებს შორის დაწეროს კომერციული დავებისა და უთანხმოების სამართლიანი მოგვარების მექანიზმები.

ვმო შექმნილია მოლაპარაკების საფუძველზე და ყველაფერი რასაც ის აღწევს არის მოლაპარაკების შედეგი. მთავრობებს შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების მიზანია დაეხმაროს მწარმოებლებს, ექსპორტიორ-იმპორტიორებს, ინვესტორებს საერთაშორისო ბაზარზე შესასვლელად და სავაჭრო ბარიერების რეგულირების მართვაში. ამასთან ერთად გათვალისწინებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ეროვნული ბაზრის დაცვის პრინციპი. ვმო-ს წევრი ქვეყნები იღებენ ვალდებულებებს, ურთიერთვაჭრობის პროცესში შეამცირონ საბაჟო ტარიფები და სხვა არასავაჭრო ბარიერები, საერთაშორისო ბაზარი გახადონ ღია და გამჭირვალე ურთიერთხელსაყრელი და სარგებლის მომტანი თანამშრომლობისათვის. ორმხრივი ხელშეკრულებები, რომელიც ფორმდება ქვეყნებს შორის მოქნილი, იმ თვალსაზრისით, რომ დროდადრო შესაძლებელია მათი გადახედვა და შეთანხმების პაკეტს შეიძლება დაემატოს ახალი შეთანხმებები. წევრი

ქვეყნები ვალდებულნი არიან, ეროვნული კანონმდებლობა ადაპტირებული და ჰარმონიზებული გახადონ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის საკანონმდებლო ბაზისის სამართლებრივ ნორმებთან და შეთანხმებებთან. ამასთან ერთად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია საერთაშორისო სავაჭრო სისტემის არა მარტო საერთო ინსტიტუტური საფუძველია, არამედ მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებებისათვის ერთიანი ფორუმიც, ამასთან ერთად ვმო-ს სამართლის ნორმები საკმაოდ ზუსტია და საკმაოდ ძლიერი, სამართლებრივი მექანიზმი იერარქიული, რაც შეიძლება შევადაროთ პირამიდას, იერარქიულად პირამიდის წვერზე ვმო-ს მრავალმხრივი დამფუძნებელი შეთანხმებაა, რომელიც ვმო-ს წვერი ქვეყნებისათვის იმპერატიული ნორმაა, მისი უპირობო შესრულება ყველა ქვეყნის ვალდებულებაა. ვმო-ში გაწვევრიანება შეუძლებელია, როგორც სახელმწიფოს ისე ავტონომიურ ტერიტორიებსა და ფედერაციის სუბიექტებს, ამასთან წევრ სახელმწიფოებს ვმო-დან თავისუფლად გამოსვლის უფლება აქვთ და ვმო-დან გარიცხვის პროცედურა გათვალისწინებული არ არის გენერალური შეთანხმებისაგან

დოკას „განვითარების რაუნდი“ დაიწყო დოკას მინისტრთა IV კონფერენციის დეკლარაციაზე დაყრდნობით. იგი მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორც არის: სოფლის მეურნეობა, მომსახურება, ინტელექტუალური საკუთრება, ბაზარზე დამკვეთი, ინვესტიციები, სუბსიდიები, ეროვნული ბაზრის დამცავი ღონისძიებები, დავების გადაჭრა, გარემოს დაცვა, მცირე ეკონომიკის ქვეყნები, ტექნიკური თანამშრომლობა, რეგიონული შეთანხმებები, ელექტრონული კომერცია, სახელმწიფო შესყიდვები, სავაჭრო შესაძლებლობები, ნაკლებად განვითარებული ქვეყნები, სპეციალური და განსხვავებული სავაჭრო რეჟიმები. დეკლარაციის მუხლებში ასახულია თითოეული ჩამოთვლილი მიმართულება, რომელთა ირგვლივ მოლაპარაკებათა ჩასატარებლად ვმო-მ ჩამოაყალიბა შესაბამისი სტრუქტურები ამ შეთანხმების მიზანი გლობალური სამყაროსათვის უსაფრთხო და პროგნოზირებადი საერთაშორისო გარემოს, ასევე ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის პროცესის უზრუნველყოფა, საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება. ამ ყველაფრის დახმარებით კი ეკონომიკის ზრდისა და მსოფლიო მასშტაბით განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ვაჭრობის ორგანიზაციული გაუმჯობესება. შეთანხმებაში ნათქვამია შემდეგი: თითოეულ ქვეყანას აქვს უფლება განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ დაიცვას საკუთარი უსაფრთხოება, ექსპორტის ხარისხი, ადამიანთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ცხოველთა და მცენარეთა სამყარო, გარემო, ან შეაჩეროს ფალსიფიკაცია იმ დონემდე, სადამდეც თვითონ ჩათვლის საჭიროდ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს ზომები არ იქნება მიმართული იმპორტიორის დისკრიმინაციისაკენ და საერთაშორისო ვაჭრობას არ შეუქმნის ფარულ დაბრკოლებებს. ამასთან ორგანიზაციის წევრებმა ვალდებულება აიღეს დაეცვათ შემდეგი წესები:

ეროვნული რეჟიმი იმპორტული საქონლისათვის შექმნილი პირობები არ უნდა იყოს სამამულოზე უარესი.

პროპორციულობა შესაბამისობის დადგენის ზომები არ უნდა იყოს კონკრეტული საქონლის მიერ გამოწვეულ რისკზე მკაცრი.

ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტების (ნებაყოფლობითი ტექნიკური დოკუმენტები), ან შესაბამისობის დამდგენი წესების არსებობისას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრმა არ უნდა შექმნას მათგან განსხვავებული ეროვნული დოკუმენტი;

არადისკრიმინაცია ვმო-ს შეთანხმებები ერთნაირად უნდა გავრცელდეს ყველა წევრ ქვეყანაზე.

ნოტიფიკაცია თუ რომელიმე ქვეყანა აპირებს მიიღოს საერთაშორისოსგან განსხვავებული სტანდარტი, ტექნიკური რეგლამენტი ან შესაბამისობის შემფასებელი პროცედურა, იგი მოვალეა ვმო-ს სამდივნოს აცნობოს ამ ნაბიჯის მიზეზი და წარუდგინოს დოკუმენტის მოკლე შინაარსი.

ტრანსპარენტულობა- გამჭვირვალობა ნებისმიერი მიღებული ნორმატიული ტექნიკური დოკუმენტი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისათვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

საინფორმაციო ცენტრის შექმნა ვმო-ს თითოეული წევრი ხსნის ერთ ან რამდენიმე საინფორმაციო ცენტრს, სადაც ზედმეტი პრობლემების გარეშე შესაძლებელია მიიღოს ზუსტი ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედ ტარიფებზე, ნორმებზე, სტანდარტებზე, რეგლამენტზე და ა.შ.

ზემოთაღნიშნული ამოცანების შესასრულებლად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითადი ფუნქციებია:

- **სამართლებრივი ბაზის შექმნა** სავაჭრო ბარიერების მართვისა და დისკრიმინაციის აღკვეთის მიზნით;
- **მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკების პროცესის წარმართვა;**
- **ვაჭრობასთან დაკავშირებული საერთაშორისო დავების მოგვარება.**
- **ვმო-ის წევრი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის ზედამხედველობა;**
- **მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა (განსაკუთრებით საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკის ჯგუფთან, გაეროს სხვა სპეციალიზებულ დაწესებულებებთან).**

მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების ცხოვრებაში გატარების მიზნით, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია მთელი რიგი საბჭოებისა და კომიტეტების საშუალებით ზედამხედველობას უწევს მათ ფუნქციონირებას. ეს შეთანხმებები მთლიანობაში ქმნიან მრავალმხრივ სავაჭრო სისტემას, რომლის ფუნდამენტურ პრინციპებსაც წარმოადგენენ:

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს:

- **ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე, რაც გულისხმობს ერთის მხრივ წევრი ქვეყნების მიერ ერთმანეთისთვის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას, ხოლო მეორე მხრივ თანაბარი უფლებებისა და პირობების უზრუნველყოფას იმპორტული და ადაგილობრივად წარმოებული საქონლისთვის.**

- ქვეყნების ინტეგრაცია საერთაშორისო და საგარეო სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ერთობლივი დაგეგმვა მხრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებების ბაზაზე;
- კეთილსინდისიერი დათმობების წახალისება ურთიერთდათმობების განხორციელებით;
- დავების გადაწყვეტა კონსულტაციებითა და მოლაპარაკებების გზით, ხოლო აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში GATT-ის სპეციალური ორგანოების გადაწყვეტილებებზე დაყრდნობა;
- შიდა ბაზრის დასაცავად უპირატესად საბაჟო სატარიფო მეთოდების გამოყენება და არ რაოდენობრივი შეზღუდვების და სხვა ტექნიკური ბარიერების დაწესება;
- ვმო-ის წევრ ქვეყნების პროგნოზირებადი სავაჭრო პოლიტიკის უზრუნველყოფა.

1. საერთაშორისო ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე, რაც გულისხმობს ერთდროულად წევრი ქვეყნების მიერ ერთმანეთისთვის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას და ასევე თანაბარი უფლებებისა და პირობების უზრუნველყოფას იმპორტული და ადგილობრივი საქონლისათვის. ანუ `უპირატეს ხელშეწყობის რეჟიმის თანახმად მხარეები ვალდებულია იღებენ მიანიჭონ სხვა წევრი ქვეყნის პროდუქციას არანაკლებ ხელსაყრელი რეჟიმი, ვიდრე მინიჭებული აქვს ამ რეჟიმის მიმცემ სახელმწიფოში სხვა ნებისმიერ ქვეყნის პროდუქციას. ეროვნული რეჟიმისდებულებების თანახმად კი შემოტანილი და ადგილობრივი პროდუქციის მიმართ დაწესებული უნდა იყოს რთი და იგივე რეჟიმი. იგივე წესებით რეგულირდება ინტელექტუალური საკუთრებისა და მომსახურების ვაჭრობაც. თუმცა აღსანიშნავია, რომ გამონაკლისის სახით პირველი რეჟიმი არ ვრცელდება თავისუფალ სავაჭრო ზონებში ან არაინდუსტრიული ქვეყნებისათვის დაწესებულ შეღავათებზე, ხოლო ეროვნული რეჟიმი კი ტარიფებსა და სამთავრობო შესყიდვებზე.

2. **ბაზარზე პროგნოზირებადი და მზარდი დაშვება** მრავალმხრივ სავაჭრო სისტემაში ჩართვით სახელმწიფოები ამჟღავნებენ საკუთარ სურვილსა და ძალისხმევას ინვესტორს, მეწარმეს, მომხმარებელს შეუქმნან სტაბილური და პროგნოზირებადი საქმიანი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ვაჭრობას, ინვესტირებას, სამუშაო ადგილების შექმნას, მრავალფეროვნებას და დაბალ ფასებს ბაზარზე. უსაფრთხო და პროგნოზირებად ბაზარზე დაშვების არსებობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ტარიფები და საბაჟო გადასახადები. მაშინ, როდესაც აკრძალულია ვმო-ს მიერ, ტარიფები რჩება ერთადერთ კანონიერ, ვმო-ს მიერ ნებადართულ საშუალებად, რითაც შეიძლება მოხდეს ეროვნული წარმოების დაცვა და სახელმწიფო შემოსავლების გაზრდა. აღსანიშნავია, რომ ურუგვაის რაუნდზე 120-ზე მეტმა ქვეყანამ სატარიფო შემცირებები.

3. **კეთილსინდისიერი კონკურენციის წახალისება**, ხელშეწყობა. ვმო აფართოებს GATT 1947-ის ადრინდელ წესებს, რომლის მიხედვითაც მთავრობებს საშუალება ეძლევათ დააწესონ `არაკეთილსინდისიერი კონკურენციისათვის საკომპენსაციო ორი სახის

გადასახადები: დემპინგისა და სუბსიდიებისათვის. ამ პრინციპით ვმო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი შეიმუშავებს წესების ისეთ სისტემას, რომელიც მიმართულია სამართლიანი და ჯანსაღი კონკურენციის ჩამოყალიბებისკენ.

4. განვითარებისა და ეკონომიკური რეფორმების წახალისება. ვმო-ში შენარჩუნებულია GATT 1947-ის დებულებები, რომლებიც ითვალისწინებდნენ განვითარებული ქვეყნების მიერ განვითარებადი ერებისათვის ვაჭრობაში ხელშეწყობის წახალისების შესახებ. განვითარებად ქვეყნებს მიეცათ გარდამავალი პერიოდი ვმოს განსაკუთრებით რთულ დებულებებთან შესაგუებლად. ნაკლებად განვითარებული ქვეყნები სარგებლობენ კიდევ უფრო მეტი უპირატესობით. ვმოს წევრებს თითქმის 3/4-ზე მეტს წარმოადგენს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები. 1986-1994 წლებში ურუგვას რაუნდის 7,5 წლიან პერიოდში 60-ზე მეტმა ასეთმა ქვეყანამ შეასრულა ვაჭრობის ლიბერალიზაციის ვალდებულებები.

4.3. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის უმაღლესი მმართველობითი ორგანოები და მართვის სტრუქტურა: გენერალური საბჭო, სავაჭრო პოლიტიკის ზედამხედველობისა და დავების მოგვარების სამართლებრივი ორგანო(DSB)

XXI საუკუნის დასაწყისში გლობალიზაციის თანამედროვე შეუქცევად პროცესს აქვს მნიშვნელოვანი ინსტიტუციურ-ორგანიზაციული და სამართლებრივი მხარდაჭერა, რის დასტურიცაა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების არსებობა. ისინი სახელმწიფოებთან ერთად ახორციელებენ გლობალური ბიზნესის მხარდაჭერასა და სამართლებრივ რეგულირებას.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო) არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ახალგაზრდა გლობალური ორგანიზაცია თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სავაჭრო სისტემის სამართლებრივ და ორგანიზაციულ -ინსტიტუციონალურ საფუძველს, მისი მიზანია ხელი შეუწყოს მსოფლიო ვაჭრობის სტაბილურობას, დაარეგულიროს სავაჭრო მოლაპარაკებები და კომერციული დავები სახელმწიფოთა შორის. ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში საგარეო სავაჭრო პოლიტიკა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის საკმაოდ რთული სფეროა, რომელიც წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის ოპერაციების ისეთი ოპტიმალური მოცულობისა და სტრუქტურის მიღწევას, რომლის დროსაც ქვეყანას უნდა შეეძლოს, როგორც ეროვნული ბაზრის დაცვა, ისე ხელსაყრელი საგარეო ვაჭრობის განვითარების პერსპექტივა.

საერთაშორისო ვაჭრობა მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ცივილიზებული განვითარების ხელშემწყობი და განუყოფელი ნაწილია, რომელიც გეოგრაფიულად და ეკონომიკურად განცალკავებულ რეგიონებსა და კონტინენტებს შორის ხორციელდება და პრაქტიკულად ქვეყნებს შორის საქონლის, მომომსახურების,

ინტელექტუალური საკუთრების, ტექნოლოგიების, ვალუტის გაცვლით სრულდება. ამ ღონისძიებათა მიზანია იმგვარი სავაჭრო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს საგარეო სავაჭრო ურთიერთობების დივერსიფიკაციასა და ეროვნული ინდუსტრიის განვითარების ზრდას, რათა სახელმწიფოებმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში და მსოფლიო თანამეგობრობაში.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მმართველ ორგანოებს გააჩნია სამი იერარქიული დონე: სტარტეგიული გადაწყვეტილებები უმაღლეს დონეზე ვმო-ში მიიღება მინისტრთა კონფერენციის მიერ, რომელიც იკრიბება 2 წელიწადში ერთხელ. ვმო-ს მინისტრიალის კონფერენცია (The Ministerial Conference) ვმო-ს უმაღლესი დონის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა. მინისტრთა კონფერენციის დაქვემდებარებაში იმყოფება გენერალური საბჭო (The General Council), რომელიც ყენევაში წელიწადში რამდენჯერმე იკრიბება, საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის მიმოხილვისა და სამართლებრივი მექანიზმებით რეგულირების მიზნით.

გენერალური საბჭოს შემადგენლობაში შედის 2 სპეციალური ორგანო:


- დაავების მოგვარებისა და გადაწყვეტის ორგანო (Dispute Settlement Body(DSB));
- სავაჭრო პოლიტიკის განხილვის ორგანო (2 წელიწადში ერთხელ);

ვმო-ში შედის აგრეთვე განსაკუთრებული პასუხსმგებლობის მქონე შემდეგ საკითხებზე მომუშავე 4 კომიტეტი:

- ვაჭრობა და გარემოს დაცვა;
- ვაჭრობა და განვითარება;
- საგადამხდელო ბალანსის გამო შეზღუდვა;
- ბიუჯეტი, ფინანსები და ადამინისტრაცია.

WTO-ს ხელმძღვანელია გენერალური დირექტორი, რომელსაც ირჩევენ 4 წელიწადში ერთხელ. გადაწყვეტილების მიღებისსა საჭიროა ხმის რაოდენობა, პრინციპით „ერთი-ქვეყანა - ერთი ხმა“ გენერალური დირექტორი განაგებს სამდივნოს(. იხ., სქემა 10.1).

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მართვის სტრუქტურა(სქემა 4.1)



ვმო–ს ფუნქციებს მინისტრთა კონფერენცია ახორციელებს. მინისტრთა კონფერენციების სხდომებს შორის პერიოდში საჭიროების მიხედვით იკრიბება ასევე ყველა წარმომდგენლისაგან შემდგარი გენერალური საბჭო, რომელიც წყვეტს მიმდინარე და პროცედურულ საკითხებს. გარდა ამისა გენერალური საბჭო კურირებს დავების მოგვარებისა და სავაჭრო პოლიტიკის განხილვის ორგანოების საქმიანობებს.

ამ ორ უკანასკნელს ჰყავს თავისი თავჯდომარე. სამივე მათგანი ფაქტიურად ერთი სტრუქტურაა, ოღონდ განსხვავებული ფუნქციებითა და საქმიანობის სფეროთი. დავების გადაწყვეტის ორგანო, აღნიშნულის შესახებ ვმო-ს შეთანხმებით დადგენილი წესების შესაბამისად, განიხილავს სათანადო ზომებს მათ გადასაწყვეტად. სავაჭრო პოლიტიკის ანალიზის გაკეთებაზე რამდენადაც ეს ორგანოები ვმო-ს ორ ყველაზე მნიშვნელოვან ფუნქციას ახორციელებენ ცხადია მათ ეფექტურ საქმიანობაზე დიდადაა დამოკიდებული, როგორც ვმო-ს ასევე მთლიანდ საერთაშორისო სავაჭრო სისტემის ნორმალური და გამართული ფუნქციონირება. გენერალურ საბჭოს ექვემდებარება ასევე საქონლით ვაჭრობის საბჭო, მომსახურებით ვაჭრობის საბჭო და ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებების საბჭო. აღნიშნული საბჭოები ზედამხედველობას უწევენ ვმო-ს დამფუძნებელი შეთანხმების დამატებებში მოცემულ, შესაბამისი სფეროების შეთანხმებათა ფუნქციონირებას. საქონლით და მომსახურებით ვაჭრობის საბჭოებში შექმნილია შეთანხმების კომიტეტები და ასევე მოლაპარაკებების ჯგუფები. საბჭოებში და კომიტეტებში გაწევრიანება შეუძლია ვმო-ს ნებისმიერ წევრს გარდა ამისა, ფუნქციონირებს მრავალმხრივი ხელშეკრულებების შესულების მაკონტროლებელი ორგანოები, რომელშიც მონაწილეობა არ არის სავალდებულო ვმო-ს წევრ ყველა სახელმწიფოსათვის. ვმო-ს სტრუქტურაში ასევე არსებობენ მუშა ჯგუფები და ხუთი კომიტეტი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გენერალური საბჭოს წინაშე. აღნიშნული კომიტეტებში მონაწილეობენ ყველა წევრი ქვეყნის წამომადგენლებიც. ისინი არეგულირებენ ისეთ მიმართულებებს როგორცაა: **ვაჭრობა და გარემო, ვაჭრობა და განვითარება, რეგიონულ ვაჭრობაზე შეთანხმებები, ბიუჯეტი, ფინანსები, ადმინისტრაცია და სხვა.**

1996 წლის სინგაპურის კონფერენციაზე ჩამოყალიბდა სამი ახალი მუშა ჯგუფი ინვესტიციების, კონკურენციული პოლიტიკისა და სამთავრობო შესყიდვების საჯაროობის საკითხებზე. გარდა ამისა ვმო-ს სტრუქტურაში შეიქმნა ორი კომიტეტი და ორი საბჭო, რომლებიც ზედამხედველობას უწევენ ვმო-ს მეოთხე დამატებაში მოცემულ ოთხ არასავალდებულო მიერთების შეთანხმების ფუნქციონირებას.

გენერალური დირექტორი ნიშნავს ვმო-ს სამდივნოს პერსონალს და განსაზღვრავს მათ მოვალეობებს და მუშაობის პირობებს მინისტრთა კონფერენციის მიერ მიღებული წესდების საფუძველზე. გენერალური დირექტორის მოვალეობაში შედის მინისტრთა კონფერენციისა და გენერალური საბჭოს გადაწყვეტილებების განხორციელებისა და სამდივნო საქმიანობის კოორდინირება. იგი ამზადებს პერიოდულ მოხსენებს ვმო-ს საქმიანობის შესახებ და ბიუჯეტის, ადმინისტრაციისა და დაფინანსების კომიტეტს წარუდგენს ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტს და მიმოხილვას არსებული ფინანსური მდგომარეობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ვმო-ს ჰყავს 600 კაციანი პერსონალი, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი და მისი ოთხი მოადგილე. ვმო-ს ბიუჯეტმა 2019 წლისათვის 196 მილიონი შეადგინა. იგი შედგება ინდივიდუალური საწევრო შენატანებისაგან, რომელიც გაიანგარიშება ვმო-ს წევრების მიერ განხორციელებული საერთო ვაჭრობის წილის საფუძველზე. ვმო-ს ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი მოდის საერთაშორის

სავაჭრო ცენტრში, რომელიც დაარსდა საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის შეთანხმების მიერ 1964 წელს განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნის საფუძველზე, რათა ხელი შეეწყო მათთვის ექსპორტის განვითარებაში. სამდივნოს მოვალეობაში შედის ვმო–ს ადმინისტრაციული და ტექნიკური მხარდაჭერა მოლაპარაკებების დროს და ვმო–ს შეთანხმებების ცხოვრებაში გატარება. იგი უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას განვითარებადი და განსაკუთრებით კი ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის. ვმო–ს ეკონომისტები და სტატისტიკოსები ახორციელებენ სავაჭრო საქმიანობისა და სავაჭრო პოლიტიკის ანალიზს, მაშინ როდესაც მისი იურიდიული პერსონალი მონაწილეობას იღებს სავაჭრო დავების გადაწყვეტაში, რომლებიც წარმოიშობიან ვმო–ს წესებისა და პრეცედენტების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, სამდივნო ასევე ასრულებს საკმაოდ შრომატევად სამუშაოს ახალი წევრების მიღებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დროს და აძლევს საჭირო რჩევებს ქვეყნების მთავრობებს გაწევრიანების პროცესში. ვმო–ს გადაწყვეტილებების მიღება ხდება კონსენსუსის გზით. ეს საშუალებას აძლევს ყველა წევრს, მათი ინტერესები სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული. მაგრამ როდესაც გადაწყვეტილების მიღება ვერ ხერხდება კონსენსუსის გზით, სადისკუსიოდ დაყენებული საკითხის გადაწყვეტა ხდება კენჭისყრის საშუალებით. მინისტრთა კონფერენცია და გენერალური საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ორგანიზაციის დამფუძნებელ შეთანხმებაში ან შესაბამის მრავალმხრივ შეთანხმებაში. ვმო–ს დამფუძნებელი შეთანხმება ითვალისწინებს ოთხ სპეციფიკურ სიტუაციას, როდესაც საკმარისი არ არის გადაწყვეტილების მისაღებად ხმათა უბრალო უმრავლესობა: მინისტრთა კონფერენციას და გენერალურ საბჭოს აქვთ განსაკუთრებული უფლებამოსილება, მოახდინონ ვმო–ს დამფუძნებელი შეთანხმებისა და პირველ–მესამე დამატებებში მოცემული შეთანხმებების განმარტება ხმა სამი მეოთხედის უმრავლესობით. ასევე ხმათა სამი მეოთხედის უმრავლესობით მინისტრთა კონფერენციას შეუძლია რომელიმე კონკრეტულ წევრებს მოუხსნას ვმო–ს შეთანხმებით დაკისრებული ვალდებულება. გადაწყვეტილება ვმო–ს დამფუძნებელ შეთანხმებასა და მის პირველ–მესამე დამატებებში მოცემულ შეთანხმებებში ცვლილებების შეტანის შესახებ მიღებული უნდა იქნას საკითხის ხასიათიდან გამომდინარე, ყველა წევრის მიერ ან ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით, მაგრამ ცვლილებები მოქმედებს მხოლოდ იმ წევრებისათვის, რომლებიც დაეთანხმნენ მათ. გადაწყვეტილება ახალი წევრების მიღების შესახებ მიიღება მინისტრთა კონფერენციის ან კონფერენციების შორის პერიოდში, გენერალური საბჭოს მიერ ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით. მინისტრთა კონფერენციაზე და გენერალური საბჭოს სხდომებზე თითოეულ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმა. მზარდი ეკონომიკური ინტეგრაციის ფონზე ხდება ვმო–ს წევრების ჯგუფებად გაერთიანება რომელთა სახელითა ლაპარაკობს ერთი პირი შეხვედრებისა და მოლაპარაკებების დროს. მნიშვნელოვან როლს თამაშობს წევრი ქვეყნების არაფორმალური შეხვედრებიც, რომლებზეც ხდება შეთანხმების მიღწევა არაერთ პრობლემატურ საკითხზე.

ვმო-ს დავის გადაჭრის მექანიზმი წარმოადგენს მრავალმხრივი სავაჭრო სისტემის უსაფრთხოების ცენტრალურ ელემენტს, ვმო-ს წევრების ვალდებულებას იღებენ ცალმხრივად არ განიხილონ სავაჭრო წესების დარღვევის საკითხები, არამედ მოძებნონ მათი მოგვარების ფორმები დავის გადაჭრის მრავალმხრივ სისტემაში და დაიცვან ამ სისტემაში არსებული წესები. გენერალური საბჭო, როგორც დავის გადაჭრის ორგანო იკრიბება იმისთვის, რომ გადაწყვიტოს წევრ სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხები, ჩაატაროს გამოკითხვა და მიიღოს ზომები რეკომენდაციების დაუცველობის შემთხვევაში. დავის გადაჭრის პირველი ეტაპი გულისმობს კონსულტაციებს, რომელთა უშედეგო წარმართვის შემთხვევაში საქმე წარედგინება ვმო-ს გენერალურ დირექტოს, რომელიც მხარეებს შესთავაზებს საარბიტრაჟო შერიგებას და დავის გადაჭრისათვის საჭირო შუამავლის კანდიდატურას. იმ შემთხვევაში თუ 60 დღის ვადაში არ მოხდება დავის გადაჭრა კონსულტაციების მეშვეობით, მოსარჩელეს უფლება აქვს მოსთხოვოს დავის გადაჭრის ორგანოს, დანიშნოს მსაჯულები ამ საქმის საარბიტრაჟო წესით გამოსაკვლევად.

ვმო-ში გაწევრიანებულია 164 ქვეყანა, რომელთა წვლილი საერთაშორისო ვაჭრობაში 97 % შედაგენს. ორგანიზაციის მიზანია განავითაროს თავისუფალი ვაჭრობა და მოხსნას დამაბრკოლებელი გარემოებები და დარწმუნდეს, რომ სახელმწიფოებმა, ორგანიზაციებმა, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა იციან ამ წესების შესახებ.

ვმო-ს მიზანია:

- სავაჭრო შეთანხმებების ადმინისტრირება;
- სავაჭრო შეთანხმებები ფორუმი;
- განიხილავს საერთაშორისო ვაჭრობის დავებს;
- განიხილავს ეროვნული ვაჭრობის (სავაჭრო) პოლიტიკას;
- განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს ეხმარება სავაჭრო
- პოლიტიკის განსაზღვრაში (ტრეინინგები, ტექნიკური დახმარება) და სხვა;
- თანამშრომლობს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ვმო-ს შეთანხმებები მოიცავს თავისუფალი ვაჭრობის ლიბერალიზაციის პრინციპებს. ისინი მოიცავს თითოეული ქვეყნის ვალდებულებებს, შეამცირონ საბაჟო ტარიფები და სხვა სავაჭრო ბარიერები, გახსნან და შეინარჩუნონ ღია მომსახურების ბაზრები. მათ ასევე დადგენილი აქვთ საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში დავების გადაწყვეტის პროცედურები.

4.4. გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისია(UNCITRAL) -მისი შექმნის მიზნები და ამოცანები, სამართალშემოქმედებითი სტატუსი, საერთაშორისო კონვენციები, ტიპური კანონები, სახელმძღვანელო დებულებები

გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია **UN Commission on International Trade Law (UNCITRAL)**-არის გაეროს დამხმარე ორგანიზაცია საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის მიმართულებით. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის თანახმად იგი დაფუძნდა 1966 წელს, როდესაც გაერომ დაადგინა სხვადასხვა ქვეყნის სამართლის გავლენა საერთაშორისო ვაჭრობის დამაბრკოლებელ ფაქტორად. UNCITRAL-ის მიზანია საერთაშორისო სამართლის ჰარმონიზაციისა და უნიფიცირების გზით ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის პროგრესულ განვითარებას და უნიფიკაციას. მისი შტაბ-ბინა განთავსებულია ქ. ვენაში(ავსტრია).

გაეროს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისია კანონმდებლებითი ორგანოა. იგი ამუშავებს ახალ კონცეფციებს, ტიპურ კანონებს, სახელმძღვანელოებს, საერთაშორისო კონვენციებს(შეთანხმებებს) და სხვა სამართლებრივ დებულებებს, რომლებიც არეგულირებენ საქმიან ურთიერთობებს საერთაშორისო ვაჭრობის, სახელშეკრულებო ურთიერთობების, საერთაშორისო გადაზიდვების, კომერციული არბიტრაჟის შესახებ. ასევე კოორდინაციას უწევს საერთაშორისო ბიზნესის სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობას, აგროვებს და ავრცელებს ინფორმაციას ეროვნული კანონმდებლობების შესახებ.

საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისიის მიზანია:

- საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში საერთაშორისო კონვენციებისა და ტიპური კანონების ერთგვაროვანი ინტერპრეტაციისა და გამოყენების უზრუნველყოფის გზებისა და საშუალებების ხელშეწყობა;
- ეროვნული კანონმდებლობისა და სამართლის თანამედროვე განვითარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება, მათ შორის საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკასთან შეთანხმებით;
- გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციასთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება და შენარჩუნება;
- საქმიანი ურთიერთობის შენარჩუნება გაეროს სხვა სპეციალიზებულ დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელთა უშუალო მიზანს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება და რეგულირება წარმოადგენს ;
- ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც სასარგებლოა და ემსახურება საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას.

მრავალწლიანი მუშაობის შედეგად UNCITRAL-ის ეგიდით მიღებულ იქნა მრავალი საერთაშორისო შეთანხმება და კონვენცია, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ საერთაშორისო ვაჭრობის რეგულირების სფეროში:

- გაეროს ვენის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა -გაყიდვის ხელშეკრულებების შესახებ(1980);
- გაეროს ვენის კონვენცია, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ(1969);
- გაეროს კონვენცია საზღვაო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვის შესახებ-ჰამბურგის წესები(1978) ;
- გაეროს კონვენცია საერთაშორისო გადასაგზავნი თამასუქისა და მარტივი თამასუქის შესახებ (1988);
- UNCITRAL-ის მოდელური (ტიპური)კანონი საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ;

გარდა კონვენციებისა, ასევე ტიპური კანონები „ელექტრონული კომერციის შესახებ, შემხვედრი ვაჭრობის შესახებ და სხვა.

ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისიამ მრავალწლიანი საქმიანობის შედეგად შეიმუშავა მრავალი სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც სახელშეკრულებო სამართალს, საზღვაო სამართალს, სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობას, საკონსულო ურთიერთობებს, სახელმწიფოთა იმუნიტეტს, სახელმწიფოთა პასუხისმგებლობასა და ვალდებულებებს ეხება.

4.5. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია -United Nations Conference On Trade and Development- (UNCTAD)

გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია -United Nations Conference On Trade and Development- (UNCTAD) შექმნილია გენერალური ასამბლეის რეზოლუციის თანახმად 1964 წელს. შტაბ-ბინა მდებარეობს ქ.ჟენევაში. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის წევრი შეიძლება გახდეს გაერო-ს, მისი სპეციალიზებული დაწესებულების და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს წევრი ნებისმიერი სახელმწიფო. 2019 წლის მონაცემებით კონფერენციის მონაწილეა 194 ქვეყანა.

ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის ძირითადი ამოცანებია:

- საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება, ამდენად UNCTAD-ის სესიებზე კონსესუსით მიღებული გადაწყვეტილებები ქვეყნებს იურიდიულ ვალდებულებებს არ აკისრებს და ამ დოკუმენტებს ნაკლებად სავალდებულო და ფორმალური ხასიათი გააჩნია. ამგვარი დოკუმენტებია საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებისა და სავაჭრო პოლიტიკის პრინციპები; სახელმწიფოების ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების ქარტია.

- სახელმწიფოებსა და რეგიონულ ეკონომიკურ დაჯგუფებებს შორის პოლიტიკის შემუშავება ვაჭრობის ასპექტებზე;
- საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემებზე მომუშავე გაეროს სხვა დაწესებულებებზე ზემოქმედების კოორდინაცია.

მიზნებიდან გამომდინარე UNCTAD -ის ძირითადი ფუნქციებია:

- სახელმწიფოებს შორის სავაჭრო- ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირება;
- სავაჭრო პოლიტიკისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ ღონისძიებების შემუშავება;
- განვითარებად ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობისადმი მხარდაჭერა;
- ანალიტიკური სამუშაოების ჩატარება აქტუალურ პრობლემებზე: (გლობალიზაცია და განვითარება, საწარმოებისა და ტექნოლოგიების განვითარება, საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა, მომსახურების სფეროში ინფრასტრუქტურის განვითარება).
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

UNCTAD-ის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა კონფერენცია, რომელიც იწვევს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებს სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და სამუშაო პროგრამის განსაზღვრის მიზნით. კონფერენცია მინისტრების მონაწილეობით 4 წელიწადში ერთხელ ტარდება.

UNCTAD-ის აღმასრულებელი ორგანოა ვაჭრობისა და განვითარების საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის უწყვეტ მუშაობას კინფერენციებს შორის შუალედში.

ვაჭრობისა და განვითარების საბჭო მოიცავს სამ კომისიას:

- საქონლით, მომსახურებით და ნედლეულით ვაჭრობის კომისია;
- ინვესტიციების, ტექნოლოგიების და მომიჯნავე ფინანსური საკითხების კომისია;
- მეწარმეობის, საქმიანი პრაქტიკისა და განვითარების კომისია.

UNCTAD განიხილავს მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს, სავაჭრო, საინვესტიციო, საფინანსო, სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობების პრობლემებს, სავაჭრო პოლიტიკას, ეკონომიკურ და სტრუქტურულ რეფორმებს. საბჭო ყოველწლიურად ორ სესიას მართავს (გაზაფხულზე და შემოდგომაზე). გაეროს გენერალურ ასამბლევას ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით წარუდგენს UNCTAD-ის ანგარიშს.

UNCTAD -ის აღმასრულებელ საქმიანობას ხელმძღვანელობს გენერალური სამდივნო, რომელიც გაეროს სამდივნოს შემადგენლობაში შედის. ამასთან სამდივნო გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს ორ დამხმარე ორგანოს ემსახურება-საერთაშორისო ინვესტიციებისა და ტრანსპორტული კორპორაციების კომისიას, აგრეთვე განვითარებაში მეცნიერებისა და ტექნის ასპექტების შემსწავლელ კომისიას.

4.6. კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტი - International Institute for the Unification of Private Law (UNIDROIT)

კერძო სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტი არის დამოუკიდებელი სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, რომელიც სწავლობს საჭიროებებს თუ როგორ უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში კერძო სამართლის მოდერნიზაცია და ჰარმონიზაცია, ორგანიზაცია ეფუძნება რომის შეთანხმებას და ფუნქციონირებს 1926 წლიდან. ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 63 სახელმწიფო, ხუთი სხვადასხვა კონტინენტიდან სხვადასხვა სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემებიდან. შტაბინა მდებარეობს რომში.

UNIDROIT-ის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი მმართველობითი ორგანოებით:

სამდივნო (The Secretariat) პასუხისმგებელია UNIDROIT-ის ყოველდღიური სამუშაო პროგრამის შესრულებაზე. სამდივნოს შემადგენლობაში შედის გენერალური მდივანი, საერთაშორისო საჯარო მოხელეები და სხვადასხვა დამხმარე პერსონალი;

მმართველი საბჭო ზედამხედველობს UNIDROIT-ის პოლიტიკას. იგი ამტკიცებს სამუშაო პროგრამას და ზედამხედველობს სამდივნოს დამტკიცებული პოლიტიკის გატარების საქმეში. ინსტიტუტის შემადგენლობაში შედიან ინსტიტუტის პრეზიდენტი, 25 არჩეული წევრი, გამოჩენილი მოსამართლეები, პრაქტიკოსები, მეცნიერები და საჯარო მოსამსახურეები;

გენერალური ასამბლეა (The General Assembly) წარმოადგენს UNIDROIT-ის საბოლოო გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს, ამტკიცებს ყოველწლიურად ბიუჯეტს, სამუშაო პროგრამას და ირჩევს მმართველ საბჭოს. თითოეული წევრი ქვეყნის მთავრობას ყავს ერთი წარმომადგენელი.

UNIDROIT-ის ძირითადი მიზანია შექმნას თანამედროვე, ჰარმონიზებული და უნიფიცირებული წესები საერთაშორისო სავაჭრო სამართალში. დროდარდო ის იჭრება საერთაშორისო საჯარო სამართლის სფეროში, განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც სამართალი ძალიან რთულია და ურთიერთდაკავშირებული. საერთაშორისო სავაჭრო სამართლის ფარგლებში ჰარმონიზაციის პროცესი უკავშირდება ახალ ტექნოლოგიებსა და სავაჭრო პრაქტიკას. სახელმწიფოები ითხოვენ ახალ რეგულაციებს განსაკუთრებით იმ გარიგებებთან დაკავშირებით, რომელიც ტრანსეროვნული კორორაციების საქმიანობას ეხება.

UNIDROIT-ის მიერ ხდება შეფასება თუ რა ნაწილში უნდა მოხდეს ადგილობრივი სამართლის ცვლილება, რათა მოქნილი გახდეს საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში ქვეყნების თავისუფალი მონაწილეობა.

UNIDROIT სამთავრობოთაშორისო სტრუქტურაა, იგი უნიფიცირებულ წესებს ადგენს საერთაშორისო კონვენციების მეშვეობით. რომლის გათვალისწინება ავტომატურად ხდება ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის გზით. საერთაშორისო კონვენციების მიღება საჭიროა ისეთ საკითხებზე, რომელიც გავლენას ახდენს, როგორც მხარეებზე, ასევე მესამე პირთა უფლებებზე, როდესაც საკითხი ეხება მესამე პირთა ან საზოგადოებრივ ინტერესებს საკუთრების სამართლის სფეროში.

სახელმწიფოები ხშირად ახდენენ ინსტიტუტის მიერ მიღებული წესების იმპლემენტაციას ეროვნულ კანონმდებლობაში. რათა ეროვნული კანონმდებლობის შემუშავებისას მოდელური წესების გათვალისწინება (იმპლემენტაცია, ჰარმონიზაცია) განხორციელდეს;

ზოგადი პრინციპები, რომელიც უშუალოდ მიმართულია მოსამართლეების, არბიტრებისა და ხელშეკრულების მხარეთ მიმართ. ამ უკანასკნელთ ენიჭებათ თავისუფლება გაიზიარონ ან არ გაიზიარონ აღნიშნული პრინციპები. სამართლებრივი გზამკვლევები, რომელიც ეხება ახალ ბიზნეს ტექნიკას, ახალი ტიპის გარიგებებს, ან შიდა და საერთაშორისო ბაზარზე მოქმედების ფარგლებს.

UNIDROIT-ს წლების განმავლობაში მომზადებული აქვს დაახლოებით სამოცდათი კვლევა და კანონპროექტი. მრავალი მათგანი ცნობილია, როგორც საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომელთა გამოყენება მოხდა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით და სახელით. ინსტიტუტმა დაამუშავა საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების პრინციპები(ე.წ. უნიდრუას პრინციპები), რომელიც სამართლებრივად აწესრიგებს სახელშეკრულებო სფეროში მხარეთა ურთიერთობებს. ასევე საერთაშორისო კონვენციები:

„საერთაშორისო ფინანსური ლიზინგის შესახებ“(1988)

„საერთაშორისო ფაქტორინგის შესახებ“(1988)და სხვა.

4.7. საერთაშორისო სავაჭრო პალატა(ICC), მისი ფუნქციები და პრინციპები, საქმიანობის თავისებურებანი და ძირითადი მიმართულებები

საერთაშორისო სავაჭრო პალატა- International Chamber of Commerce (ICC). საერთაშორისო სავაჭრო პალატა (სსპ) 1920 წელს შეიქმნა საერთაშორისო ბიზნესის, ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობის, საქონლისა და მომსახურების, კაპიტალის ღია ბაზრებზე თავისუფალი მიმოქცევის მიზნით.

თავდაპირველად დაფუძნების ინიციატორები იყვნენ საერთაშორისო ბიზნეს ლიდერები, როგორცაა: ბელგია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და ამერიკის შეერთებული შტატები. თანამედროვე ეტაპზე სსპ-ი მსოფლიო ბიზნეს ორგანიზაციაა, რომელშიც გაწევრიანებულია 1500-ზე მეტი კოლექტიურ(ბიზნესის ასოციაციები, მეწარმეთა გაერთინებები და სხვა) 6000-ზე მეტ ინდივიდუალურ წევრს აერთიანებს 150 ქვეყნიდან. საერთაშორისო სავაჭრო პალატის მთავარი ოფისი მდებარეობს პარიზში(საფრანგეთი), ეროვნული სავაჭრო-სამრეწველო პალატები განთავსებულია მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში, მათ შორის 1990 წლიდან მოქმედებს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა რეკომენდაციას აძლევს მთავრობებს საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებით. ის ასევე შეიმუშავებს პრაქტიკული ქცევის წესებს, რათა ხელი შეუწყოს ბიზნესის კეთებას სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის (ინტერვენციის) გზით.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა თანამშრომლობს გაეროსთან, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან, მსოფლიო ბანკის ჯგუფთან და სხვა საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან, წარმოადგენს მათ კოლექტიურ ორგანოს და

პრაქტიკულ რჩევებს აძლევს სავაჭრო და საფინანსო-ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა თავის საქმიანობას წარმართავს საექსპერტო კომისიების, კომიტეტების და სამუშაო ჯგუფების მეშვეობით. მათი საქმიანობის სფეროებია: საერთაშორისო კომერციული ტერმინების განსაზღვრა, საგადასახადო და საანგარიშსწორებო საშუალებების სტანდარტიზაცია, ინკასოთი და აკრედიტივით ანგარიშსწორების უნიფიცირებული წესების შემუშავება, კომერციული დოკუმენტების უნიფიცირება აკრედიტივებზე, სახელშეკრულებო გარანტიებზე, საარბიტრაჟო სამართალზე, კონკურენციაზე, უცხოურ ინვესტიციებზე, საერთაშორისო გადაზიდვებზე და სხვა.

საერთაშორისო სავაჭრო პალატა ყოველწლიურად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ატარებს საერთაშორისო კონფერენციებს და სემინარებს, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოებამდე დაჰყავს ექსპერტთა შეფასებები და სიახლეები. ორ წელიწადში ერთხელ ატარებს გლობალური მასშტაბის მსოფლიო კონგრესს, სადაც განიხილავს

4. 8. კომერციული გარიგებების სამართლებრივი საფუძვლები: ხელშეკრულების გაფორმების მეთოდები, პრინციპები, პირობები და ფუნქციები.

ხელშეკრულება --კომერციული გარიგების იურიდიული და კომერციული საფუძველია. სახელმწიფოთა ეკონომიკური კავშირურთიერთობების (განსაკუთრებით, საქონელგაცვლის) განვითარებამ საერთაშორისო კომერციული გარიგების როლი და რაოდენობა შესამჩნევად გაზარდა.

საერთაშორისო კომერციული გარიგება არის ეკონომიკური შეთანხმება, რომელიც რაიმე გარემოებაზე ორი (ან მეტი) ქვეყნის საჯარო და/ან კერძო სამართლის სუბიექტებს შორის ურთიერთობას ასახავს.

მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება საერთაშორისო კომერციული გარიგების იურიდიული საფუძველია.

საერთაშორისო გარიგებად მიჩნევისათვის აუცილებელია სხვადასხვა სახელმწიფოს საწარმოთა ადგილმდებარეობა. ხელშეკრულება არ მიიჩნევა საერთაშორისოდ, თუ ის დადებულია ერთ ქვეყანაში მდებარე სხვადასხვა სახელმწიფოს საწარმოთა მიერ. მეორე მხრივ, ხელშეკრულება საერთაშორისოა, თუ ის გაფორმებულია სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ერთი სახელმწიფოს საწარმოების მიერ.

საერთაშორისო ხელშეკრულების ამგვარ მიდგომას შეიცავს გაეროს (ვენის) 1980 წლის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვაგაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ (იგივე ვენის კონვენცია). საქართველო ვენის კონვენციას შეუერთდა 1994 წელს.

კომერციული ხელშეკრულების სამართლებრივი წყაროები, პრინციპები და მეთოდები

ხელშეკრულების სამართლებრივი წყაროები. საერთაშორისო კომერციული გარიგებების სხვასხვა წყარო არსებობს:

პირველი -- საერთაშორისო კონვენციებით რეგულირებადი. უპირველესად, ესაა:

გაეროს (ვენის) 1980 წლის კონვენცია „საქონლის საერთაშორისი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“;

ჰააგის 1986 წლის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის დროს გამოყენებული სამართლის შესახებ“ და სხვა.

მეორე – არაკონვენციური, ხელშეკრულების გარეშე რეგულირებადი. ასეთია, საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სამართლებრივი დოკუმენტები. მათ მიეკუთვნება ხელშეკრულების დადებისა და შესრულების ტიპური კანონები, რეკომენდაციები და პრაქტიკული სახელმძღვანელოები. კერძოდ:

- „საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპები“, იგივე „უნიდრუას პრინციპები-2010“;
- „ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“ (1989 წ.);
- იუნსიტრალი-ს სამართლებრივი სახელმძღვანელო „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“;
- საერთაშორისო სავაჭრო პალატის „საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების განმარტებები“ („ინკოტერმსი-2010“).

ხელშეკრულების დადების პრინციპებია:

1. ხელშეკრულების თავისუფლება;
2. დამოუკიდებლობა სამართლის არჩევაში;
3. კეთილსინდისიერება, გონიერება და სამართლიანობა; 4. საქმიანი პრაქტიკისა და სავაჭრო ჩვეულებათა დაცვა.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი საქმიანი ადამიანების იმ უფლებებში ვლინდება, რომ მათ შეუძლიათ ჩაერთონ ნებისმიერ გარიგებაში და განსაზღვრონ მისი შინაარსი. მოცემული პრინციპი საერთაშორისო ეკონომიკურ სამართალში და ყველა ეროვნულ კანონმდებლობაში ფუძემდებლური პრინციპია. სახელდობრ, „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“. ეს პრინციპი ვლინდება იმაშიც, რომ მხარეებს შეუძლიათ ხელშეკ-

რულების დადებამდე ჩაატარონ მოლაპარაკება, ასევე მათ უფლება აქვთ ერთობლივი შეთანხმებით შეცვალონ ან შეწყვიტონ შეთანხმება. საერთაშორისო სავაჭრო ბრუნვაში სახელშეკრულებო თავისუფლება მიჩნეულია ბაზარზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის საფუძვლად.

დამოუკიდებლობა სამართლის არჩევაში გულისხმობს მხარეთა მიერ გამოსაყენებელი სამართლის თავისუფალი არჩევის უფლებას. ამის თაობაზე შეთანხმებით შეუძლიათ ხელშეკრულებაში კონკრეტული ქვეყნის (მათ შორის, ნეიტრალური) სამართალი მიუთითონ. თუ ხელშეკრულებაში მხარეების მიერ

არჩეული სამართალი ნათლად არ არის გამოკვეთილი ან გამოყენებულია დუმილის უფლება, მაშინ გამოსაყენებლად ის სამართალი მიიჩნევა, რომელსაც ყველაზე მჭიდრო კავშირი (მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან საქმიანობის ძირითადი ადგილი) აქვს ხელშეკრულებასთან ან მის შესრულებასთან. კეთილსინდისიერება, გონიერება და სამართლიანობა განმტკიც-

ცებულია საერთაშორისო და ეროვნულ კანონმდებლობებში. კერძოდ, საერთაშორისო სამართლის პრინციპებში, სახელმწიფოთა ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების გაეროს 1974 წლის ქარტიაში.

„ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“. ეს პრინციპი ასევე მოცემულია ვენის კონვენციაში და უნიდრუას პრინციპებში. საქმიანი პრაქტიკისა და სავაჭრო ჩვეულებათა დაცვა მოცემულია, როგორც ეროვნულ კანონმდებლობებში, ისე საერთაშორისო კომერციულ სამართალში. კერძოდ, ვენის კონვენცია მიუთითებს, რომ „მხარეები ვალდებული არიან გაითვალისწინონ ნებისმიერი ჩვეულება, რომლის შესახებაც არსებობს მათ შორის შეთანხმება და პრაქტიკა, რომელიც დანერგეს ერთმანეთთან ურთიერთობაში“. „როდესაც არ არსებობს რაიმე სხვა შეთანხმება, მიჩნეულია, რომ მხარეები გულისხმობდნენ მათი ხელშეკრულების ან მისი დადების მიმართ იმ ჩვეულების გამოყენებას, რომელიც იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ, საერთაშორისო ვაჭრობაში ფართოდ ცნობილია და მუდამ იცავენ მხარეები ვაჭრობის შესაბამის დარგში დადებული ამგვარი სახის ხელშეკრულებაში.“ სსკ-ით განსაზღვრულია, რომ „ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები“.

კომერციული ხელშეკრულების გაფორმების მეთოდები. საერთაშორისო კომერციული გარიგება მიიღწევა:

- მოლაპარაკების გზით;
- ოფერტისა და აქცეპტის საფუძველზე;
- ტიპური კონტრაქტების მეშვეობით;
- სტანდარტული პირობების გათვალისწინებით;
- საჯარო ვაჭრობის შედეგად.

მოლაპარაკება. ხელშეკრულების დადებას წინ უძღვის მოლაპარაკების ეტაპი. „მხარე თავისუფალია ჩაატაროს მოლაპარაკება, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა არ ეკისრება“ . თუმცა, მოლაპარაკებაში ჩართვა მხარეს რიგ ვალდებულებას აკისრებს. უპირველესად, ესაა ზოგადი მოთხოვნები, რომლებიც კეთილსინდისიერებას ემყარება. „მხარე, რომელიც არაკეთილსინდისიერად წარმართავს ან წყვეტს მოლაპარაკებას, პასუხისმგებელია იმ ზიანზე, რომელიც მეორე მხარეს მიაყენა“. „არაკეთილსინდისიერად ითვლება მხარის მიერ მოლაპარაკებაში ჩართვა ან მისი გაგრძელება, თუ მას მეორე მხარესთან შეთანხმების მიღწევის განზრახვა არ გააჩნია“.

„ თუ მოლაპარაკების პროცესში ერთი მხარე კონფიდენციალურ ინფორმაციას გადასცემს, მეორე მხარე ვალდებულია არ გაამჟღავნოს ეს ინფორმაცია ან სათანადოდ არ გამოიყენოს იგი საკუთარი მიზნე ბისთვის, მიუხედავად იმისა, გაფორმდება თუ

არა ხელშეკრულება. ვალდებულების დარღვევა დაზარალებულ მხარეს უფლებას აძლევს მოითხოვოს კომპენსაცია, რომელიც მეორე მხარის მიერ ინფორმაციის გამოყენებით მიღებულ სარგებელს ეფუძნება“. უნდა აღინიშნოს, რომ ამით სსკ ჰარმონიაში მოვიდა საერთაშორ-

რისო კომერციულ ხელშეკრულებათა პრინციპების მოთხოვნებთან, რომელიც ხელშეკრულების დადებამდე ბრალეული მხარის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

ოფერტი და აქცეპტი. ყოველი ხელშეკრულება გულისხმობს მხრეთა ნების შეთანხმებას. ასეთი შეთანხმება კი შეიძლება მიღწეული იქნეს ერთი პირის მიერ მეორისათვის ხელშეკრულების დადების თაობაზე წინადადების მიცემითა და მეორე მხარის მიერ ამ წინადადების მიღებით. ამასთან, ნება შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა საშუალებით – სიტყვიერად, წერილობით, გარკვეული მოქმედებით (მაგ., საქონლის წინასწარი გაგზავნით, თანხის გადარიცხვით და სხვა).

ოფერტი არის ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება. **ოფერენტი** არის წინადადების მიმცემი მხარე.

აქცეპტი არის წინადადების მიღებაზე თანხმობა. აქცეპტანტი არის წინადადების მიმღები მხარე.

ოფერტისა და აქცეპტის სამართლებრივ ასპექტებს ითვალისწინებს ვენის კონვენცია, უნიდრუას პრინციპები და ეროვნული კანონმდებლობები. კერძოდ, ვენის კონვენციით „ერთი ან რამდენიმე კონკრეტული პირისადმი შეთავაზებული წინადადება ხელშეკრულების დადების თაობაზე წარმოადგენს ოფერტის, თუ იგი საკმაოდ გარკვეული ხასიათისაა და გამოხატავს ოფერენტის განზრახვას ვალდებულად გრძნობდეს თავს აქცეპტის შემთხვევაში. წინადადება საკმაოდ კონკრეტულად ითვლება, თუ მასში აღნიშნულია საქონელი და პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენილია რაოდენობა და ფასი ან გათვალისწინებულია მათი განსაზღვრის წესი. პირთა გარკვეული წრისადმი შეთავაზებული წინადადება განიხილება მხოლოდ როგორც მიწვევა ოფერტის გასაკეთებლად, თუ პირდაპირ სხვა რამ არ არის მითითებული იმ პირის მიერ, ვისგანაც მოდის ასეთი წინადადება“. ვენის კონვენცია და უნიდრუას პრინციპები ადგენს ოფერტისა და აქცეპტის ძალაში შესვლის ვადებსა და მათი გამოხმობის წესს. ამასთან, კონვენციით განსაზღვრულია, რომ ოფერტის მიღების შემდეგ „დუმილი ან უმოქმედობა თავისთავად არ არის აქცეპტი“.

თუმცა, სსკ-ით, მოცემული საკითხი უფრო ზუსტდება და მიჩნეულია, რომ „თუ მეწარმე, რომელსაც უხდება სხვა პირთა საქმიანი ოპერაციების შესრულება, მიიღებს ოფერტს ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, მაშინ იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას; მისი დუმილი ჩაითვლება აქცეპტად. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა მეწარმე იღებს ასეთ ოფერტს იმ პირისაგან, რომლისგანაც იგი ითხოვდა შეკვეთებს ამგვარი საქმეების შესასრულებლად.

იმ შემთხვევაში, თუ მეწარმე ოფერტს უარყოფს, ხოლო საქონელი უკვე გამოგზავნილია, იგი ვალდებულია ზიანის თავიდან ასაცილებლად ოფერენტის ხარჯზე დროებით შეინახოს საქონელი ისე, რომ ამით მას ზიანი არ მიადგეს“.17

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულება იდება ტიპური

კონტრაქტების საფუძველზეც. ასეთ კონტრაქტებს ამუშავებს პროფესიული ასოციაციები, ასევე სამთავრობათაშორისო და არასამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციები.

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია სტანდარტული პირობებით. "ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისთვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისგან განსხვავებული ან მათი შემ ვსები წესების დადგენა". სტანდარტული პირობების ცნებას თითქმის ანალოგიურად განმარტავს უნიდრუას პრინციპებიც. მოცემული საკითხი საერთაშორისო და ეროვნულ კანონმდებლო-

ბებში კიდევ უფრო ზუსტდება და განისაზღვრება სტანდარტული პირობების ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად ჩართვის მოთხოვნები და ამ პირობების ბათილობა.

კომერციული ხელშეკრულებები შეიძლება დაიდოს საჯარო ვაჭრობის შემთხვევაშიც, რომელიც აუქციონის ან ტენდერის (კონკურსის) წესით ტარდება. აუქციონზე იმარჯვებს ის პირი, რომელიც გასაყიდ საქონელში უფრო მაღალ ფასს გადაიხდის, ხოლო ტენდერში – რომელიც საკონკურსო კომისიას უფრო უკეთეს პირობებს შესთავაზებს. აუქციონები და ტენდერები შეიძლება იყოს დახურული ან ღია. დახურულ ვაჭრობაში მხოლოდ მოწვეული პირები მონაწილეობს, ღიაში კი ასეთი შეზღუდვა დაწესებული არ არის.

ვენის კონვენცია და უნიდრუას პრინციპები აუქციონის ჩატარების სამართლებრივ საკითხებს არ ითვალისწინებს. კომერციულ პრაქტიკაში იგი ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება.

ხელშეკრულების ფორმები. კომერციულ პრაქტიკაში ხელშეკრულების ფორმის არჩევა თავისუფალია. „აუცილებელი არ არის, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადებული ან დამტკიცებული იყოს წერილობითი ფორმით ან ექვემდებარებოდეს სხვა მოთხოვნას ფორმასთან დაკავშირებით. იგი შეიძლება დამტკიცდეს ნებისმიერი საშუალებებით მოწმეთა ჩვენებების ჩათვლით“. ამავე დროს, ვენის კონვენციის ეს დებულება, ასევე სხვა დებულებე-

ბი, რომლებიც გამოხატავს მხარეთა თავისუფალ ნებას ფორმის არჩევაში, არ მიიღება მხედველობაში, თუ ერთ-ერთ მხარეს აქვს კომერციული საწარმო იმ სახელმწიფოში, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ კონვენციის 96-ე მუხლის საფუძველზე.

კონვენციის 96-ე მუხლში კი მითითებულია, რომ „ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომლის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებანი იდებოდეს ან მტკიცდებოდეს წერილობითი ფორმით, ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს განზრახვა განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით.“ „წერილობით ფორმაში აგრეთვე იგულისხმება შეტყობინება ტელეგრაფითა და ტელეტაიპით. სსკ, ზოგადად, ხელშეკრულების ფორმას გამოკვეთილად არ განსაზღვრავს და მიუთითებს, რომ „თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან

მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ. თუ მხარეები შეთანხმდნენ წერილობით ფორმაზე, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენით; ფორმის უზრუნველსაყოფად ასევე საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება, ტელეასლი ან წერილების ურთიერთგაცვლა“. თუმცა, იგივე კოდექსი ლიზინგური ურთიერთობისას წერილობით ფორმას ცალსახად მიუთითებს.

ხელშეკრულების შეცვლა, გაწყვეტა და მოშლა. გვერის კონვენციით და უნიდრუას პრინციპებით, მხარეთა უბრალო შეთანხმებით, დასაშვებია სათანადოდ გაფორმებული და დამტკიცებული კომერციული ხელშეკრულების შეცვლა ან მისი მოქმედების შეწყვეტა. თუმცა, ეს დებულება არ მოქმედებს რიგ შემთხვევაში. კერძოდ, როცა „წერილობითი შეთანხმება, რომელიც შეიცავს დებულებას, რომ მისი ნებისმიერი შეცვლა ან შეწყვეტა მხარეებმა განახორციელონ წერილობითი ფორმით, არ შეიძლება სხვაგვარად შეიცვალოს ან შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით“. კომერციულ პრაქტიკაში, ხშირია შემთხვევა, როცა ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე თავის ვალდებულებას არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს, რაც მეორე მხარეს იძულებით უქმნის პირობებს გაწყვიტოს ან მოშალოს გარიგება და მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.

თუმცა, ასეთ შემთხვევაში, დაზარალებული მხარე ყოველთვის არ მოქმედებს მართლზომიერად და ცალმხრივად წყვეტს შეთანხმებას.

ხელშეკრულების ცალმხრივი გაუქმება (ანულირება) ან გაწყვეტა უნდა განხორციელდეს შესაბამისი პირობების შემთხვევაში, ხოლო მისი არარსებობის დროს – კანონის მიხედვით. სხვაგვარად, ხელშეკრულების ცალმხრივი გაწყვეტა შესაძლოა სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნიოს, რასაც, პასუხად, უარყოფითი შედეგები მოჰყვება. სსკ ვალდებულების შეწყვეტას სამართლებრივად აწესრიგებს და მას სამართლებრივად მიიჩნევს შესრულებით, დეპონირებით (ფულისა და ფასიანი ქაღალდების გადაცემა შესანახად საკრედიტო და სხვა დაწესებულებებში) ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვით, ვალის პატივით, იურიდიული პირის ლიკვიდაციის გამო და სხვა.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ხელშეკრულების გაუქმებასა და ვალდებულების შეწყვეტას შორის არსებითი განსხვავებაა. თუმცა, ხელშეკრულების მართლზომიერი გაუქმება, ამავე დროს, ვალდებულების შეწყვეტასაც გულისხმობს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეები ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობას არ კისრულობენ, ხოლო ხელშეკრულების გაუქმებისას, თუ იგი მართლზომიერად არ განხორციელდა, დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს მეორე მხარეს მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს.

ხელშეკრულების გაუქმების საკითხი სხვადასხვა ქვეყანაში სამართლებრივად განსხვავებულია. კერძოდ, ფრანგული სამოქალაქო სამართლის კოდექსით დადგენილია, რომ თუ გამყიდველი შეთანხმებულ ვადაში არ მიაწოდებს საქონელს, მყიდველს ხელშეკრულების გაუქმება და მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია. ასევე, თუ მყიდველი არ იხდის სათანადო თანხას, გამყიდველს

ხელშეკრულების გაუქმებისა და მყიდველისათვის სათანადო ჯარიმის დაკისრების უფლება აქვს.

დიდი ბრიტანეთის საერთო სამართლით, ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმება დასაშვებია, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს თავის ვალდებულებას. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულება დარღვეულად ითვლება და დაზარალებულ მხარეს მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს. მაგრამ, ამისათვის აუცილებელია ერთი მნიშვნელოვანი პირობის შესრულება: დაზარალებული მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევის აქცეპტირება ანუ დადასტურება.

მაგალითი. რეკლამის გამოქვეყნების შესახებ ა ფირმამ ბ ფირმასთან სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. მოგვიანებით, ა ფირმამ ბ ფირმას შეთანხმების გაუქმება წერილობით აცნობა. ბ ფირმამ არ მიიღო შეთანხმების დარღვევა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეკლამა გააგრძელა, ხოლო ა ფირმას სარჩელი წარუდგინა. დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატამ დააკმაყოფილა სარჩელი, რადგან ბ ფირმამ შეთანხმების დარღვევა არ დაადასტურა.

ხელშეკრულების გაუქმება ამერიკულ სამართალში საერთო სამართლისა და სტატუტური სამართლის ნორმებით რეგულირდება. ამერიკული საერთო სამართალი ბრიტანული საერთო სამართლის მსგავსია. თუმცა, მას თავისი სპეციფიკაც აქვს. კერძოდ, აქცეპტირების (დადასტურების) პირობა არ არსებობს, რომელიც აუცილებელია საერთო სამართალში ხელშეკრულების გაუქმებისათვის.

ხელშეკრულების დარღვევისა და გაუქმების საკითხები აშშ-ში რეგულირდება სახელშეკრულებო სამართლის კრებულით, რომელიც ამერიკულ სამართლებრივ დოქტრინას ასახავს და სასამართლო პრეცედენტს ეფუძნება.

ხელშეკრულების გაუქმების საკითხი რეგულირდება როგორც ეროვნული კანონმდებლობებით, ისე საერთაშორისო შეთანხმებებით. მაგ., ვენის კონვენციით მყიდველს (გამყიდველს) შეუძლია გამოაცხადოს ხელშეკრულების გაუქმება, თუ შეთანხმებით ან კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა გამყიდველის (მყიდველის) მიერ მნიშვნელოვნად არღვევს ხელშეკრულებას.

უნიდრუას პრინციპები არ შეიცავს ტერმინს „ხელშეკრულების გაუქმება“. იგი მხოლოდ შეწყვეტის უფლებას აფიქსირებს და მიუთითებს, რომ მხარემ შეიძლება შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მეორე მხარე ხელშეკრულების არსებით ვალდებულებებს არ ასრულებს.

ხელშეკრულების ძირითადი ნიშნები და იურიდიული პირობა. ხელშეკრულების საგნიდან გამომდინარე, იგი იღებს ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, საიჯარო ხელშეკრულების ან სხვა სახელწოდებას. მიუხედავად ამისა, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სფეროში საფუძვლად მიღებულია საქონლის ყიდვა-გაყიდვის საერთაშორისო ხელშეკრულება. K კომერციული ხელშეკრულების ძირითადი ნიშნებია:

- გარიგებაში ერთ-ერთი კონტრაქტის (მხარე) უცხო სახელმწიფოს ფიზიკური ან იურიდიული პირია;

- ხელშეკრულების შესრულების დროს, საქონელი ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიას გადაკვეთს;

- ხელშეკრულებას ხელს აწერს ყოველი მხარის უფლებამოსილი პირი და მისი ხელმოწერა დასტურდება ბეჭდით.

კომერციული ხელშეკრულების აუცილებელი იურიდიული პირობაა გამყიდველიდან მყიდველზე საქონლის საკუთრების გადაცემა. ამით იგი პრინციპულად განასხვავდება საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სფეროში არსებული სხვა (მაგ., იჯარის) კონტრაქტებისაგან.

ხელშეკრულების ფუნქციები და პირობები. კომერციული ხელშეკრულება სამ ძირითად ფუნქციას ასრულებს:

- ☒ იურიდიულად ადასტურებს მხარეებს შორის ურთიერთობას და გარიგებას ვალდებულების ხასიათს აძლევს, რომლის შესრულებაც სამართლებრივად დაცულია;

- ☒ განსაზღვრავს პარტნიორთა მიერ გარიგების შესრულების წესს, თანამიმდევრობასა და მეთოდებს;

- ☒ ითვალისწინებს მხარეების ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

ხელშეკრულების პირობები სამ ჯგუფად იყოფა:

კომერციული პირობები განსაზღვრავს საქონლის რაოდენობას,

ხარისხს, ფასს, მიწოდებისა და ღირებულების გადახდის პირობებს, შეფუთვას, მარკირებას, მიღება-ჩაბარების წესსა და ა.შ.; სატრანსპორტო პირობები მიუთითებს მხარეთა ვალდებულე-

ბებს გამყიდველიდან მყიდველამდე საქონლის მიწოდების შესახებ; იურიდიული პირობები მიაჩვენებს საჯარიმო სანქციებს (პირგასამტეხლო) მხარეთა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. კონტრაქტის პირობები შეიძლება იყოს არსებითი ან არაარსებითი. არსებითია ისეთი მუხლები, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს გარიგების გაუქმება და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია. არაარსებითი ხასიათის პირობების დარღვევისას, მეორე მხარეს ხელშეკრულების გაუქმების უფლება არა აქვს. მას მხოლოდ ვალდებულებათა უცილობელი შესრულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია. არსებითი და არაარსებითი პირობები კონკრეტული გარიგებიდან გამომდინარეობს. ჩვეულებრივ, არსებით პირობებს აკუთვნებენ კონტრაქტის საგანს, საქონლის ხარისხს, ფასსა და ვალდებულებათა შესრულების ვადას.

4.9. საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების(ექსპორტ-იმპორტის კონტრაქტის) სტრუქტურა და შინაარსი

საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ანუ ექსპორტ-იმპორტის კონტრაქტი წარმოდგენს კომერციულ და იურიდიულ დოკუმენტს. სავაჭრო პარტნიორების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება იურიდიული დოკუმენტია, რადგანაც ექსპორტიორს(გამყიდველს) ავალდებულებს, რომ საქონელი და მასთან დაკავშირებული საქონელგანკარგულებითი დოკუმენტები გადასცეს იმპორტიორს(მყიდველს), რომელიც პასუხისმგებელია კონტრაქტის პირობების შესაბამისად მიიღოს საქონელი და გადაიხადოს შესატყვისი საქონლის ღირებულება (ერთეული საქონლის ფასის მიხედვით). ამასთან, ამ პირობების შესრულებით ექსპორტიორიდან საქონელზე საკუთრების უფლება გადადის იმპორტიორზე, ამით განსხვავდება საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება საიჯარო, სალიზინგო, საკრედიტო, სადაზღვევო და სხვა სახის ხელშეკრულებებისაგან.

საერთაშორისო კომერციულ პრაქტიკაში ყველაზე მარტივი კონტრაქტიც კი უნდა მოიცავდეს ძირითად კომერციულ პირობებს: საქონლის დასახელება და რაოდენობა, საქონლის ფასი, ხარისხი, მიწოდების საბაზისო პირობები, საქონლის მიღება-ჩაბარების წესები, გადახდის პირობები, გარანტიები და სანქციები, ფორს-მაჟორული გარემოებები, მხარეთა იურიდიული მისამართები და ხელმოწერები.

ექსპორტ-იმპორტის კონტრაქტის უნიფიკაცია, სტანდარტიზაცია პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგანაც მხარეები მოლაპარაკების პროცესში და კონტრაქტის გაფორმების ეტაპზე თანხმდებიან თანასწორუფლებიანობისა და კონსენსუსის დაცვით კონტრაქტის სტრუქტურაზე და თითოეული მუხლის შინაარსზე და კომერციულ პირობებზე.

ზემოთაღნიშნული დებულებების შესაბამისად საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ანუ ექსპორტ-იმპორტის კონტრაქტის სტრუქტურა შედგება შემდეგი მუხლებისაგან:

- პრემბულა;
- კონტრაქტის საგანი(საქონლის დასახელება);
- საქონლის რაოდენობა;
- საქონლის ხარისხი;
- საქონლის ფასი და საერთო ღირებულება;
- მიწოდების საბაზისო პირობები;
- ანგარიშსწორების(გადახდის) პირობები და ფორმები;
- საქონლის შეფუთვა და მარკირება;
- საქონლის დაზღვევა
- საქონლის მიღება და ჩაბარება;
- გარანტიები და რეკლამაცია;
- საჯარიმო სანქციები და პირგასამტეხლო(ზარალის ანაზღაურება);
- ფორს-მაჟორული გარემოებები;

- კონტრაქტის სხვა პირობები;
- მხარეთა იურიდიული მისამართები.

კონტრაქტის შესავალ ნაწილში -პრეამბულაში მოცემულია კონტრაქტის ნომერი, გაფორმების ადგილი, თარიღი და მხარეთა პერსონალური დასახელება(კონტრაქტის ხელმომწერი პირების) და ფირმის სახელწოდება (ეროვნული ქვეყნის სავაჭრო რეესტრის მიხედვით), სამართლებრივი ფორმა, ადგილმდებარეობა(ქვეყანა, ქალაქი). ამასთან ერთად, როგორც წესი მიეთითება პირველად ექსპორტიორი(გამყიდველი), ხოლო შემდეგ იმპორტიორი(მყიდველი-შემკვეთი). პრეამბულაში დამატებით მიეთითება ის საერთაშორისო კონვენციები, რომელთა მოთხოვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე იდება მოცემული კონტრაქტი(ხელშეკრულება).

კონტრაქტის საგანი- მითითებულია საქონლის დასახელება, მისი ხარისხი, ასორტიმენტი, მახასიათებელი ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, საქონლის დასახელება უნდა შეესაბამებოდეს იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო კლასიფიკაციას. თუ საქონლის ასორტიმენტი მრავალფეროვანია, მაშინ საქონლის მოდელი, არტიკული, სავაჭრო მარკა, ხარისხი და სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები, კონტრაქტის აუცილებელ დანართში სპეციფიკაციაში აისახება. მანქანა-მოწყობილობების მიწოდების შემთხვევაში საქონლის დახასიათებაში შედის მისი მწარმოებლურობა, სიმძლავრე და ენერჯის ხარჯი და სხვა პარამეტრები.

საქონლის რაოდენობა- შეიძლება გაიზომოს წონის, მოცულობის, სიგრძის, ფართობის ერთეულებით ან ცალობით. ზომა-წონის ერთეულის არჩევა დამოკიდებულია საქონლის სახეობაზე და საერთაშორისო ვაჭრობაში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე. მაგ., ქვანახშირი, მეტალები, ხორბალი და სხვა იზომება წონის ერთეულებში(ტონა, კილოგრამი), ნავთობი ნავთობპროდუქტები-(ტონებში, ბარელში, გალონში, ბუშელში),ხე-ტყის მასალები-კუბურ მეტრებში, მანქანა-მოწყობილობები -ცალებში, ავეჯი -კომპლექტებში, ფეხსაცმელი - წყვილებში და ა.შ.

კონტრაქტში აუცილებელია ზომა-წონის სისტემის მითითება, რადგანაც საერთაშორისო მეტრულ სისტემასთან(ევროპის, დსთ-ს, ცენტრალური და ლათინური ამერიკის ქვეყნებში) ერთად ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს ანგლო-ამერიკული და ეროვნული მეტრული სისტემები(აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, მალაიზია). მაგ., ანგლო-ამერიკული მეტრული სისტემით იარღი უდრის 91,44 სმ-ს, პატარა ტონა-907კგ, დიდი ტონა 1016 კგ, ბარელი სითხისთვის-159 ლიტრს, ფხვიერი მასისთვის-115,6 ლიტრს და ა.შ.

საქონლის რაოდენობის მუხლში მიეთითება აგრეთვე შეფუთვისა და ტარის წონა, აღნიშნულის გამო განასხვავებენ ბრუტო(მთლიანი) და ნეტო(შეფუთვისა და ტარის გარეშე) წონას.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით ვაჭრობის შემთხვევაში, პატენტის, ლიცენზირების, ნოუ-ჰაუს ნაწილში, კონტრაქტში ჩართულია მუხლები კონფიდენციალურობის, სახელშეკრულებო ტერიტორიის შესახებ და სხვ. კონტრაქტის სპეციალური საკითხები.

საქონლის ხარისხი - აუცილებლად არსებობს ყველა კონტრაქტში. ზოგიერთ ქვეყნის სავაჭრო ჩვეულებების თანახმად. ამ მუხლში მხარეები ადგენენ საქონლის ხარისხობრივ მახასიათებლებს, ანუ თვისებების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ მის ვარგისიანობას დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის.

საერთაშორისო კომერციულ პრაქტიკაში საქონლის ხარისხი სხვადასხვა მეთოდებით დგინდება:

- სტანდარტები;
- ტექნიკური პირობები;
- სპეციფიკაციები;
- ნიმუშები;
- აღწერის მეთოდი;
- წინასწარი დათვალიერების;
- ნივთიერებების შემცველობის;
- მზა პროდუქციის გამოსავლიანობის;
- ტელ-კელის და სხვა.

სტანდარტების მიხედვით- საქონლის მიწოდებისას მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ და დააფიქსირონ, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სტანდარტი(ინგლ. STANDARD-ნორმა, ნიმუში), რომელიც არის დარგის ან ფირმის ოფიციალური სახელმწიფო და ნორმატიული დოკუმენტი, რომლითაც საქონლის თვისებრივი მახასიათებლები და მოთხოვნები დგინდება. სტანდარტს ადგენენ სამთავრობო ორგანიზაციები, სავაჭრო-სამრეწველო პალატები, დიდი სამრეწველო კორპორაციები, მეწარმეთა გაერთიანებები და სხვა.

თანამედროვე ეტაპზე ზოგადმიღებულად ითვლება საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც შემუშავებული და რეკომენდებულია საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაციის (ISO) ან ცალკეულ პროდუქციაზე მისი რწმუნებული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

ტექნიკური პირობების მიხედვით(აღწერით) ხარისხის დადგენა ძირითადად ხდება მანქანა-მოწყობილობების, ინოვაციური ტექნოლოგიების და იმ საქონლის ყიდვა-გაყიდვის დროს, რომლებზეც სტანდარტები არ არსებობს ან რომელთა ხარისხის მიმართ არსებობს განსაკუთრებული მოთხოვნები და აღნიშნული საქონლის წარმოება-ექსპლოატაცია სპეციალური ნორმების დაცვას მოითხოვს. ტექნიკური პირობების მიხედვით ხარისხის დადგენა ხდება, როგორც მყიდველის, ასევე მწარმოებლის (შემსრულებლების) მიერ და საბოლოოდ ორივე მხარის შეთანხმებით დგინდება.

სპეციფიკაციის მიხედვით. სპეციფიკაცია კონტრაქტის აუცილებელი ნაწილია(დანართის სახით), რომელშიც მოცემულია საქონლის ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება, მას ადგენს ექსპორტიორი ან იმპორტიორი, ხარისხის განსაზღვრის აღნიშნული მეთოდი უმთავრესად სამომხმარებლო და სასურსათო საქონლის ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტებში გამოიყენება.

ნიმუშის მიხედვით საქონლის ხარისხის დადგენა გულისხმობს გამყიდველის მიერ მყიდველისთვის საქონლის ნიმუშების მიწოდებას და მათ დამტკიცებას მყიდველის მიერ, რის შემდეგ ისინი ეტალონად მიიჩნევა. ამ დროს კონტრაქტში უნდა შევიდეს მითითება აღებული ნიმუშების რაოდენობისა და მიწოდებული საქონლის მათთან შედარების წესის შესახებ. როგორც წესი კონტრაქტში მითითებულია სამი ორგანიზაცია, სადაც ინახება

ნიმუშები: მყიდველი, გამყიდველი და რომელიმე ნეიტრალური ორგანიზაცია (მაგალითად, სავაჭრო პალატა). საქონლის ხარისხის შემოწმების ასეთი მეთოდი ხშირად გამოიყენება სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობაში და გამოფენებზე ან და საერთაშორისო ბაზრობებზე კონტრაქტის დადებისას.

აღწერის მიხედვით ხარისხის დადგენის მეთოდი გამოიყენება ინდივიდუალური თვისებების (ანტიკვარიატის, ხელოვნების ნიმუშების) მქონე საქონლის ხარისხობრივ შეფასებაში, აღნიშნული მეთოდი გამოიყენება საერთაშორისო აუქციონებზე.

წინასწარი დათვალიერების მიხედვით. აღნიშნული მეთოდი იმპორტიორს (მყიდველს) საქონლის მთელი პარტიის დათვალიერების უფლებას აძლევს. გამყიდველმა კი საქონლის ისეთი ხარისხი უნდა უზრუნველყოს, რომელიც მყიდველმა დათვალიერა და თანხმობა დაადასტურა. ამ მეთოდით საქონელი იყიდება საერთაშორისო აუქციონებზე ან მწარმოებლის საწყობიდან.

ნივთიერების შემცველობის მიხედვით. აღნიშნული მეთოდით იყიდება მადანი, მეტალები, ქიმიური ნივთიერებები. კონტრაქტში მიეთითება სასარგებლო ნივთიერებათა მაქსიმალური ოდენობა და მანვე ნივთიერებათა მინიმალურად დასაშვები ნორმა, მაგ., მეტალის შემცველობა მადანში, გოგირდის და ტყვიის შემცველობა ნავთობში და სხვა.

მზა პროდუქციის გამოსავლიანობის მიხედვით. საქონლის ხარისხი განისაზღვრება ნედლეულიდან მზა პროდუქციის გამოსავლიანობის მიხედვით პროცენტული ან აბსოლუტური გამოსახულებით, მაგ., შაქარი-რაფინადის გამოსავლიანობა შაქრის ჭარხლის ნედლეულიდან, მცენარეული ზეთის გამოსავლიანობა ზეთოვნების თესლებიდან და ა.შ.

ტელ-კელის მიხედვით. აღნიშნული მეთოდით იმპორტიორმა (მყიდველმა) საქონელი უნდა მიიღოს ისეთი როგორც არის, თუ იგი შეესაბამება დასახელებას. უმეტესად ასეთი მეთოდი უმეტესად გამოიყენება მოსავლის აღების წინ.

საქონლის ხარისხის ძირითადი დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი არის ხარისხის სერტიფიკატი(ISO), რომელიც გადაცემულია ექსპორტიორის(ფირმა-მწარმოებლის) ან საქონლის ხარისხის შემმოწმებელი ნეიტრალური ორგანიზაციის მიერ.

საქონლის ფასი. საქონლის ფასი ექსპორტ-იმპორტის კონტრაქტის განმსაზღვრელი მუხლია. კონტრაქტში ფასი მითითებულია გარკვეული ვალუტის ფულად ერთეულებში გამოხატული ფულადი თანხა, რომელიც მყიდველმა უნდა გადაუხადოს გამყიდველს საქონლის პარტიისათვის ან ერთეული საქონლისათვის მიწოდების შეთანხმებული პირობებით. ამ დროს მხარეები აზუსტებენ თუ როგორ მიიღება დადგენილი ფასის, ანუ მოიცავს თუ არა ის ტვირთის გაგზავნის, შეფუთვის, მარკირების და სხვა ხარჯებს. კონტრაქტში შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა ფასები:

კონტრაქტში ფასის დასადგენად განისაზღვრება საზომი ერთეული, ფასის ბაზისი, ფასის ფიქსაციის ხერხი და ფასის დონე.:

ფასის ფიქსაციის მეთოდების შესახებ განასხვავებენ

- მყარი ფასი (ფიქსირებული);
- ფასი მომდევნო ფიქსაციით;
- მცურავი ფასი.

მყარი(ფიქსირებული) ფასი შეიტანება კონტრაქტში მხარეთა მიერ შეთანხმების შემდეგ და არ ექვემდებარება შეცვლას კონტრაქტის შესრულების პერიოდში, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ აღნიშნული წესი უფრო გამოსაყენებელია მოკლევადიანი კონტრაქტის დროს (1-1,5წ). უფრო ხანგრძლივი შესრულების კონტრაქტებში მყარი ფასის ფიქსაციამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ საკონტრაქტო ფასი მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება საბაზრო ფასისაგან (ბაზრის კონიუქტურის ცვლილების შესაბამისად), რაც ზარალის მომტანია ერთ-ერთი მხრისათვის.

მომდევნო ფიქსაციის ფასი კონტრაქტში არ მიეთითება. ამ შემთხვევაში მუხლში „საქონლის ფასი“ დგინდება ფასის განსზღვრის სამომავლო წესი ანუ კონტრაქტის შესრულების მომენტისათვის.

მცურავი ფასი ითვალისწინებს კონტრაქტში საწყისი (საბაზისო) ფასის ფიქსაციას, რომელიც შეთანხმების შესრულების განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს მხარეთა მიერ შეთანხმებული მეთოდის გამოყენებით ფასწარმოქმნილი ელემენტების შეცვლით. სანედ-ლეულო საქონლის მიწოდებისას. ფასის დადგენის მსგავს ხერხს ზოგჯერ მოძრავ ფასს უწოდებენ. ამ შემთხვევაში კონტრაქტის ფასს უკავშირებენ აღნიშნული საქონლის საბაზრო ფასის ცვლილებებს მისი მიწოდების მომენტში. კონტრაქტში აუცილებლად მითითებულია წყარო, რომლის მეშვეობით შეიძლება მსჯელობა ფასის ცვლილებებზე. ასევე ათანხმებენ საკონტრაქტო ფასთან შედარებით საბაზრო ფასის განსხვავებების მინიმუმს და მაქსიმუმს.

საზომი ერთეულის არჩევა დამოკიდებულია საქონლის სახეობასა და საერთაშორისო ბაზარზე არსებულ კომერციულ პრაქტიკაზე. ის შეიძლება იყოს წონის, სიგრძის, ფართობის, მოცულობის, კომპლექტის და სხვა რაოდენობრივი ერთეული. ასევე უნდა მიეთითოს ბრუტო ან ნეტო-წონა.

კონტრაქტში ფასის ვალუტად შეიძლება იყოს იმპორტიორის, ექსპორტიორის ან მესამე ქვეყნის ვალუტა. ექსპორტიორები ცდილობენ კონტრაქტში დააფიქსირონ მყარი ვალუტა(მაგ, აშშ დოლარი, ევრო, იენი, ფუნტი სტერლინგი და სხვა თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა). იმპორტიორები კი დაინტერესებული არიან პირიქით კონტრაქტში დევალვირებული ვალუტა დააფიქსირონ.

ფასის ბაზისი. ფასის საბაზისო პირობად მიჩნეულია INCOTERMS-ის მიხედვით მიწოდების საბაზისო პირობები, რაც გულისხმობს, საქონლის შეფუთვის და მარკირების, შენახვის, ტრასპორტირების, ფრახტის, დაზღვევის, რისკის პასუხისმგებლობისა და სხვა ხარჯებს, რაც საბოლოოდ საქონლის ფასის 45-50% შეადგენს.

მიწოდების ვადა და თარიღი. მიწოდების ვადა ეს არის მხარეების მიერ შეთანხმებული და კონტრაქტში გათვალისწინებული დროის პერიოდები, რომლის განმავლობაში გამყიდველმა მყიდველს უნდა მიაწოდოს გარიგების საგანი. გარიგების საგანი შეიძლება იყოს მიწოდებული, როგორც მთლიანად, ისე პერიოდულად. ერთდროული მიწოდების შემთხვევაში მხარეები უთითებენ მიწოდების ერთ ვადას. ეტაპობრივად მიწოდების შემთხვევაში მითითებულია ყოველი პარტიის მიწოდების ვადები. კონტრაქტებში მიწოდების ვადები შეიძლება დადგინდეს შემდეგნაირად:

- მიწოდების ფიქსირებული თარიღის განსაზღვრით;

- პერიოდის განსაზღვრა, რომლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს მიწოდება (თვე, კვარტალი, წელი);
- სპეცილური ტერმინების გამოყენებით („დაუყოვნებლივ მიწოდება“, მოსავლის აღების შემდეგ მიწოდება, „საწყობიდან მიწოდება“ და სხვა).

ექსპორტიორის მიერ საქონლის ვადამდელი მიწოდების შესაძლებლობა სპეციალურად უნდა იყო მითითებული კონტრაქტში. თუ ეს დათქმული არ არის, მაშინ ვადამდელი მიწოდება შესაძლებელია მხოლოდ მყიდველის თანხმობის შემთხვევაში. დათქმა ვადამდელი მიწოდების შესახებ, როგორც წესი, გულისხმობს საქონლის საფასურის ვადამდელ გადახდასაც. ხშირად ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტში შეაქვთ დათქმა მიწოდების თარიღის შესახებ. ეს მხარეებს საშუალებას აძლევს მომავალში თავიდან აიცილონ კომერციული დავა მიწოდების ვადის შესახებ. მიწოდების თარიღი განისაზღვრება საქონლის გადაზიდვის ხერხების გათვალისწინებით და შეიძლება იყოს:

- სატრანსპორტო დოკუმენტის თარიღი, რომელიც ადასტურებს საქონლის მიღებას გადასაზიდად;
- სასაწყობო მოწმობის თარიღი;
- გამყიდველის და მყიდველის წარმომადგენელთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

საქონლის მიწოდების საბაზისო პირობები. კონტრაქტის დადებისას მხარეებმა ერთმანეთს უნდა გაუნაწილონ მრავალრიცხოვანი ვალდებულებები, რომლებიც ექსპორტიორისაგან იმპორტიორისათვის საქონლის მიწოდებასთან არის დაკავშირებული (ტრანსპორტირება, საქონლის შეფუთვა და მარკირება, საქონლის დაზღვევა სხვადასხვა რისკებისაგან, საბაჟო ფორმალობების გაფორმება და სხვა).

კონტრაქტის მხარეების უფლებებისა და ვალდებულებების გაგების უნიფიკაციისათვის შემუშავებულია მიწოდების საბაზისო პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ გამყიდველის და მყიდველის ვალდებულებებს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებით, ადგენენ საქონლის შემთხვევითი განადგურების ან დაზიანების რისკის გამყიდველისაგან გადასვლის მომენტს, საბაზისო პირობები გამომუშავებულია საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებების პრაქტიკის საფუძველზე. ისინი ამარტივებენ საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, რომლებიც ჩამოყალიბდა ცალკეული ქვეყნების, პორტების, საერთაშორისო კომერციულ პრაქტიკაში. საერთაშორისო კომერციული ტერმინების ახსნა-განმარტების მიმართ საერთო მიდგომის შემუშავების საქმეში დიდი სამუშაო შეასრულა საერთაშორისო სავაჭრო პალატამ, რომელიც 1936 წლიდან გამოსცემს „INCOTERMS“ (International Commercial Terms) „ტერმინთა განმარტების საერთაშორისო წესებს“ (დღეისათვის ძალაშია ახალი რედაქცია - 2010წ. დანართი N1), რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც კონტრაქტში არსებობს დათქმა ამის შესახებ, როდესაც არ ხდება კონტრაქტის პირობების და „INCOTERMS“-ის დებულებათა თანხვედრა, მაშინ პრიორიტეტულია კონტრაქტის პირობები.

საერთაშორისო კომერციულ პრაქტიკაში მიღებულია კონტრაქტის მონაწილე მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების ცნებათა უნიფიცირებული ტერმინები, რომლებიც

საბაზისო პირობებს ქმნიან, ამასთან ერთად ექსპორტიორისა და იმპორტიორის ვალდებულებებსა და რისკების გადანაწილების პასუხისმგებლობას განსაზღვრავენ.

მიწოდების საბაზისო პირობების უკეთესად გაგებისა და გამოყენების გასაადვილებლად, ისინი ოთხ ჯგუფშია გაერთიანებული:

E ჯგუფი, როცა ექსპორტიორი იმპორტიორს საქონელს ტრანსპორტირებისათვის უშუალოდ თავის საწარმოო საწყობიდან გადასცემს;

1. EXW(Ex Works)- ფრანკო ქარხანა. აღნიშნული პირობა გამოიყენება ექსპორტიორის ქვეყანაში საქონლის გაყიდვის შემთხვევაში.

F ჯგუფი, როცა ექსპორტიორი ვალდებულია საქონელი იმპორტიორის მიერ დაქირავებულ გადამზიდავს მითითებულ პუნქტში გადასცეს;

2. FCA(Free Carrier)-ფრანკო გადამზიდავი(პუნქტის მითითებით), აღნიშნული პირობა გამოიყენება შერეული გადამზიდავებით(ტრაილერმზიდები, კონტეინერმზიდები, გემები, ბორნები და სხვა) საქონლის მიწოდების შემთხვევაში.

3. FAS(Free Alongside Ship)- თავისუფალი გემბანის გასწვრივ, აღნიშნული პირობა გამოიყენება საზღვაო გადაზიდვის შემთხვევაში, როცა საქონელი იმპორტიორს მიეწოდება გემის მისადგომთან ან გემბანის გასწვრივ.

4. FOB(Free On Board)- თავისუფალია გემბანზე(დატვირთვის ნავსადგურის მითითებით), აღნიშნული პირობა საზღვაო გადაზიდვის შემთხვევაში გამოიყენება, როცა საქონელი ექსპორტიორის მიერ გემბანის ბორტზე მიეწოდება, აქედან პასუხისმგებლობას იღებს იმპორტიორი.

C ჯგუფი, როცა ექსპორტიორი ვალდებულია თავისი ხარჯებით გააფორმოს გადაზიდვის ხელშეკრულება, აილოს დაზღვევის პოლისი, მაგრამ არ იღებს რისკის პასუხისმგებლობას საქონლის დატვირთვის შემდეგ მის დაზიანებაზე და დაკარგვაზე;

5.CFR(Cost and Freight)-ღირებულება და ფრახტი, აღნიშნული პირობა ისეთი საზღვაო გადაზიდვის შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ექსპორტიორი საქონლის მიწოდებისა და გადაზიდვის ღირებულებას(ფრახტს) იხდის კონტრაქტით გათვალისწინებული დანიშნულების პორტამდე (ნავსადგურის მითითებით) და უარს ამბობს დაკარგვის, დაზიანების და სხვა ხარჯებზე, როცა საქონელი გადაკვეთს დატვირთვის ნავსადგურში გემის მოაჯირს(აქედან ხარჯებს ანაზღაურებს იმპორტიორი).

6.CIF(Cost, Insurance and Freight) ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი), მოცემული პირობით ექსპორტიორი ვალდებულია დაფრახტოს გემი, გადაიხადოს ტრანსპორტირების ხარჯები, დატვირთოს გემი, გადასცეს იმპორტიორს კონოსამენტი და საქონლის დაზღვევის პოლისი, დანიშნულების პორტამდე ყველა ხარჯს იხდის ექსპორტიორი.

7.CPT(Carriage Paid to)--გადაზიდვის ღირებულება გადახდილია კონტრაქტში მითითებულ ადგილამდე, აღნიშნული პირობა შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერი სახეობის ტრანსპორტის (საზღვაო, საავიაციო, სარკინიგზო, საავტომობილო) შემთხვევაში. ექსპორტიორი ვალდებულია გააფორმოს გადაზიდვის ხელშეკრულება და გასწიოს ყველა ხარჯი კონტრაქტით გათვალისწინებულ დანიშნულების პორტამდე.

8.CIP(Carriage and Insurance Paid to)-- გადაზიდვის ღირებულება და დაზღვევის ხარჯები გადახდილია დანიშნულების პუნქტამდე(მითითებით). ამ პირობის თანახმად ექსპორტიორი ვალდებულია გადაზიდვისა და დაზღვევის პოლისის ხარჯები გადაიხადოს დანიშნულების ადგილამდე(მითითებით).

D ჯგუფი, როცა ექსპორტიორი დანიშნულების ადგილამდე საქონლის ტრანსპორტირებისა და დაზიანების ყოველგვარ რისკებსა და ხარჯებს თავის თავზე იღებს, ხოლო მინიმალურია იმპორტიორის დანახარჯები.

9. DAF(Delivered At Frontier)--მიწოდება საზღვრამდე(სასაზღვრო პუნქტის დასახელებით. აღნიშნული პირობის თანახმად ექსპორტიორი ვალდებულია იმპორტიორს საქონელი მიაწოდოს კონტრაქტით გათვალისწინებულ ქვეყნის სასაზღვრო პუნქტში. მოცემული პირობა გამოიყენება საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტით საქონლის მიწოდების შემთხვევაში.

10.DES(Delivered Ex Ship)-- მიწოდება გემიდან, აღნიშნული პირობის თანახმად ექსპორტიორი ვალდებულია იმპორტიორს საქონელი გადასცეს დანიშნულების პორტში გემბანზე, ხოლო გემიდან გადმოტვირთვის ხარჯები და საბაჟო გადასახადი იმპორტიორმა უნდა გადაიხადოს.

11.DEQ(Delivered Ex Quay)-- მიწოდება მისადგომიდან, ამ პირობის თანახმად ექსპორტიორი ვალდებულია იმპორტიორს საქონელი გადასცეს დანიშნულების პორტში გემის მისადგომზე, რაც გულისხმობს, რომ ექსპორტიორი თავისი ხარჯებით გადმოცლის ტვირთს ნაპირზე, გადაიხდის საბაჟო გადასახადს და საქონელს გადასცემს იმპორტიორს.

12.DDU(Delivered Duty Unpaid)-- მიწოდება დათქმულ ადგილზე საბაჟო გადასახადის გარეშე, ამ პირობის თანახმად ექსპორტიორი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს იმპორტიორზე საბაჟო გადასახადის გადახდის გარეშე, ტვირთის გადაზიდვისათვის გამოიყენება ნებისმიერი სახეობის ტრანსპორტი.

13.DDP(Delivered Duty paid)--მიწოდება საბაჟო გადასახადის გადახდით(იმპორტიორის ქვეყანაში დანიშნულების პუნქტის მითითებით). მოცემული პირობა „ფრანკო-ქარხნის“ საწინააღმდეგოა, რადგანაც ვალდებულების მაქსიმუმი-- პასუხისმგებლობა, ყველა ხარჯის გადახდა საბაჟო გადასახადის ჩათვლით აკისრია ექსპორტიორს, ხოლო მინიმალური ვალდებულება კი იმპორტიორს.

საზღვაო გადაზიდვების დროს ყველაზე ხშირად გამოიყენება საბაზისო პირობები: FOB „თავისუფლი გემბანზე“, CIF „ღირებულება, დაზღვევა და ფრანტი.“ საერთაშორისო კომერციულ პრაქტიკაში „ FOB ფასი“ საქონლის საექსპორტო ფასად, ხოლო „CIF ფასი“ საიმპორტო ფასად ითვლება. აღნიშნული პირობები ხელსაყრელია ექსპორტიორისათვის, რადგანაც ორივე შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება იმპორტიორს საქონლის დაკარგვის ან დაზიანების დროს.

საერთაშორისო ანგარიშსწორებისა და გადახდის პირობები. გადახდის პირობები შეიცავენ გადახდის ვალუტის დადგენას, მიწოდებული საქონლისათვის ანგარიშგების მეთოდს და წესს, წარდგენილი დოკუმენტების ნუსხას, გადასახადის დაუსაბუთებელი ვადაგადაცილებისაგან და გადახდასთან დაკავშირებული კონტრაქტის სხვა

დარღვევებისაგან დაცვის ზომებს. გადახდის პირობები ადგენენ სასაქონლო ნაკადების მოძრაობის თუ რომელ სტადიაზე მოხდება გადახდა და იქნება ის ერთდროული თუ რამდენიმე შენატანის სახით.

საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში გამოიყენება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების ფორმები, რომლის გამოყენების არეალი საკმაოდ ფართოა.

ნაღდი ანგარიშსწორება (cash account) არის იმპორტიორის მიერ საქონლის ღირებულების განაღდება მისი მიღებისთანავე ან ბანკში საქონლის გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ. უნაღდო ანგარიშსწორება (non-cash account) ხორციელდება საბანკო-საკრედიტო დაწესებულებების მეშვეობით ნაღდი ფულის მონაწილეობის გარეშე.

უნაღდო ანგარიშსწორების ფორმებია: აკრედიტივი, ინკასო, ჩეკი, საბანკო გზავნილი, ანგარიშსწორება კრედიტში და სხვა.

ინკასო წარმოადგენს საშუამავლო საბანკო ოპერაციის სახეობას, როდესაც ექსპორტიორის მომსახურე ბანკი (რემიტენტი ბანკი) იღებს ვალდებულებას ექსპორტიორის (პრინციპალის) დავალებით კომერციული და ფინანსური დოკუმენტების გადაცემის შემდეგ იმპორტიორისაგან (ტრასატისაგან) მიიღოს კონტრაქტით გადასახდელი თანხა იმპორტიორის მომსახურე ბანკმა (საკორესპოდენტო ბანკმა) ჩაურიცხოს ექსპორტიორს.

აკრედიტივი არის ანგარიშსწორებაზე ბანკის (ემიტენტი ბანკის) წერილობითი ვალდებულება, როდესაც იმპორტიორის (აპლიკანტი) დავალებით ექსპორტიორის (ბენეფიციარის) სასარგებლოდ იღებს, სპეციალური სახსრებიდან გადაუხადოს ექსპორტიორს მიერ გადატვირთული საქონლის საზღაური ან მოახდენს გადასაგზავნი თამასუქის აქცეპტირება (ვალდებულების განაღდებაზე თანხმობა), როდესაც ექსპორტიორი წარადგენს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტებს.

საერთაშორისო ბიზნესის პრაქტიკაში გამოიყენება აკრედიტივის მრავალი სახეობა: გამოსაწვევი და გამოუწვევი, დადასტურებული და დაუდასტურებელი, შესწორებადი და შეუსწორებელი, დოკუმენტური, რევოლვერული, სარეზერვო და სხვა. უპირატესად კი გამოიყენება დოკუმენტური აკრედიტივი.

ჩეკი არის მყიდველის ან შემკვეთის ბანკისთვის წერილობითი დავალება გადაუხადოს მითითებული თანხა ჩეკის წარმდგენს (კონკრეტულ პირებს, ორგანიზაციებს) ან მათი მითითებით სხვა პირებს (საორდერო ჩეკები) თანხის გაცემის ან გადარიცხვის შესახებ. ჩეკებით ანგარიშსწორების ფორმა იშვიათად გამოიყენება საერთაშორისო კომერციულ პრაქტიკაში. ჩეკები ფასიანი ქაღალდია და გამოიყენება, როგორც უნაღდო ფულის განკარგვის საშუალება.

საბანკო გზავნილი (Bank Transfer) გულისხმობს, რომ ანგარიშების მიზნით ექსპორტიორები იმპორტიორებს უგზავნიან ერთმანეთს ანგარიშებს და სხვა საბუთებს საქონელზე, გაწეულ მომსახურებაზე, შესრულებულ სამუშაოებზე, პრეტენზიებს და სხვ. ამ საბუთების საფუძველზე გადამხდელები თავიანთ ბანკებში გზავნიან საგადასახადო დავალებებს ექსპორტიორის ან იმპორტიორის ანგარიშებზე ფულის გადარიცხვის მიზნით.

საბანკო გადარიცხვებით ანგარიშსწორებაში უპირატესად გამოიყენება SWIFT (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunications), რომელიც სააქციო საზოგადოებაა, რომელთა აქციების მფლობელია წევრი-ბანკები. იგი დაარსდა 1973 და საბოლოოდ ამოქმედდა 1977 წლიდან. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს ბელგიის ქალაქ ბრიუსელში. SWIFT-ის მიზანია ოპერატიული, სანდო, ეფექტური, კონფიდენციალური და დაცული ფინანსური ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფა. დღეისათვის SWIFT-ის სისტემაში გაერთიანებულია ფინანსური ინსტიტუტები, მსოფლიოს საბანკო სისტემის -95%, (კომერციული ბანკები, მათი ფილიალები და განყოფილებები, მათ შორის საქართველოს ყველა კომერციული ბანკი).

ანგარიშსწორება კრედიტით. საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში იყენებენ კომერციულ კრედიტს (ექსპორტიორის კრედიტი იმპორტიორისათვის ან იმპორტიორის მიერ ავანსის გაცემა ექსპორტიორისათვის) და საბანკო კრედიტს. ანგარიშსწორება კრედიტში შეიძლება ითვალისწინებდეს სათამაშო კრედიტის, გადახდის განვადებას ან გახსნილი ანგარიშით დაკრედიტებას.

კონტრაქტში გადახდის განვადების შეთანხმების შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ ნაწილობრივად გადახდა ნაღდი ანგარიშსწორებით და ნაწილობრივად – ინკასო გადასახადით. საკრედიტო ნაწილის ოდენობა, დაკრედიტების პირობები და კრედიტის დაფარვის წესი კონტრაქტში მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი. კრედიტის პირობები, როგორც წესი, ფარავენ კონტრაქტის ღირებულების 80-85%-ს. დანარჩენს ნაღდი ანგარიშსწორებით იხდის იმპორტიორი, მათ შორის ავანსის სახით. გადახდის ვადაგადაცილებისათვის კონტრაქტში გათვალისწინებულია საჯარიმო სანქციები, მათი ოდენობა მხარეების მიერ არის დადგენილი.

შეფუთვისა და მარკირების პირობები. საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში შეფუთვის სახეობა მის დანიშნულებაზეა დამოკიდებული: სარეკლამო მიზნებისათვის, განსხვავებულ გარემოში საქონლის შენახვის მიზნით და სხვ. მუხლები შეფუთვის და მარკირების შესახებ ჩართულია კონტრაქტში, თუ შეფუთვა აუცილებელია საქონლის სახეობისგან გამომდინარე, ამ დროს მუხლში მითითებულია შეფუთვის სახეობა და ხასიათი, მისი ხარისხი, ზომები, გადახდის ფორმები, შეფუთვაზე მარკირების ყოველი ადგილის დატანება.

ტვირთების მარკირება ეს არის საქონლის თანმხლები დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს იმპორტიორის რეკვიზიტებს, კონტრაქტის ნომერს, ტრანზიტის ნომერს. ადგილების წონას-გაბარიტული დახასიათებები, ადგილის ნომერი და პარტიაში ან ტრანსში ადგილების რაოდენობა. მარკირება არის მითითება სატრანსპორტო ფირმებისათვის თუ როგრო უნდა მოეპყრონ ტვირთს. საჭიროების შემთხვევაში, მარკირება გამოიყენება ტვირთთან ურთიერთობის საფრთხის შეტყობინების მიზნით. ტვირთის მარკირება არის ექსპორტიორის უპირობო ვალდებულება. მარკირების რეკვიზიტები შეთანხმებულია მხარეების შორის და მითითებულია კონტრაქტში. მარკირების აღნიშვნები უნდა იყოს დატანილი ყოველ სატვირთო ადგილზე.

საქონლის დაზღვევის პოლისის პირობები. საერთაშორისო კომერციული საქმიანობა გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. განასხვავებენ კომერციულ, ფინანსურ,

სატრანსპორტო, პოლიტიკურ და სხვა რისკებს. კომერციულ რისკებს მიეკუთვნება საერთაშორისო ბაზარზე საქონლის რეალიზაციასთან დაკავშირებული რისკი, იმპორტიორის მიერ საქონლის მიღებასთან, ფინანსურ ანგარიშსწორებასთან და სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკები. ტვირთების გადაზიდვასთან, ტრანსპორტირების დროს საქონლის დაზიანების, დაკარგვისა და განადგურებისაგან გამოწვეული რისკი. პოლიტიკურ რისკებს--მიეკუთვნება იმპორტიორის ქვეყანაში არასტაბილური და საფრთხის შემცველი პოლიტიკური გარემო, საომარი ვითარება, სოციალური და ეთნიკური კონფლიქტები და სხვა სამთავრობო აკრძალვები.

ზემოთაღნიშნული რისკების ზემოქმედების შედეგად შეიძლება კონტრაგენტებმა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი განიცადონ, ამ ზარალის სიდიდის, მისი გამომწვევი მიზეზების წინასწარ პროგნოზირება შეუძლებელია, მაგრამ რისკების მართვა და ზარალის მინიმუმამდე შემცირება შესაძლებელია დაზღვევის სპეციალიზებული სადაზღვევო სისტემით. საერთაშორისო სადაზღვევო პრაქტიკაში გამოყენებულია უნიფიცირებული პირობები: დაზღვევა ყველა რისკზე პასუხისმგებლობით, კერძო ავარიაზე პასუხისმგებლობით და სხვა.

ექსპორტ-იმპორტის კონტრაქტის პირობებიდან გამომდინარე დაზღვევის ვალდებულება ენიჭება ან ექსპორტიორს, ან იმპორტიორს. თუ გარიგების ფორმით ეს ვალდებულება განსაზღვრული არ არის, მაშინ მხარე, რომელზეც ტრანსპორტირების პერიოდში გადადის საქონლის შემთხვევით განადგურების რისკი, თვითონ არის დაინტერესებული მის დაზღვევაში. ექსპორტ-იმპორტის კონტრაქტის პირობები ასევე შეიცავენ ექსპორტიორთა ვალდებულებებს მყიდველებს წარუდგინონ სადაზღვევო პოლისები(მზღვეველსა და დამზღვევს შორის გაფორმებული დაზღვევის აქტი) ან სერტიფიკატები (იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპორტიორი ვალდებულია დააზღვიოს საქონელი), ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის ტვირთის დაზღვევის ხელშეკრულება მიწოდების საბაზისო პირობებით განისაზღვრება. მაგ., FOB პირობის მიხედვით სადაზღვევო პოლისის ხარჯებს იხდის იმპორტიორი, ხოლო SIF პირობის შემთხვევაში ექსპორტიორი. საბოლოოდ სადაზღვევო პოლისის ხარჯებს იმპორტიორი იხდის, რადგანაც ექსპორტიორის გადახდის შენთხვევაში სადაზღვევო თანხა სხვა ხარჯებთან ერთად საქონლის ფასში აისახება.

გარანტიები და რეკლამაციები. მანქანებისა და დანადგარების მიწოდების შემთხვევაში კონტრაქტში ჩამოყალიბებულია ექსპორტიორის ვალდებულებები საქონლის ხარისხისა და ტექნიკური მაჩვენებლების გარანტიების შესახებ. ამ დროს მხარეები ათანხმებენ: გარანტიების ვადებს, საგარანტიო პერიოდში გამყიდველის ვალდებულებებს, პრეტენზიების წარდგენის წესებს. საგარანტიო ვადები დადგენილია გარიგების მხარეების მიერ საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკისა და საქონლის სახეობის გათვალისწინებით. შეთანხმებული ვადის ფარგლებში გამყიდველს ეკისრება პასუხისმგებლობა მიწოდებული საქონლის ხარისხზე და მის ეფექტურ ექსპულატაციაზე. კონტრაქტში ჩამოთვლილია ის შემთხვევები, რომლებზეც გარანტიები არ ვრცელდება (არსათანადო შენახვა, არასათანადო ექსპულატაცია). გარანტია შეიძლება არ ვრცელდებოდეს სწრაფად ცვეთად დეტალებზე და სათადარიგო ნაწილებზე. დეფექტების აღმოჩენის შემთხვევაში მყიდველს საგარანტიო

პერიოდის განმავლობაში შეუძლია გამყიდველს წაუყენოს პრეტენზიები ხარისხთან დაკავშირებით. კონტრაქტში მხარეები უთითებენ დასაბუთებული რეკლამაციების დაკმაყოფილების ხერხებზე. დეფექტის აღმოფხვრა, საქონლის ნაწილობრივი ან მთლიანი შეცვლა.

რეკლამაცია წერილობით წარედგინება ექსპორტიორს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს დაწუნებული საქონლის სახეობა და რაოდენობა, ასევე იმპორტიორის კონკრეტული პრეტენზიები ხარისხთან მიმართებაში. რეკლამაციას უნდა დაერთოს ექსპერტიზისა და სარეკლამაციო აქტები, სპეციფიკაციები, წარმოშობისა და ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატები და სხვა. რეკლამაციის გაგზავნის თარიღად ფოსტის შტემპელის თარიღი ითვლება.

რეკლამაციის განსხვავებული ვადები დგინდება საქონლის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით: საქონლის რაოდენობის მიმართ რეკლამაციის წარდგენის ვადა შეიძლება იყოს მისი მიწოდებიდან 30-60 დღე, ხოლო ხარისხის მიმართ -- საგარანტიო ვადა და მისი გასვლიდან 30 დღე. ამ ვადების გასვლის შემდეგ იმპორტიორს სასამართლოში და არბიტრაჟში მიმართვის უფლება ეკრძალება.

რეკლამაციის დასაბუთებისათვის ექსპორტიორს შეუძლია საქონლის ადგილზე შემოწმება, ასევე იგი ვალდებულია განიხილოს იმპორტიორის რეკლამაცია და კონტრაქტის პირობების დაცვით სხვადასხვა გზით მოაწესრიგოს ნაკლოვანებანი: დეფექტური (უხარისხო)დეტალის შეცვლით, საქონლის პარტიის უკან დაბრუნებით ან ჩამოფასებით და სხვა ღონისძიებებით.

საჯარიმო სანქციები და პირგასამტეხლო. როგორც წესი, კონტრაქტი ითვალისწინებს საჯარიმო სანქციებს, რომელთა მეშვეობით იმპორტიორი ცდილობს მოახდინოს ექსპორტიორის სტიმულირება ვალდებულებების დროული შესრულებისა და თავისი შესაძლო დანაკარგების კომპენსაციის მიზნით. საჯარიმო სანქციები, როგორც წესი, იზრდება დარღვეული ვალდებულებების ხანგრძლივობის შესაბამისად (გადავადება და სხვა). ჯარიმების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს არასათანადო დროში მიწოდებული საქონლის ფასის 8-10%-ს. საჯარიმო სანქციებთან ერთად კონტრაქტი ითვალისწინებს მხარის უფლებას ზარალის ანაზღაურებაზე. ამავე დროს ასეთი ზღვევინება არ ათავისუფლებს კონტრაქტის ვალდებულებების შესრულებისაგან. იმპორტიორის მიმართ კონტრაქტში შეიძლება ჩართული იყოს სანქციები გარიგების ვალდებულებების დარღვევისათვის (აკრედიტივის გახსნის შეფერხება, გადასახადების ვადაგადაცილება, საქონელგანკარგულებითი დოკუმენტაციის მიწოდების დაგვიანება და სხვა). მხარეთა პასუხისმგებლობის ამალგების მიზნით, აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში კონტრაქტში საჯარიმო სანქციები გაითვალისწინება.

საერთაშორისო კომერციულ საქმიანობაში გავრცელებულია სანქციის ერთ-ერთი სახეობა პირგასამტეხლო - კონვენციური ჯარიმა, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. პირგასამტეხლოს თანხა შეიძლება იყოს ფიქსირებული თანხა ან საქონლის ფასის მიმართ პროცენტი.

საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება საჯარიმო სანქციების დარიცხვის პროგრესული სისტემა, ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ჯარიმების შემდეგი ზომები: პირველ 30 დღის განმავლობაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე - 0,05%, შემდეგ 30 დღეზე -0,08%, შემდეგ ყველა გადაცილებულ დღეზე -0,012%.

ფორს-მაჟორი(დაუძლეველ ძალთა გარემოება) და საარბიტრაჟო დათქმები კონტრაქტებში. პრაქტიკულად ყველა ექსპორტ-იმპორტის კონტრაქტი შეიცავს მუხლს, რომელიც აძლევს კონტრაქტის შესრულების ვადის გადატანის უფლებას ან ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შესრულებისაგან გარკვეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, რომელებსაც ფორს-მაჟორს ან „დაუძლეველი ძალის გარემოებებს“ უწოდებენ. ფორს-მაჟორის გარემოებებს მიეკუთვნება, როგორც სხვადასხვა სახის სტიქიური კატაკლიზმები (ხანძარი, წყალდიდობა, ქარიშხალი, მიწისძვრა), ისე სხვადასხვა პოლიტიკური სიტუაციები (ომი, რევოლუციები, ეთნიკური და სოციალური კონფლიქტები), ეპიდემიები და სხვა. კონტრაქტში უნდა არსებობდეს კონტრაგენტების მიერ შეთანხმებული მსგავსი გარემოებების ჩამონათვალი და კონტრაქტის მხარეთა მოქმედების წესი ამ გარემოების დადგომისას. აღნიშნული გარემოებების დადგომისას სავალდებულოა მეორე მხარის დაუყოვნებლივი შეტყობინება(24 სთ-ის განმავლობაში). აღნიშნული გარემოებების დადგომის დადასტურებას წარმოადგენს შესაბამისი დოკუმენტები, ხშირად ეს არის ეროვნული სავაჭრო-სამრეწველო პალატების დადასტურება.

ფორსმაჟორული გარემოებების დროს კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადა მისი მოქმედების შესაბამისად გრძელდება. თუმცა, კონტრაქტში განისაზღვრება ზღვრული ვადებიც, რომელთა გასვლის შემდეგ ვალდებულებების შესრულება მიზანშეუწონელი ხდება და კონტრაქტი უქმდება. ამ ვადების ხანგრძლივობა საქონლის სახეობიდან, გაყიდვის მეთოდებიდან ან სავაჭრო წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე განსხვავებულია. მაგ., მალფუჭებადი საქონლსათვის 15-30 დღეა, მანქანა-მოწყობილობებზე -3-6 თვე. აგრეთვე იმპორტიორს უფლება აქვს უარი თქვას კონტრაქტის ან მისი ნაწილის შესრულებაზე, თუ ფორსმაჟორული გარემოებების შედეგად საქონლის მიწოდების ვადაგადაცილება 6 თვეს გადააჭარბებს.

კონტრაქტის სხვა პირობები. უამრავი დამატებითი პირობებია გასათვალისწინებელი კონტრაქტში, მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია კონტრაქტის დადების, ცვლილებების შეტანის, შეწყვეტისა და გაუქმების წესები, ამ მხრივ ექსპორტიორისა და იმპორტიორის უფლებები და მოვალეობები. ექსპორტიორის პასუხისმგებლობა საქონელზე ტექნიკური დოკუმენტების დროული მიწოდების შესახებ. სასამართლოში და არბიტრაჟში მიმართვის პირობების, ვადების რეგლამენტის დაცვისა და სხვა წესების შესახებ.